პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 დეკემბერი **ხუთშაბათი** 2010

№308 (13296) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ფულის ლაბირინთები




## კრიმინალური საკითხავი: რა უფრო აინტერესებდათ ფედერაციაში, თამაშების ანგარიშები თუ ანგარიშებით თამაში?

2

ზვიად სიჭინავა: ვილაცამ პასუხი უნდა აგოს!

# ჩელსიმ მოგებაზე ყადაღა ახსნა

## არსენალი თავისიანმა დაღუპა, ლივერპული მგლებს შემოეჭამათ

5



ჩელსი-ბოლტონი 1:0. მალუდას გოლი ერთადერთი იყო



ლივერპული-ვულვზი 0:1. გაოგნებული მასპინძლები

სიტუაცია

# ხომ არ იყო ყადაღა წინასაარჩევნო სარმა? ზვიად სიჭინავა: არ ვიცი, არ მაინტერესებს!



ზვიად სიჭინავა

**ფეხბურთის ფედერაციასა და „ტაოპრივატბანკს“ შორის წარმოქმნილი გაუგებრობა ორ დღეში ამოიწურა, ფედერაციის ანგარიშებს ყადაღას მოუხსნიან, მაგრამ შესაძლოა ამ გაუგებრობას სხვა გაგრძელება მოჰყვეს.**

გუშინ **ზვიად სიჭინავამ** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა:

- ყველამ ვიცით შეკრების მიზეზი, ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშებს ყადაღა დაადეს. "ტაოპრივატბანკთან" პრობლემა 2009 წელსაც არსებობდა, მაგრამ ფედერაციამ დავალიანება აღიარა და ჩვენი დღევანდელი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, 2010 წლის იანვარში ბანკს სესხის რესტრუქტურიზაცია ვთხოვეთ, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. "პრივატბანკის" მმართველებს აგვისტოშიც შევხვდით და სექტემბერშიც. იმ დროისთვის ჩვენი ვალი 348.000 ევრო იყო. მაშინ 300.000-ის გადახდა გვსურდა, რასაც ბანკი არ დათანხმდა. მოგვიანებით შევთანხმდით, რომ ყოველ თვე 20.000 ევროს გადავუხდიდით. ამის დასტურად "პრივატბანკში" წერილიც გავაგზავნეთ. ოქტომბერში თანხა ბანკში გადავრიცხეთ კიდეც, მეორე ნაწილის გადახდა კი დეკემბერში გვსურდა, მაგრამ 27 დეკემბერს ჩვენი ყველა ანგარიში, უძრავ-მოძრავი ქონება და კუთვნილი ბაზები დააყადაღეს. მიზეზად ეს გვითხრეს, მეორე გადარიცხვას 15 დეკემბერს ველოდითო.

მე ვიკითხე, სად იყო ჩვენი შეთანხმების ის ნაწილი, სადაც თანხის ეტაპობრივ გადახდაზე შევთანხმდით და ეს ფურცელი ვერ ნახეს. ეს ის "ყვავილებია", რასაც ამ ორ დღეში წავაწყდით.

საწყენი ისაა, რომ ძველი ფედერაციის აღებული 300-ათასიანი სესხის ნაცვლად საურავებითა და ჯარიმებით, ბანკს 450 ათასი ევრო უნდა გადავუხადოთ.

"ტაოპრივატბანკთან" დღეს მაინც შევთანხმდით, რომ ყადაღა დღესვე მოიხსნება. ოთხშაბათს ბანკს 150.000 ევროს გადავუხდით, ახალი წლიდან კი ყოველთვე – 25.800 ევროს. თანახმა ვართ ნებისმიერ ჯარიმაზე, ოღონდ ფედერაციის ანგარიშები არ დაყადაღდეს და ორგანიზაციამ კიდევ არ იზარალოს.

**- რა მიზნით გამოიტანა ძველმა ფედერაციამ ეს 300 ათასი ევრო?**

- ფედერაციამ "ტაოპრივატბანკიდან" სესხი 2008 წლის 29 დეკემბერს გამოიტანა და იმავე დღეს თანხა "საქართველოს ბანკში" არსებულ ფედერაციის ანგარიშზე დასვა. 20.159 ევრო მაშინვე გერმანიაში კომპანია „მაინცის“ ანგარიშზე გადაირიცხა, რადგან 2008 წლის აგვისტოს ომის გამო მაინცის სტადიონი ჩვენი ეროვნული ნაკრებისა და ირლანდიის გუნდის მატჩის გასამართად ვიქირავეთ. ეს 20.159 ევრო სტადიონის იჯარისთვის იყო განკუთვნილი.

დარჩენილი თანხის კონვერტაციბ ლარებში მოხდა და გამოვიდა 663.223 ლარი. 2008 წლის 30 დეკემბერს 469.999 ლარი თბილისის „დინამოს“ ანგარიშზე გადაირიცხა, 162.400 ლარი კი - „ზესტაფონის“.

**- რატომ კლუბების ანგარიშზე? ფედერაციამ უეფადან მათთვის ჩარიცხული თანხა გამოიყენა და ვალებს უბრუნებდა?**

- ალბათ, ასეა, ფედერაციამ უეფადან კლუბებისთვის დარიცხული თანხა დახარჯა და კლუბებს დავალიანება გაუსტუმრა. 2008 წლის 31 დეკემბერს ფედერაციამ "ზესტაფონს" 165 ათასი ევრო ასესხა, საიდანაც 115 ათასი ლარი ფედერაციის მაშინდელი გენერალური მდივნის, უჩა უგულავას პირად ანგარიშზე აღმოჩნდა, 2010 წელს კი "ზესტაფონმა" კუთვნილი 70.000 ევრო უკან მიიღო.

მე წინა ხელმძღვანელების მიმართ პრეტენზიები არ მქონია, მაგრამ მაქვს "ტაოპრივატბანკთან" გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც საინტერესო დეტალია: ბანკიდან კრედიტი ისეა გამოტანილი, რომ საბუთებზე ყოფილი პრეზიდენტის, ნოდარ ახალკაცის ფაქსიმილეა დაფიქსირებული, ექსპრეზიდენტს კი პირადად ხელი არ მოუწერია. აქამდე არ ვიცოდი, ფაქსიმილეთი სესხის გაცემა თუ შეიძლებოდა. არ ვიცი, ეტყობა, ახალკაცს თითი სტკიოდა. ფეხბურთის ფედერაციას ბანკისთვის გარანტიები არ წარუდგენია.

საქმეში საგამოძიებო ორგანოები უნდა ჩაერთონ და გაარკვიონ, შეიძლება თუ არა ფაქსიმილეთი და ყოველგვარი გარანტიების გარეშე ჩვენი ბანკებიდან 300.000 ევროს სესხად აღება.

**- თანხა უგულავას ანგარიშზე რატომ გადაირიცხა?**

- ვერ გეტყვით. საწყენი ისაა, რომ 15 ივნისიდან სესხს ყოველდღიურად ჯარიმის სახით 266 ევრო ემატებოდა. ახლა დამატებითი სესხი უნდა ავიღოთ, "ტაოპრივატბანკის" ვალი რომ გავისტუმროთ. ეს კი შეაფერხებს იმ პროგრამების განხორციელებას, რომელსაც 2011 წლისთვის ვგეგმავდით... ამ ქვეყანაში ვილაცამ რაღაცაზე პასუხი უნდა აგოს, ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ და მზად ვართ, საქმეში საგამოძიებო ორგანოები ჩავრიოთ.



რევაზ არველაძე

**- გამოძიების ჩართვა არჩევნების შემდეგ გსურთ?**

- მთავარია გამოძიება დაიწყოს.

**- დაყადაღებას წინასაარჩევნო სარმად ხომ არ მიიჩნევთ?**

- არ ვიცი და არ მაინტერესებს, მაგრამ მწყინს, რომ 348 ათასის ნაცვლად ბევრად მეტის გადახდა მოგვიწევს. ჩვენ ვამაყობდით, რომ ვალებს ვისტუმრებდით და 2011 წლის დეკემბრამდე გეგმები გაწერილი გვქონდა. ახლა დამატებითი საზრუნავი გაგვიჩნდა.

**- რამდენია ფედერაციის ამჟამინდელი ვალი?**

- 4.3 მილიონი ლარი უნდა გადაგვეხადა, მაგრამ ახლა 4.8 მილიონის გადახდა მოგვიწევს.

კითხვა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **რევაზ არველაძესაც** დაუსვეს:

**- თქვენ წინა ფედერაციის გენერალური მდივანი იყავით და ამ სესხის ამბავი თუ იცოდით?**

- დიახ, ვიცოდი, ისევე, როგორც სხვა სესხების. ეს ჩვეულებრივი ვალი იყო. მის გასტუმრებაზე ზრუნვა 2010 წლის 18 იანვარს დავიწყეთ, მაგრამ პრობლემებს მაინც წავაწყდით.

**- ფაქტობრივად, გამოდის, რომ ფედერაციამ ეს სესხი კლუბების დავალიანების გასასტუმრებლად აიღო.**

**ზვიად სიჭინავა:**

- დიახ, კლუბების დავალიანების დასაფარად. მაშინ რეზი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო და არა გენერალური მდივანი, ფინანსურ საკითხებზე გადაწყვეტილებებს კი პრეზიდენტი და გენერალური მდივანი იღებენ.

**- ასეთი უცნაური სესხები კიდევ დაგრჩათ?**

- ფული "საქართველოს ბანკიდანაც" არის გამოტანილი, რომელსაც გრაფიკზე შევუთანხმდით, სულ 1.380.000 ევროს გადავიხდით, 2011 წლის იანვრიდან კი 410.000 ევროს გადავურიცხავთ.

**- ასეთი უსიამოვნო ფაქტის შემდეგ "ტაოპრივატბანკში" ანგარიშის დახურვას და სხვა ბანკში გადატანას ხომ არ აპირებთ?**

- სანამ სესხი გასასტუმრებელი გვაქვს, ანგარიშს ვერ დავხურავთ, შემდეგ კი ვნახოთ, ბევრი საინტერესო ბანკია, მაგალითად "საქართველოს ბანკი".

პრესკონფერენციის შემდეგ რევაზ არველაძემ "ლელოს" უცნობი ფაქტი გაუმხილა: *"მაშინ ფედერაციას უჭირდა, ჩვენი ხელმძღვანელებიდან ზოგიერთი საკუთარი სახსრებით გვეხმარებოდა და შესაძლოა, ეს თანხა უგულავას პირად ანგარიშზე ამ ვალის საფასურად დაჯდა".*

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ წინა ფედერაციაში თუკი ვინმე კარგი რეპუტაციით სარგებლობდა, ერთ-ერთი სწორედ უჩა უგულავა იყო და სანამ კომენტარს არ გააკეთებს, მისი რაიმე სახით დადანაშაულება გაუმართლებლად მიგვაჩნია. გუშინ კი უგულავა გასული იყო მომსახურების ზონიდან – ჩვენც მის შემოსვლას დაველოდებით.

**მერაბ მამულაშვილი**

სადაურსა სად...



# ბაჩანა არაბულმა ნაკრებს გაუტანა

## კიევის დინამო-უკრაინის U18: სამი ქართველი აქეთ, სამი - იქით

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი **ბაჩანა არაბული** კიევის "დინამო2"-ში ისინჯება. 16 წლის ფორვარდი კიევში საფეხბურთო აკადემია "ოლიმპის" ხელმძღვანელებთან ერთად გაემგზავრა. "ოლიმპის" პრეზიდენტი **ტარიელ ხეჩიკაშვილი** და გენერალური დირექტორი **კახა ჭუმბურიძე** უკრაინული კლუბის პრეზიდენტ **იგორ სურკისს** შეხვდნენ და შესაძლო თანამშრომლობაზე ილაპარაკეს.

არაბულმა კი "დინამო2"-ში ჩატარებულ პირველ საკონტროლო შეხვედრაში თავი გოლით გამოიჩინა, თანაც უკრაინის 18-წლამდელთა ნაკრებთან.

მატჩი კონჩა ზასპაში, "დინამოს" ზამთრის მანეჟში გაიმართა და, მართალია, ამხანაგური იყო, მაგრამ ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ **ანდრეი გუსინს** "დინამო2" ახლახან ჩააბარეს, მისი ხელმძღვანელობით კლუბი პირველ შეხვედრას ატარებდა და თანაც პეტერბურგში გასამართი "თანამეგობრობის თასისთვის" მზადება დაიწყო. **ოლეგ კუზნეცოვი** კი 18-წლამდელებს გრანატკინის თასის ტრადიციული გათამაშებისთვის ამზადებს.

შეხვედრა 1:1 დასრულდა, ანგარიში U18-ის წევრმა **პოლულიახმა** 65-ე წუთზე გახსნა. ქართველი ფორვარდი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და თანაფარდობა ბოლო, 90-ე წუთზე სწორედ მან აღადგინა. არაბულმა გოლი **მალინის** გადაცემით, თავური დარტყმით გაიტანა.

... საერთოდ, ბოლო წლებში ქართველების უცხო ქვეყნების ნაკრებებში ხილვა არ გვიკვირს, მაგრამ იმან, რაც ამ მატჩის ოქმში ამოვიკითხეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კონჩა ზასპას ზამთრის მანეჟში იმ დღეს ქართველებიდან მხოლოდ ბაჩანა არაბულს როდი უთამაშია – მოედანზე სულ ექვსი ქართველი გავიდა!

უკრაინის 18-წლამდელთა ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ოლეგ კუზნეცოვმა ერთდროულად ორი ქართველი დააყენა, კარში დონეცკის "ოლიმპიკის" მეკარე **ზაურ მახარაძე**, თავდასხმაში კი - დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" ფორვარდი **ევგენი ბოხაშვილი,** შეცვლაზე კი კიევის "დინამოს" ახალგაზრდული გუნდის მცველი **ბადრი აქუბარდია** გასინჯა. ეს უკანასკნელი 17 წლისაა და კიევის "დინამოს" ახალგაზრდულ გუნდში 15 თამაში აქვს ჩატარებული, თუმცა ოფიციალურად საქართველოს მოქალაქედ ითვლება და სანამ დროა, ჩვენმა ფედერაციამ უნდა იჩქაროს, ეს ბიჭი რომ არ დავკარგოთ.

კიევის "დინამო2"-ში კი მეორე ტაიმში ჩვენთვის უცნობი ფეხბურთელი **იაშვილიც** გამოჩნდა, რომლის ვინაობა, მოქალაქეობა და სხვა მონაცემები უკრაინელთა ოფიციალურ ვებგვერდზე ვერ აღმოვაჩინეთ. როგორც ჩანს, კიეველები ამ ახალგაზრდასაც სინჯავენ. "დინამო2"-ის ძირითად შემადგენლობაში ითამაშა უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალურმა მცველმა **თემურ ფარცვანიამაც**, რომელიც აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში სიამოვნებით ითამაშებს – თუმცა ის ჯერ 19 წლისაა და ეროვნულ ნაკრებში მის მიწვევაზე ლაპარაკი ნაადრევია.



თემურ ფარცვანია

არაბული კიევში კიდევ ერთი თვე დაჰყოფს და მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხი ამის შემდეგ გაირკვევა. შეგახსენებთ, რომ ბაჩანა **კობა ჟორჟიკაშვილის** 17-წლამდელთა ნაკრებისა და რუსთავის "ოლიმპის" დუბლშემადგენლობის ერთ-ერთი ლიდერია.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერები

# უკვე ექვსი ტორპედოში, მესამე - ვიტ ჯორჯიაში

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულმა და თასის ნახევარფინალისტმა ქუთაისის „ტორპედომ“ ხუთ ახალ ფეხბურთელს მეექვსეც დაამატა - 27 წლის ნახევარმცველი **ლაშა ქებაძე**, რომელმაც სეზონის პირველი ნახევარი „სამტრედიაში“ გაატარა, 3 იანვარს „ტორპედოს“ შეუერთდება.

„ვიტ ჯორჯია“ კი თავდასხმის ხაზს პირველი ლიგის გუნდებიდან აძლიერებს. ტყიბულის „მეშახტედან“ გადაყვანილ ორ ფორვარდს, **ლაშა გაბრიჭიძესა** და **გიგა ჯულელს** ერთიც დაემატება - „ნორჩი დინამოელის“ თავდამსხმელი **ილია ქავთარაძე** „ვეტერინართა“ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონერი

ქართველის ბელარუსული შთაბეჭდილებები

# მოედნებია – ხალიჩა! ხალხის დაფრინავს

## ახალგაზრდა პუნტუსელები და მამისტოლა კაცი



**ზაზა ჭელიძე ერთი წელია ბელარუსში, ბრესტის "დინამოში" თამაშობს. გუნდი მცირე ხნის წინ მსოფლიოს მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა, რადგან ბრესტელთა ერთ-ერთი მწვრთნელი 56 წლის იური პუდიშევი, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში თამაშობდა მინსკის "დინამოში", ბელარუსის ჩემპიონატში მოედანზე გავიდა და თავისიანებს დაეხმარა.**

**ჭელიძე კი ბელარუსში მოხვედრით კმაყოფილია და ამბობს, რომ არჩევანში არ შემცდარა:**

- ერთი წელია, ბრესტში ვარ, მწვრთნელს მოვწონვარ და მათამაშებს. ბელარუსის ჩემპიონატი სამ წრედ იმართება, 33 მატჩიდან 30 ჩავატარე და 3 გოლი გავიტანე. ვფიქრობ, ურიგო კლუბში არ ვარ. ჩვენი მთავარი მწვრთნელი იური პუნტუსი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ერთ-ერთი გამორჩეული სპეციალისტია, ბორისოვის "ბატეში" ცხრა წელი მუშაობდა, მისი დამსახურებაა ამ კლუბის ჩამოყალიბება-ალზევება და ის, რომ ბოლო ორი წელია, ჩემპიონთა ლიგაში ხვდება.

ვფიქრობ, კარგი სეზონი მქონდა, "დინამო" მეხუთე ადგილზე გავიდა და სპეციალისტებისგან კარგი შეფასება დავიმსახურე.

**- თუმცა მეხუთე ადგილით ევროპაში ვერ ითამაშებთ.**

- სამაგიეროდ, ევროსაგზურის მოპოვების იმედი თასზე გვაქვს. მერვედფინალიდან "ბატე" გავაგდეთ და იქნებ წარმატებას მივაღწიოთ.

**- პუნტუსი მართლაც კარგი სპეციალისტია და მისი გუნდის მეხუთეზე გასვლა უცნაურია.**

- პუნტუსი ყველგან ახალგაზრდულ გუნდს აყალიბებს, "დინამო" კი ახლა შეუდგა იმ გზას, რომელიც თავის დროზე "ბატემ" გაიარა და, ცხადია, პირველივე სეზონში ჩემპიონები ვერ გავხდებოდით. სხვათა შორის, პუნტუსს ქართველები უყვარს, ის არა მხოლოდ კარგი მწვრთნელი, კარგი პიროვნებაც არის და მასთან მუშაობა სასიამოვნოა.

**- "ბატეს" ჩემპიონთა ლიგაში გასვლა ბელარუსის ჩემპიონატის მიმართ უცხოელთა ინტერესს გაზრდიდა.**

- უნდათ თუ არა, ევროპელებს ბელარუსში ჩამოსვლა და ჩემპიონატის მატჩებზე დასწრება უწევთ, რადგან "ბატე" ხან ჩემპიონთა ლიგაშია, ხანაც ევროპის ლიგაში და მოწინააღმდეგეები აკვირდებიან. "ბატე" მაღალ დონეზე გავიდა, აგერ, "ალკმაარს" 5:1 მოუგო. ზოგს ჰგონია, უმართლებს. გუნდი, რომელიც ჩემპიონთა და ევროპის ლიგებში ხვდება და ღირსეულად თამაშობს, ძლიერია, გამართლება არაფერ შუაშია.

საერთოდ, ვერ წარმოვიდგენდი, ბელარუსის ჩემპიონატი ჩვენსაზე ბევრად ძლიერი თუ იქნებოდა. ამაში დასარწმუნებლად მხოლოდ მოედნების ნახვა იკმარებს: საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ იქ თამაში დიდი სიამოვნებაა. მოედნები კი არა, ხალიჩებია.

ფიზიკურ მომზადებაშიც ბევრით გვისწრებენ და წარმატებებს ამის ხარჯზეც აღწევენ. აშკარად ვგრძნობ, რომ გავიზარდე და მოედანზე გაცილებით მეტს ვმოძრაობ, ვიდრე ამას საქართველოში ვახერხებდი.

**- "დინამოსთან" კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

- ერთი წლის შემდეგ, მაგრამ ჯერ კლუბიდან წასვლას არ ვაპირებ, "დინამოში" პერსპექტივას ვხედავ და მირჩევნია, დავრჩე. იყო სხვა ვარიანტები, მაგრამ ბრესტელებმა დარჩენა მირჩიეს.

**- ასეთი კარგი კლუბი თუა, გია კვარაცხელიამ რატომ დატოვა?**

- პრობლემები ჰქონდა და წასვლა გადაწყვიტა. თუმცა მას შემდეგ ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდა და ხელფასებს აღარ აგვიანებენ.

**- კვარაცხელიასგან განსხვავებით, ბევრისთვის უცნობია შენი მეორე თანაგუნდელი უჩა გოგოლაძე.**

- 20 წლის ნიჭიერი ბიჭია, თამაში დუბლებში დააწყებინეს, სადაც 16 გოლით ბომბარდირი გახდა და ძირითადში გადმოიყვანეს. 18-კაციან განაცხადში ბოლოს თითქმის ყოველთვის ხვდებოდა.

სხვათა შორის, ბელარუსში დაბრუნდა მარცხენა მცველი ლაშა დეკანოსიძე, რომელიც თავის დროზე "ბატემ" ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შეიყვანა. ის ახლა ჟოდინოს "ტორპედოშია", მაგრამ ახალი მწვრთნელი აღარ ათამაშებს.

**- ბოლო დროს ქართველებს ბელარუსში ძველებურად აღარ ენდობიან.**

- მე ასე ვიტყვი, კარგ ფეხბურთელზე უარს არსად ამბობენ, გინდა ქართველი იყოს, გინდა ალბანელი. ჩვენებს უფრო იმიტომ აღარ იწვევენ, რომ საქართველოს ჩემპიონატს სახელი გაუტყდა და ყველამ იცის, რა პირობებში ვართ. სამწუხაროდ, პირობების არქონის გამო მათზე სუსტი ჩემპიონატი გვაქვს. "ზესტაფონი", "დინამო", "ოლიმპი", "ტორპედო" და "ვიტ ჯორჯია" პირველობის დონეს კიდევ უნარჩუნებენ, მაგრამ საერთო ფონის გასაუმჯობესებლად სხვა კლუბების გაძლიერებაც გვჭირდება. მთავარია, ბელარუსში ყველა გუნდს კარგი მოედნები აქვს.

**- ექნებათ, როდესაც მათი პრეზიდენტი ლუკაშენკო მთავრობის სხდომის შემდეგ მინისტრებს ხან ჰოკეიში ავარჯიშებს და ხან ფეხბურთში, წარმოება გამართულია და ბიზნესიც სპორტს პატრონობს.**

- ლუკაშენკო ჰოკეის გულშემატკივარია და მინისტრებთან ერთად მართლა ვარჯიშობს. თუმცა ფეხბურთსაც პატრონობს, სტადიონებს და სპორტულ კომპლექსებს აშენებს.

**- გუნდში ერთი მაგარი კაციც გყავს, მწვრთნელიც არის და თანაგუნდელიც.**

- იური პუდიშევი? მართლა მაგარი კაცია, 56 წლისამ ითამაშა და მთელი მსოფლიო აალაპარაკა. ბუნებრივია, ჩვენსავით ველარ დარბის, მაგრამ ბურთს ვერ აართმევ, 5 წუთი შემოჰყავთ, თავადაც ერთობა, გულშემატკივარიც და ჩვენც კარგ ხასიათზე გვაყენებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ალექსანდრე ამისულაშვილთან

# რა შეცვალა შოთა არველაძემ? აზროვნება

## მაქსიმალისტი ქართველი მცველი მეტს უმიზნებს

**ჩვენი სხვა ლეგიონერების მსგავსად, ეროვნული ნაკრებისა და თურქული „კაისერისფორის“ მცველი ალექსანდრე ამისულაშვილიც სამშობლოში ატარებს საშობაო არდადეგებს. ალეკომ „ბენდელას თასზეც“ ითამაშა და სწორედ ამ ტურნირისას ვესაუბრეთ.**

- სეზონის დაწყებამდე ვინმეს რომ ეთქვა, „კაისერისფორი“ პირველ წრეს მეოთხე ადგილზე დაასრულებსო, ძალიან კარგ შედეგად ჩავთვლიდი. ეს იმიტომ, რომ სეზონის წინ გუნდი მწვრთნელიანფეხბურთელებიანად შეიცვალა და ყოველივე ამის შემდეგ კარგი შედეგის მისაღწევად დრო იყო საჭირო. ახლა კი, ვფიქრობ, რომ უკეთესი შედეგიც შეიძლებოდა. თუმცა ამასაც თავისი მიზეზი აქვს. ბოლო ხუთ-ექვს ტურში ლიდერები, სალაიეტა, კანგელე, მორისი და კიდევ სამი-ოთხი სხვა ფეხბურთელი ტრავმის გამო გვაკლდა. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ნორმალური შედეგი ვაჩვენეთ.

**- არადა, პირველ-მეორე ადგილებზეც იყავით. მხოლოდ ტრავმებმა დაგხიათ უკან თუ გუნდი გადაიღალა კიდეც?**

- გადაღლა არაფერ შუაშია, გუნდი საკმაოდ კარგად არის მომზადებული. 17 ტურიდან 10 მატჩი თავდამსხმელის გარეშე ჩავატარეთ. ასეთ ვითარებაში რომ ხარ და რიკოშეტით ბურთს გაუშვებ, უფორვარდოდ ძნელია თამაშის შემობრუნება. ამას გარდა, რამდენიმე შეხვედრაში მსაჯებმა ისეთი შეცდომები დაუშვეს, გაოცებული დავრჩი. არბიტრთა შეცდომების გამოც დავკარგეთ ქულები...

**- პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდით, თან თურქეთში სადებიუტო სეზონი გაქვთ. საკუთარი თამაშით კმაყოფილი უნდა იყოთ.**

- მე და ჩემი თანაგუნდელი, მარცხენა მცველი ჰასან ალი კალდირიმი მოვხვდით სიმბოლურში. სხვათა შორის, კალდირიმი გასულ სეზონშიც იყო „კაისერისფორში“, მაგრამ თამაში არ უწევდა. შოთა არველაძე მას ენდო და ახალგაზრდულ ნაკრებშიც მოხვდა. ახლა კი ჩვენი გუნდის საიმედო მცველია. მარჯვენა მცველი სერდარ კემშალიც შოთამ აათამაშა და 17 ნოემბერს ჰოლანდიასთან მატჩში დებიუტი ჰქონდა ეროვნულ ნაკრებში.

საკუთარ თავზე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს. ვფიქრობ, სტაბილურად და საიმედოდ ვითამაშე. ცენტრალური მცველი სწორედ ამით ფასობს. სადებიუტო სეზონი, უცხო გარემო, ენის პრობლემა... ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო, ამ დონეზეც ვერ მეთამაშა... კარგია, პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში რომ მოვხვდი, მაგრამ მაქსიმალისტი ვარ და ამით არ დავკმაყოფილდები.

**- მშვიდი და საიმედო დაცვაში, სწრაფი აზროვნება, თავით კარგი თამაში, - ასე შეგაფასეს თურქმა ჟურნალისტებმა. თანაც 17 მატჩში ორი გოლი გაიტანეთ. ცენტრალური მცველისთვის კარგი შედეგია, მით უმეტეს, რომ გადამწყვეტი ბურთები შეაგდეთ...**

- ორივე თამაში მოვიგეთ, როცა გოლები გავიტანე. „სივასფორთან“ 4:1 კი ვიმარჯვეთ, მაგრამ ვაგებდით. ჯერ კეშიმალმა გაათანაბა ანგარიში, მეორე ტაიმის დასაწყისში კი ჩემი გოლით დავწინაურდით. „კაშიმფაშასთანაც“ ვაგებდით, მარსელო სალაიეტამ წონასწორობა აღადგინა, მე კი ჩვენები დავაწინაურე... სხვათა შორის, ბოლო მატჩი „ბუქასფორთან“ 2:0 მოვიგეთ. ამ თამაშში 0:0-ზე გავიტანე, მაგრამ არბიტრმა ასპროცენტიანი გოლი არ ჩათვალა. სხვა თამაშებშიც შემეძლო გატანა, მაგრამ... შევეცდები, მეორე წრეში მეტი გავიტანო.

**- უკანა ხაზში თურქების გარემოცვაში გიწევთ თამაში. ენის ცოდნა, მით უმეტეს, მცველისთვის აუცილებელია. თურქული თუ ისწავლეთ?**

- თურქული ჯერ კარგად არ ვიცი, თუმცა სამი-ოთხი თვის წინ საერთოდ არაფერი ვიცოდი. ახლა აღარ მიჭირს და ენის პრობლემა მალე მთლიანად მოგვარდება.

**- რუსეთის ჩემპიონატის შემდეგ თურქული სუპერლიგა როგორია?**

- რუსეთის ჩემპიონატი თურქეთისაზე ცოტა უკეთესი დონისაა. რუსული კლუბები ევროტურნირებზე დამაჯერებლად თამაშობენ, თურქულმა გუნდებმა კი ბოლო წლების მსგავსად წლეულსაც მოიკოჭლეს. თურქულ ფეხბურთში დიდი ფულია, მაგრამ იმდენი ნამდვილად არ არის, რამდენიც რუსეთშია. გულშემატკივარი კი თურქეთში უფრო აქტიურია.



**- თურქული გრანდები ჩემპიონატშიც ვერ ყოჩაღობენ. ცნობილი ტრიოდან სამეულში მხოლოდ „ფენერბაჰჩეა“, თანაც მესამე ადგილზე. „ბეშიქთაში“ მეხუთეზეა, „გალათასარაი“ კი სულაც მეცხრეზე. ამას რით ახსნით?**

- მთავარი მიზეზი არასტაბილურობაა. გრანდებმა ბევრი ქულა დაკარგეს. პირველ წრეში ყველაზე სტაბილურად და დამაჯერებლად „ტრაბზონსფორმა“ ითამაშა და ცხრილს სათავეში სრულიად დამსახურებულად უდგას. შენოლ გიუნეშს სხვებზე უკეთესი შემადგენლობა ჰყავს და კარგ ფეხბურთსაც ათამაშებს გუნდს.

**- გასულ სეზონში „კაისერისფორი“ მერვე ადგილზე გავიდა. თურქი ჟურნალისტებიც ერთხმად აღნიშნავენ, რომ გუნდი ახლა უკეთესად და შედეგიანად თამაშობს. მაინც, რა შეცვალა შოთა არველაძემ, რომელსაც მთავარი მწვრთნელის რანგში სადებიუტო სეზონი აქვს?**

- თანაგუნდელებმა მითხრეს, გასულ სეზონში უფრო სირბილზე, ორთაბრძოლასა და ფიზიკურ გამძლეობაზე იყო აქცენტი. გუნდი ძალისმიერ ფეხბურთს აჩვენებდა. შოთა კი სწრაფი და მოკლე პასით თამაშს, სწრაფ აზროვნებას ითხოვს. ფეხბურთელები უაზროდ არ იგერიებენ ბურთს და გამიზნულად აძლევენ პასს. ამას გარდა, შოთამ კლუბში ფეხბურთისადმი მიდგომაც შეცვალა. ახლა კონკრეტულად ამა თუ იმ პოზიციის გაძლიერებისთვის მიმდინარეობს საჭირო ფეხბურთელების მოძიება და შერჩევა. ვფიქრობ, სწორედ ეს არის შოთას და ჩვენი გუნდის წარმატების საიდუმლო.

**- ზამთრის შესვენებისას, ალბათ, თქვენი გუნდიც გაძლიერდება...**

- ერთი თავდამსხმელი უკვე დავიმატეთ, წარმოშობით ბოსნიელია და შვედეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობს. ალბათ სამ-ოთხ ფეხბურთელს კიდევ შევიძენთ, თორემ ზოგ თანაგუნდელს ისეთი ტრავმა აქვს, შესაძლოა, ბოლო ტურებამდე ვერ შეძლონ თამაში. სალაიეტამ ფეხის თითი მოიტეხა და იანვარში უკვე დაიწყებს ვარჯიშს, კანგელეს მუხლის მყესები გაუწყდა და სამი თვე ვერ დაგვეხმარება.

**- რომელ ხაზში გინდათ გაძლიერება?**

- თავდასხმასა და ნახევარდაცვაში. დაცვის ხაზით ყველა კმაყოფილია, ჩვენი მეკარე კი თურქეთში საუკეთესოა. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ 17 ტურში მხოლოდ 12 ბურთი გაგვიტანეს. ჩვენზე ცოტა, 10 ბურთი მარტო „ტრაბზონსფორმა“ გაუშვა.

**- თქვენს გუნდს გოგიტა გოგუას დამატებაც უნდოდა, ეს თავად მან გვითხრა...**

- ეს ახლა წარსულია, გოგუა უკვე „ვოლგას“ ფეხბურთელია და ახალ გუნდში წარმატებებს ვუსურვებ.

**- სხვა რომელიმე ქართველის დამატებას ხომ არ გეგმავთ?**

- ჯერჯერობით მსგავსი არაფერი მსმენია და ვნახოთ.

**- თურქულ ვებგვერდებზე დაიწერა, არველაძეს ფათიჰ თეკეს დამატება უნდაო...**

- მეც გავიგე, სატრანსფერო პერიოდი დაწყებულია და ვნახოთ...

**- როდის იკრიბებით და რა მიზნისთვის იბრძოლებს „კაისერისფორი“?**

- 3 იანვარს შევიკრიბებით და ანთალიაში მოვემზადებით, 23 იანვარს კი სეზონი განახლდება. ჩვენი მიზანი ხუთეულში მოხვედრაა, ახლა მეოთხეზე ვართ და იმედი მაქვს, ჩანაფიქრს განვახორციელებთ.

**- წლის ბოლოა და ნაკრების შედეგებზეც ვთქვათ.**

- ვფიქრობ, ჩვენს ნაკრებს სასიამოვნოდ მოულოდნელი და წარმატებული წელი ჰქონდა. ამდენი წაგების შემდეგ გუნდს მებრძოლი სული დაუბრუნდა და თუ ადრე იოლად გვიგებდნენ, ახლა ყველამ იცის, რომ ჩვენს ნაკრებთან უჟღელ ქულებს ვერ დაგეგმავ. იმედია, 2011 წელი უკეთესი იქნება.

**დავით ცაბაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კვირკველია: ანჟი ან...

საქართველოს ნაკრების მცველმა **დავით კვირკველიამ** ახლახან ყაზანის „რუბინი“ დატოვა, რისი მიზეზიც უთამაშებლობა იყო. პრემიერლიგის პირველ წრეში ჩვენებური მახაჭყალის „ანჟიში“ იყო განათხოვრებული, სადაც სტაბილურად თამაშობდა. თუმცა დათოს ჩემპიონატის მეორე ნახევრის გატარებამ ისევ „რუბინში“ მოუწია, მაგრამ არც ერთ შეხვედრაში არ უთამაშია. კვირკველიას ყაზანელთა კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა, თავისუფალი აგენტი გახდა და, ბუნებრივია, ზამთრის შესვენებისას მის ტრანსფერს უნდა ველოდოთ. ჩვენებურს მსურველიც ჰყავს - კვირკველიას დაბრუნება მახაჭყალის „ანჟის“ უნდა.

თავისუფალ აგენტზე, მით უმეტეს, ეროვნულ ნაკრებში ხშირად მოთამაშე ფეხბურთელზე მოთხოვნა ყოველთვის არის და კვირკველიათი კიდევ ერთი რუსული კლუბი, სამარის „კრილია“ დაინტერესდა. სამარელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრ ტარხანოვია**. „კრილიამ“ გასულ სეზონში პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნა, მე-13 ადგილზე გავიდა. ამ კლუბის წარმომადგენლები კვირკველიასთან მოლაპარაკებას ახალი წლის დღეების შემდეგ დაიწყებენ.

**დავით ცაბაძე**

სასამართლოს მოლოდინში

# დემეტრაძეს ნაახალწლევს გაასამართლებენ

ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **გიორგი დემეტრაძე** სამართალდამცავებმა წლეულს, 8 ივლისს დააკავეს. მას ქურდულ სამყაროსთან კავშირში და ფულის გამოძალვაში მონაწილეობაში ადანაშაულებენ. სასამართლომ დემეტრაძეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. ქართულმა საფეხბურთო სამყარომ მისი გათავისუფლების თხოვნით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს, ქვეყნის პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს წერილით მიმართა. **კახა კალაძემ** სპეციალურ პრესკონფერენციაზე გამოთქვა მზადყოფნა, დემეტრაძეს თავდებში დაუდგეს და მისი გირავნობის წესით გათავისუფლება ითხოვა. ასეთივე განცხადება გააკეთა უკრაინულმა საფეხბურთო კლუბმა დონეცკის „მეტალურგმაც“, სადაც ქართველი თავდამსხმელი წლების განმავლობაში თამაშობდა.

ორთვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა კარგა ხნის წინ გავიდა. დემეტრაძე კვლავ დაკავებულია, მისი სასამართლო პროცესი კი არაერთხელ გადაიდო. ახლა კი გაირკვა, რომ სასამართლო 4 იანვარს შედგება. ქვეყნის პრეზიდენტმა არაერთი პატიმარი შეიწყალა, რომლებიც სახლში შეხვდებიან ახალ წელს. ქართულ საფეხბურთო წრეებში იმედოვნებენ, რომ დემეტრაძესაც შეიწყალებენ.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ბენდელას თასი

# მოგონებები მომავალზე: ჩივაძე, ცხადაძე...

... თითქმის ერთი კვირის განმავლობაში საფეხბურთო სკოლა „საბურთალო“ საფეხბურთო „ოაზისად“ იყო ქცეული: ტრადიცია არც ახლა დაირღვა და აფხაზეთში გმირულად დაღუპული ფეხბურთელის **ზაზა ბენდელიანის** ხსოვნის ტურნირი კვლავაც მასშტაბურად ჩატარდა. ამჯერად, საიუბილეო, XX გათამაშება იყო და როგორც წინა წლებში, „ბენდელას თასზე“ ახლაც უამრავ საინტერესო პერსონას შეხვდებოდით: საქართველოს ეროვნული თუ სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების წევრებს, ლეგიონერებს, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდების წამყვან მოთამაშეებს და ასე შემდეგ. რაღა თქმა უნდა, უცვლელი დარჩნენ ტურნირის ორგანიზატორები — ძმების, **ქართლოს და კახა ჭუმბურიძეების** უდიდესი მონდომებით „ბენდელას თასი“ უკვე ორი ათეული წელია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გათამაშებაა. ვიდრე ტურნირის დასკვნით დღესა და გამარჯვებულებზე ვისაუბრებდეთ, ის ორგანიზაციები თუ კომპანიები უნდა ვახსენოთ, ასევე წლების განმავლობაში „ბენდელას თასის“ აქტიური მხარდამჭერები რომ იყვნენ. ოღონდ, ამ შემთხვევაში ჩვენც გვინდა გათამაშების ერთ-ერთ ორგანიზატორს ქართლოს ჭუმბურიძეს დავეთანხმოთ და ქვემოთ ჩამოთვლილ კომპანიებს, სპონსორების ნაცვლად... ტურნირის მეგობრები უნდა ვუწოდოთ: „იბერია ბიზნეს ჯგუფს“, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს, თბილისის ფეხბურთის ფედერაციას, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციას, „ყავა პელეს“, „მაკდონალდსს“, „სარაჯიშვილს“, „ქართულ ტრადიციულ ღვინოს“, „კრომბახერს“, „ყაზბეგს“, „ჯეოსელს“, „ოპენ ფან ფუტბოლს“ „ოილლენდს“, „ალგორითმს“...

... ტურნირის დასკვნით დღეს ჯერ ძირითადი ტურნირის მესამე ადგილისათვის მატჩი ჩატარდა, სადაც „ბენდელას თასის“ ერთ-ერთმა ფავორიტმა „ოქროს თევზმა“ გაიმარჯვა. ისე, ამ გუნდს ბევრი მართლაც საბოლოო წარმატებას უწინასწარმეტყველებდა (**დავით მუჯირი, ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, დავით სირაძე, აკაკი კაკაშვილი**), მაგრამ ნაადრევად მონათლულ ფინალში ასევე ერთ-ერთ ფავორიტ სეუ-სთან ნახევარფინალში დამარცხდა. დიდებს შორის ფინალამდე, პატარების გადამწყვეტი მატჩი ჩატარდა, სადაც გამარჯვება „შევარდენს“ დარჩა. და აი, „ბენდელას თასის“ გადამწყვეტი მატჩის დროც დადგა: სეუ და „საბურთალო“ მართლაც ღირსეული ფინალისტები იყვნენ და ყოველივე ეს დაძაბულმა და საინტერესო შეხვედრამაც დაადასტურა. ფინალისტებმა მოედანზე შემდეგი შემადგენლობები გამოიყვანეს: **რევაზ თევდორაძე, შოთა კუბლაშვილი, დავით ოდიკაძე, გურამ კაშია, გიორგი ჩივაძე, გოჩა ჭოველიძე, ამირან ცხომარია, ლაშა ნოზაძე, ბაჩანა ცხადაძე, გიორგი ნავალოვსკი** (სეუ); **დავით ლეგაშვილი, დავით სოლოღაშვილი, დავით ხოჭოლავა, ბესიკ ამაშუკელი, სანდრო რეხვიაშვილი, ლაშა პარუნაშვილი, ვაკო ყაზაიშვილი, გიორგი ჭანტურია, გოგიტა გოგუა, კოტე გაბაშვილი, დავით გოგოლაძე** („საბურთალო“).

... პირველ ტაიმში შედარებით აქტიურად „საბურთალო“ გამოიყურებოდა, რომლის ძირითად ბირთვს **გიორგი დევდარიანის** ფორმაციის 17-წლამდელთა ნაკრების წევრები წარმოადგენდნენ. პლუს სამი გამოცდილი ფეხბურთელი (დავით სოლოღაშვილი, დავით გოგოლაძე, გოგიტა გოგუა); აი, სეუ კი ლეგიონერებისა და საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. თანაც, ისეთი შთაბეჭდილებაც რჩებოდა, რომ ამ ტიპის მოედნებისათვის „საჭირო“ ფეხბურთს სეუ უფრო თამაშობდა, ვიდრე - „საბურთალო“. ყოველ შემთხვევაში, იმავე პირველ ტაიმში „საბურთალოს“ თუ უფრო მეტი სახიფათო მომენტი ჰქონდა, სამაგიეროდ სეუ უფრო ორგანიზებულად გამოიყურებოდა. შეხვედრის პირველ ნახევარში მოედანზე ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა სეუ-ს მეკარე რევაზ თევდორაძე გახლდათ — „გაგრას“ ყოფილმა მეკარემ, სულ მცირე, სამჯერ გადაარჩინა თავისი გუნდი, როცა **გიორგი ჭანტურიას, ბესიკ ამაშუკელსა** და **გოგიტა გოგუას** რთული ბურთები აუღო. თვითონ სეუ-ს კი მხოლოდ ერთი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი ჰქონდა, როცა ჰოლანდიური „ვიტესისა“ და საქართველოს ნაკრების მცველი **გურამ კაშია** ეფექტური დარტყმით ცდილობდა გოლის გატანას.

...დაძაბულობა არც მეორე ტაიმს აკლდა, განსაკუთრებით კი იმის შემდეგ, როცა ბაქოს „ინტერის“ ნახევარმცველმა **დავით ოდიკაძემ** შორეული დარტყმით ბურთი **დავით ლეგაშვილისგან** მარჯვენა დაბალ კუთხეში ზუსტად გაგზავნა. გაშვებული გოლის შემდეგ „საბურთალომ“ ზედიზედ რამდენიმე შეტევა მიიტანა მეტოქის კართან, მაგრამ უშედეგოდ; თანაც, რევაზ თევდორაძე კვლავაც უშეცდომოდ თამაშობდა და ამას გარდა, გიორგი ჭანტურიასა და დავით გოგოლაძის დარტყმების შემდეგ ბურთი ორჯერ მოხვდა სეუ-ს კარის ძელს. თავის მხრივ, სეუ კვლავაც გონივრულად აკონტროლებდა თამაშის რიტმს და მატჩის მეორე გოლიც, ალბათ, ლოგიკურიც იყო: **გიორგი ჩივაძემ** კუთხურიდან უზუსტესი პასით **ბაჩანა ცხადაძე** მოძებნა და ბაქოს „ინტერის“ კიდევ ერთმა ფეხბურთელმა თავის გუნდს ორბურთიანი უპირატესობა მოუპოვა. მატჩის ბოლომდე ორივე გუნდს ჰქონდა რამდენიმე მომენტი, თუმცა ყველაზე რეალური შანსი მაინც **ლაშა ნოზაძეს** ჰქონდა, მაგრამ დავით ლეგაშვილმა კარი დროულად დატოვა. ამ ეპიზოდში ერთ რამედ ღირდა გიორგი ჩივაძის მართლაც ზღაპრული პასის ხილვა, - დიდი „დინამოს“ ლეგენდარული კაპიტნის **ალექსანდრე ჩივაძის** ვაჟმა მთელი ტურნირი ჩინებულად ჩაატარა და სრულიად დამსახურებულად გახდა კიდეც „ბენდელას თასის“ ამ გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელი. აქვე, ტურნირის სხვა ნომინანტებსაც გაგაცნობთ: საუკეთესო მეკარე - **რევაზ თევდორაძე**, საუკეთესო არბიტრი - **შოთა ქუხილავა**, „ყველაზე მებრძოლი ფეხბურთელი“ - **დავით დუიშვილი**, საუკეთესო ბომბარდირი კი 7 გატანილი გოლით **დავით მუჯირი** გახდა; ისე, ვინ მოთვლის, „მუმუს“ რამდენი ინდივიდუალური პრიზი აქვს მოპოვებული „ბენდელას თასზე“...

დაბოლოს, სპეციალურ პრიზებზეც, რომლებიც გადაეცათ დავით ოდიკაძესა და სეუ-ს რექტორ **გია კავთელაშვილს**; ამას გარდა, „იბერია ბიზნეს ჯგუფმა“ ასევე სპეციალური პრიზი დააწესა ქართული ფეხბურთის ამაგდარი პიროვნებისათვის, „ბენდელას თასის“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი მონაწილისა და ორგანიზატორისათვის, ბატონი **თენგიზ კუბლაშვილისთვის.** ეს პრიზი კი შვილიშვილმა, სეუ-ს შემადგენლობაში ტურნირის გამარჯვებულმა **შოთა კუბლაშვილმა** ჩაიბარა...

**გია ტუხაშვილი**



გურამ კაშია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



ბენდელას თასის გამარჯვებული - სეუ

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ბავშვთა ფეხბურთი



# ნორჩი დინამოელი ბავშვთა ფეხბურთის ამქარში

**რამდენიმე თვის წინ "ნორჩ დინამოელზე" სხვადასხვაგვარი აზრი გავრცელდა. ზოგის თქმით, სკოლის სავარჯიშო მოედანი გაიყიდა და იქ სახლები უნდა აშენდეს. საბოლოოდ, საზოგადოებამ შეიტყო, რომ "ნორჩი დინამოელი" არათუ იყიდება, პირიქით მშვენდება.**

**შპს "ნორჩი დინამოელი" 2006 წელს დაარსდა, მას შემდეგ, რაც თბილისის "დინამოს" ფარმ-კლუბის სტატუსი საბოლოოდ ჩამოშორდა. წლების განმავლობაში ის თბილისის "დინამოს" დუბლშემადგენლობად ითვლებოდა.**

**მდგომარეობა შეიცვალა. საფეხბურთო სკოლას ახალი მეპატრონე ჰყავს. "ნორჩი დინამოელი" ებრაელმა ბიზნესმენმა შეიძინა და მის კეთილმოსაწყობად შესაბამისი თანხაც გაიღო.**

**რუბრიკის სტუმრები არიან "ნორჩი დინამოელის" დირექტორი ოთარ შენგელია და მისი ძმა, ამავე სკოლის მწვრთნელი ავთანდილ შენგელია.**

## სასიცოცხლო არტერია

ბოლო წლებში ბავშვთა ფეხბურთი საქართველოში აქტუალური თემაა. საფეხბურთო სამყაროში ჩახედულნი მსჯელობენ, კამათობენ და ცდილობენ, მოძებნონ ბავშვთა ფეხბურთის პრობლემების გადასაჭრელი გზა. ავთანდილ შენგელია: *"თუ გვინდა, რომ ფეხბურთი მაღალი დონისა გვქონდეს, აუცილებელია მასობრიობა და ფეხბურთით დაკავებულ ბავშვთა რაოდენობის გაზრდა. სკოლებში უნდა შეიქმნას საფეხბურთო გარემო, მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა, დაჩქარდეს მწვრთნელთა გადამზადება. ბავშვი, მშობელი, შესაბამისი საფეხბურთო გარემო, - ეს არის განვითარების აქსიომა".*

## მწვრთნელთა გადამზადება

C კატეგორიის მფლობელ მწვრთნელს შეუძლია იმუშაოს 6-დან 9 წლამდე ბავშვებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან, ვეტერანებთან, ასევე მოხალისე მწვრთნელად. ევროპაში ეს პროცესი დიდი ხანია აპრობირებულია. ისევ ავთანდილ შენგელიას მოვუსმინოთ: *"საქართველოში საფეხბურთო სკოლებს არ აქვთ იმდენი შესაძლებლობა, მწვრთნელთა გადასამზადებლად შესაბამისი თანხები გამოჰყონ. C კატეგორიის ლიცენზია 400 ლარი ღირს. B, A და პრო, შესაბამისად, უფრო ძვირი. ფედერაციამ რომ თითოეულ სკოლას C კატეგორის სამი ან ოთხი, B კატეგორიის ორი, ხოლო A კატეგორიის ერთი მწვრთნელი უფასოდ მოამზადოს, პრობლემაც გადაიჭრებოდა".*

## ვიბრძოლოთ, რათა დავეწიოთ

საქართველოში ოფიციალურად დაახლოებით 17 000 პროფესიონალი ფეხბურთელია. განსხვავება ევროპულ ქვეყნებთან? მაგალითად, ჰოლანდიის მოსახლეობის 10 პროცენტი ფეხბურთს თამაშობს, მათ შორისაა გოგონათა საკმაოდ დიდი რაოდენობა. ევროპაში ფეხბურთის მასობრიობა არის მიზანი, რომელიც ქმნის პროდუქტს, ნიჭიერ ახალგაზრდებსა და გამართულ საფეხბურთო გარემოს.

"ნორჩ დინამოელში" დაახლოებით 500-მდე ბავშვი ირიცხება. მათი რაოდენობის გაზრდა თამამად შეიძლება, რადგან შესაბამისი საფეხბურთო გარემო ამის საშუალებას იძლევა.

## სწავლის შესაძლებლობა

ისევ ევროპას გადავხედოთ. იტალიურ საფეხბურთო სკოლებში სწავლის გადასახადი სეზონურად 400-500 ევროა. სხვა საფეხბურთო ქვეყნებშიც დაახლოებით ამდენივე.

ავთანდილ შენგელია: *"არის სკოლები, სადაც სწავლა 85 ლარი ღირს. ჩვენთან ბავშვები თვიურად 50 ლარს იხდიან. ეს ფული კომუნალურ გადასახადებში, მომსახურე პერსონალისა და მწვრთნელთა ხელფასებში იხარჯება. ბავშვების ფორმებით მომარაგებაზე მშობლები თავად ზრუნავენ. ყოფილა შემთხვევა, კონკრეტულ ასაკობრივ გუნდს თავისი სპონსორი ჰყოლია. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ "ნორჩ დინამოელში" ნიჭიერი ახალგაზრდები და შეჭირვებულ ოჯახთა შვილები გადასახადისგან თავისუფლები არიან".*

## ნორჩი დინამოელის შიდა სამზარეულო

**ოთარ შენგელია:** ებრაელმა ინვესტორმა სასუნ ჰოკმა "ნორჩი დინამოელის" აქციები შეიძინა და სკოლის ასალორძინებლად ფული გაიღო, რის შემდეგაც სკოლაში სერიოზული რეკონსტრუქცია ჩატარდა. საფეხბურთო გარემოს მოსაწესრიგებლად ნახევარი მილიონი დაიხარჯა. ახლა 7-დან 13-წლამდე ბავშვები "შრომითი რეზერვების" მოედანზე ვარჯიშობენ, სადაც ბოლო თაობის ხელოვნურსაფრიანი მოედანი დაიგო, გარემონტდა ორი საშხაპე. თემქაზე მდებარე "სიხარულის" სტადიონზე უფროსი ასაკის მოზრდილები ვარჯიშობენ, იქ მათ ყველა პირობა აქვთ ნაყოფიერი წვრთნისათვის.

**- როგორც ცნობილია, "ნორჩ დინამოელს" რამდენიმე მოედანი დაემატა...**

- დიახ, ვარკეთილის სკოლა "ედელვაისი", საფეხბურთო სკოლა "მერანის" მოედანი, გლდანის სკოლა-ინტერნატის ორი არასტანდარტული მოედანი და თემქაზე "სიხარულის" სტადიონი დავიმატეთ.

**- შესაბამისად, მწვრთნელთა რაოდენობაც გაიზრდებოდა...**

- ბავშვებთან ამჟამად 23 მწვრთნელი მუშაობს.

**- სამწვრთნელო ლიცენზია ყველას აქვს?**

- ყველას არა, თუმცა უახლოეს მომავალში აუცილებლად აიღებენ. ამისათვის გარკვეული ვადები დავუწესეთ.

**- ფეხბურთის ფედერაცია საფეხბურთო სკოლების ლიცენზირებას იწყებს. "ნორჩი დინამოელი" მზად არის ხარისხის დამადასტურებელი ვარსკვლავების ასაღებად?**

- სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ სამი ვარსკვლავის მიღებას ვგეგმავთ. რა არის საჭირო, რომ ვარსკვლავები მივიღოთ? კარგი მოედნები, საშხაპე-გასახდელები, შესაბამისი კვალიფიკაციის მწვრთნელები და საფეხბურთო გარემო. ჩვენ ეს ყველაფერი გვაქვს. ორი თვეა, რაც რეკონსტრუირებული ბაზები გაიხსნა. სამუშაოები კვლავ გრძელდება.

**- კიდევ რას გეგმავთ?**

- გვსურს, სკოლის აღსაზრდელებს საფეხბურთო კლუბ "დინამოს" ფერებით გაფორმებული ფორმები შევუკეროთ. შევქმნათ შესაბამისი ლოგო, რადგან "ნორჩი დინამოელი" არ არის მხოლოდ ბრენდი, ეს არის დიდი ისტორიის მქონე სკოლა. უახლოეს მომავალში ბავშვების მოსაზიდად სარეკლამო ღონისძიებებსაც ვგეგმავთ.

**სალომე ხარატიშვილი**



ვან დერ სარი ამაოდ დაშვრა

სერ ალექს ფერგიუსონმა მსაჯი **ლი მეისონი** კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცის რწმენით, სწორედ რეფერიმ გამოსტაცა მის გუნდს ბირმინგემში ნაღდი სამი ქულა - „იუნაიტედი" 1:0-ს იგებდა, მაგრამ ბოლო წამს გაუშვა. მასპინძელთაგან **ლი ბოიერმა** გაიტანა, თუმცა ფერგიუსონი ამტკიცებს, რომ ეს გოლი არ უნდა ჩაეთვალათ. „იუნაიტედის" შეფმა თქვა:

*„ჯარიმა იყო, მოწინააღმდეგემ ხელით ითამაშა. თუ მსაჯი ასეთ რაღაცებს ვერ ამჩნევს, რასაკვირველია, ვერც გაიმარჯვებ. არაფრის შანსი არ გექნება. ასეთ უსამართლობასთან შეგუება ძალიან ძნელია. ჩვენ „ბირმინგემს" ვაჯობეთ და გამარჯვებას ვიმსახურებდით. განსაკუთრებით კარგად მეორე ტაიმში ვითამაშეთ.*

*პირველი ტაიმი მოსაწყენი იყო, არაფერი ხდებოდა, მაგრამ შესვენების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ბევრს ვუტევდით და კიდევ გვმართებდა გოლების გატანა. მართალია, ჯობდა საქმე ადრევე მოგვემთავრებინა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსაჯს ჩვენს კარში გოლის უსამართლოდ ჩათვლა ეპატიება".*

ანგარიში **დიმიტარ ბერბატოვმა** გახსნა, ბოიერმა კი **ნიკოლა ჟიგიჩის** პასით გაქვითა. ბირმინგემელთა კომბინაცია

## გამოხმაურება

# ხელის უფლება

ასე განვითარდა: მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებულ ბურთს ჟიგიჩი და მანჩესტერელი მცველები აუხტნენ. 30 წლის სერბმა ყველას აჯობა, ბურთს შეწვდა, ოღონდ... მკლავით ჩააგდო ის თავისუფალ ზონაში, სადაც უკვე ბოიერმა იყოჩაღა. ფერგიუსონმა დასძინა:

*„დღეს ხუთი-ექვსი გუნდი ლიდერობს, მაგრამ ახალი წლის წინ პირველ ადგილზე ყოფნას მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თუ საახალწლოდ პირველი ხარ, ესე იგი შანსი გაქვს".*

ბოიერის გოლს „ბირმინგემის" მწვრთნელმა **ალექს მაკლიშმაც** იღბლის წყალობით გატანილი უწოდა, თუმცა, ზოგადად, თავისი ბიჭების თამაში ძალიან შეაქო. საინტერესოა, რომ მაკლიშის გუნდს ბოლო 16 თვეში შინ მხოლოდ ერთი თამაში აქვს წაგებული. „მანჩესტერ იუნაიტედთან" ნათამაშებმა ფრემ „ბირმიგემ სიტი" მე-16 ადგილზე გადაიყვანა. მაკლიშმა თქვა:

*„ჩვენ დღეს დაჟინება, ყურადღება და ტაქტიკურად სწორი თამაში დაგვიფასდა. ჩემმა ბიჭებმა ზედმიწევნით შეასრულეს ყველაფერი, რაც თამაშის წინ ვთხოვე. „იუნაიტედი" ბურთს „ბირმინგემზე" მეტად ფლობდა, მაგრამ მეტწილად მოედნის სიღრმეში, სადაც ხიფათი არ გვემუქრებოდა. ასეთი თამაში გვაძლევდა ხელს.*

*მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრებმა დაცვა გაგვირღვიეს, თუმცა ჩვენ თავი ხელში ავიყვანეთ და საბოლოოდ გავათანაბრეთ კიდეც. კარგად ვაცნობიერებთ, რომ გასავარდნთა ზონას ჯერ დიდად არ გავცდენივართ, მაგრამ დღევანდელმა ქულამ ჩვენი პოზიციის გამოსწორების საქმეში შეიძლება დიდი როლი ითამაშოს".*

# ბალოტელი სამსახურში არ იცინის

**მარიო ბალოტელიმ** „ასტონ ვილას" სამი გოლი გაუტანა, რამაც, როგორც ჩანს, ისეთ კარგ გუნებაზე დააყენა, რომ ნოსტალგიაც დაავიწყდა და უჟმურობაც – ისტლენდიდან წასვლას არსად ვაპირებო, გამოუცხადა ჟურნალისტებს, რომლებიც მანამდე წუწუნით აკლებული ჰყავდა. შეგახსენებთ, რომ „სიტიმ" „ვილას" 4:0 მოუგო. ბალოტელიმ თავის წილ ორი პენალტით შეაგდო, მესამე კი ჩვეულებრივ – კომბინაცია დააგვირგვინა. დღეს ისტლენდელებს პრემიერლიგის ცხრილში თავიანთი პოზიციით თავი მოაქვთ.

*„ხშირად რატომ არ ვიღიმები? მთავარია, რომ როდესაც მოლუშული ვარ, თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობ. ფეხბურთის თამაში ჩემი სამსახურია, მუშაობის დროს ღიმილი კი არ მჩვევია. მანჩესტერში თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ. ვიცი, იტალიაში გაზეთები წერენ, რომ მილანში მინდა დაბრუნება, მაგრამ ვცდილობ ყურადღება არაფერს მივაქციო. ბევრს ვმუშაობ, რათა „სიტის" შეუცვლელი ფეხბურთელი გავხდე".*

ისტლენდელთა თავკაცმა **რობერტო მანჩინიმ** ბალოტელის პრობლემები ინგლისში ახალჩასული **კრიშტიანო რონალდოს** პრობლემებს შეადარა. ერთ-ერთი ინტერვიუს დროს, როდესაც მანჩინის ჰკითხეს, საახალწლოდ რა საჩუქარს ისურვებდითო, მარიოს ღიმილსო, უპასუხა.

*„ბალოტელის ნოსტალგიაზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ის 20 წლის გახლავთ, ამ ასაკში კი ადამიანს ოჯახი განსაკუთრებით ენატრება. ჩემმა ასისტენტმა ბრაიან კიდმა მითხრა, რომ რონალდოს „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის შემდეგ, პირველ პერიოდში ზუსტად ასეთი პრობლემები ჰქონდა. ადაპტაციისთვის მასაც დრო დასჭირვებია.*

*მარიო ჯერ სწავლობს. იმისათვის, რომ საუკეთესო თამაში აჩვენოს, მან ჯერ უნდა შეიგრძნოს ეს ქვეყანა და მისი ფეხბურთი. ის ამ საკითხებზე მუშაობს და კარგად იცის, რომ როგორც საკუთარ თავზე, ასევე გუნდისთვის მეტი უნდა გააკეთოს. როგორც კი ის თავისი უმთავრესი თვისებების გამომჟღავნებას დაიწყებს, „მანჩესტერ სიტისთვის" ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდება".*



ბალოტელის პირველი ჰეთთრიკი ინგლისში

# წინ და უკან კოშმარი

**პეტრ ჩეხმა კარლო ანჩელოტის** გაკრა კბილი - „ჩელსი" ასეთ საშინელ დღეში არასდროს ყოფილაო. არა, უშუალოდ მწვრთნელზე 28 წლის მეკარეს არაფერი უთქვამს, მაგრამ რაც თქვა, მის ბოსტანში ნასროლ კენჭს ჰგავდა. ჩეხი უკვე 6 წელიწადია, რაც „სტემფორდ ბრიჯზეა" და ახლის ძველთან შედარების საშუალება აქვს. განსაკუთრებით, ის ორშაბათს, „ემირეიტ სთედიუმზე" „არსენალთან" თამაშმა დაზაფრა. ვერც ვუტევდით და თავსაც ვერ ვიცავდითო, ხელებს ასავსავებს ჩაფხუტიანი ვარსკვლავი.

*„ყველაფერი, რასაც მოედანზე ვაკეთებთ, მცდარია. ხეირიანად ვერც ვუტევთ და ვერც თავს ვიცავთ. იმას, რასაც სეზონის დასაწყისში ვაკეთებდით, როდესაც ბევრი გოლი გაგვქონდა და თითქმის არ ვუშვებდით, ველარ ვახერხებთ. პასები უზუსტოა, კომბინაციები არასწორი... ჩვენი შეტევების უმეტესობა თამაშგარე მდგომარეობით მთავრდება, დიდ შეცდომებს ვუშვებთ მოედნის ბოლო მესამედშიც, ჩვენი კარის სიახლოვეს".*

ჩეხი ამბობს, რომ „ჩელსი", დაცვის თვალსაზრისით, ისეთი საცოდავი, „არსენალთან" შეხვედრაში რომ იყო, ბოლო 6 წლის მანძილზე არ ყოფილა. მეორე ტაიმის დასაწყისში **მიკაელ ესიენისა** და **ფლორან მალუდას** შეცდომებს დიდი შემჩნევა არ სჭირდებოდა – ორივე ეპიზოდში „არსენალმა" უმარტივესი კონტრშეტევის საშუალება გამონახა და მეორე და მესამე გოლები გაიტანა. საგულისხმოა, რომ ეს კოშმარი „ლურჯებს" 100 წამის განმავლობაში დაატყდათ თავს.

*„ეს ორი მომენტი ჩვენთვის კოშმარული და უჩვეულო იყო. რაც აქ ვთამაშობ, დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში ორი გოლი, მით უმეტეს ამ ტიპის შეცდომების გამო, არასდროს გაგვიშვია. ეს „ჩელსის" ყველასთვის უცხოა, უპირველეს ყოვლისა კი თავად ჩვენთვის"*, - ამბობს გოლკიპერი.

ალსანიშნავია, რომ „მეთოფეთა" მესამე გოლმა, რომელიც **თეო უოლკოტმა** გაიტანა, დასავლეთლონდონელთა შორის კამათი გამოიწვია – **დიდიე დროგბამ ჯონ ტერის** უსაყვედურა, მალუდას ბურთი ლონის დაუტანებლად რატომ გადააწოდეო. ინგლისურმა მასმედიამ ამ ეპიზოდს მყისვე მიაქცია ყურადღება და დაასკვნა, რომ „ჩელსიში" პრობლემების ერთმანეთისთვის გადაბრალების მავნე წესი მკვიდრდება.

„ლურჯების" მეპატრონემ, რუსმა მილიარდერმა **რომან აბრამოვიჩმა**, შვიდი წლის განმავლობაში ოთხი მწვრთნელი შეცვალა. საგულისხმოა, რომ ანჩელოტის წინამორბედთაგან ასეთი ცუდი პერიოდი არც ერთს არ ჰქონია.



ჩეხმა მთელი გუნდი გააკრიტიკა

## ინგლისი. პრემიერლიგა. XX ტური



# ჯაჯგური და ვაი!

როგორც იქნა! „სტემფორდ ბრიჯზე" ქომაგმა იხილა უშნო, უფანტაზიო, მაგრამ მაინც გამარჯვება და „ჩელსისთვის" სწორედ ეს იყო მთავარი - „ლურჯებს" ასეთი საზიზღარი პერიოდი ხომ ათი წელიწადია არ ჰქონიათ. ახლა, ისინი იმედოვნებენ, რომ „ბოლტონთან" გამარჯვებით ეს პერიოდი წარსულს ჩაბარდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი **ფლირან მალუდამ** გაიტანა - ფრანგი გოლს მოწყურებული გახლდათ, ორი თვე არ შეეგდო. ბურთი ძელს გაარტყა **დიდიე დროგბამ**, ოღონდ აფრიკელს იმავე ბურთის გამოტანა თავისი კარის ხაზიდანაც მოუხდა - „ბოლტონს" თავისი წილი მომენტები ჰქონდა და შეეძლო შეხვედრა ფრედაც დაესრულებინა.

აი, „არსენალი" კი ტრადიციისამებრ ხან ძლიერია და ხანაც ისეთს ჩაიდენს... ამჯერად, „მეთოფეებმა" კაცნაკლულ „უიგანს" ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს. არა, თუ გასულ სეზონს შევადარებთ, ახლა უკეთ არის საქმე. მაშინ **არსენ ვენგერის** გუნდმა ორგოლიანი უპირატესობა გაფლანგა და 3:2 წააგო, მაგრამ საჩემპიონო ბრძოლაში კვლავ თითქმის ჯიბეში ჩადებული ქულები რომ ამოულეს, რად უნდა ლაპარაკი. თან, რა მწარეა – საბედისწერო გოლი არსენალელმა **სებასტიან სკილაჩიმ** საკუთარ კარში შეაგდო. როგორც გითხარით, ამ ეპიზოდამდე „უიგანს" **შარლ ნ'ზოგბია** გაუგდეს. მიზეზი: **ჯეკ უილშერს** მწარე სიტყვები რომ გაუცვალა, მერე სახესთან თავიც მიუტანა. ცნობისათვის: ამ შეხვედრაში ვენგერმა 8 კაცი შეცვალა იმ შემადგენლობიდან, რომელმაც ორშაბათ საღამოს „ჩელსის" მოუგო - 3:1.

ტრადიციული ინგლისური ფეხბურთის მოყვარულთა კიდევ ერთი იმედგაცრუება „ლივერპული"... მერსისაიდელებმა შინ წააგეს, თანაც არ იკითხავთ ვისთან? იმ მომენტისთვის ბოლო ადგილზე მყოფ „ვულვერჰემპტონთან". გამართლება ყოველთვის მოიძებნება. დამთავრდა თუ არა თამაში, ხელად ითქვა, ყველაფერი თოვლის ბრალია, „ლივერპულს" თამაშები გადაუდეს და 18 დღის განმავლობაში პრაქტიკა აკლდაო, მაგრამ შინ, „ვულვზთან"? სტატისტიკის წიგნებში წერია, რომ „ვულვერჰემპტონმა" „ენფილდზე" ბოლოს 27 წლის წინ მოიგო... ეტყობა, ამ 27 წლის განმავლობაში სულ კარგი ამინდი იყო.

და ისევ გაისმა ტრიბუნებზე „ლივერპულის" სათავეში **კენი დალგლიშის** მიყვანის მოთხოვნა. „ჰოჯსონი ინგლისის ნაკრებში!" - მწარედ ხუმრობდნენ ფანები.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილი**

**ჩელსი-ბოლტონი 1:0**

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი – ბოსინგვა (90. ფერეირა), ტერი, ივანოვიჩი, ე. კოული – ესიენი, რამირესი, ლემპარდი – ანელკა (90. კალუ), მალუდა, დროგბა

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი – რიკეტსი, ნაითი, გ. კეჰილი, პ. რობინსონი – როდრიგო (72. კლასნიჩი), ჰოლდენი (82. მ. დევისი), მუამბა, ტეილორი (78. მ. პეტროვი) – კ. დევისი, ელმანდერი

**გოლები:** 1:0 მალუდა

**გაფრთხილება:** ივანოვიჩი - ტეილორი

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 12-25; **კარში დარტყმა:** 15-10 (6-3); **თამაშგარე:** 10-3; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 40 982

**უიგანი-არსენალი 2:2**

**უიგანი** (4-4-2): ალ ჰაბსი – სტამი (86. ფიგეროა), ალკარასი, კოლდუელი, გოჰური – ნ'ზოგბია, ტომასი, უოტსონი, კლივერლი – დიამე (72. მაკარტური), როდალეგა

**არსენალი** (4-4-2): ფაბიანსკი – სანია, კოშელნი, სკილაჩი, ებუე – ბენდტნერი, დიაბი (27. უილშერი, 83. უოლკოტი), დენილსონი, არშავინი (83. ნასრი) – როსიცკი, შამახი

**გოლები:** 1:0 უოტსონი (18-პენ), 1:1 არშავინი (39), 2:1 ბენდტნერი (44), 2:2 სკილაჩი (81 ს.კ.)

**გაფრთხილება:** კოლდუელი (უიგანი)

**გაძევება:** ნ'ზოგბია (79-უიგანი)

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 18-11; **კარში დარტყმა:** 8-17 (5-6); **თამაშგარე:** 1-0; **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 17 014

**ლივერპული-ვულვერჰემპტ. 0:1**

**ლივერპული** (4-4-2): რეინა – გ. ჯონსონი, შკრტელი, კირიაკოსი, კონჩესკი (74. ფაბიო აურელიო) – მეირელეში (73. ჯ. კოული), ლუკასი, ჯერარდი, კუიტი – ტორესი, ნგოგი (63. ბაბელი)

**ვულვერჰემპტონი** (4-5-1): ჰენესი – ზუბარი, ბერა, სტირმენი, ელოკობი – ჯერვისი (89. ედუარდსი), მილიაში, ფოული, უორდი (78. ს. ფლეტჩერი), ჰანტი – ებანქს-ბლეიკი

**გოლები:** 0:1 უორდი (56)

**გაფრთხილება:** გ. ჯონსონი - ელოკობი

**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 8-11; **კარში დარტყმა:** 13-8 (3-2); **თამაშგარე:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 41 614

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 18 | 10 | 8 | 0 | 39:17 | 38 |
| 2. სიტი | 20 | 11 | 5 | 4 | 32:16 | 38 |
| 3. არსენალი | 19 | 11 | 3 | 5 | 39:22 | 36 |
| 4. ჩელსი | 19 | 10 | 4 | 5 | 33:15 | 34 |
| 5. ტოტენჰემი | 19 | 9 | 6 | 4 | 29:23 | 33 |
| 6. ბოლტონი | 20 | 7 | 8 | 5 | 32:26 | 29 |
| 7. სანდერლენდი | 20 | 6 | 9 | 5 | 21:22 | 27 |
| 8. ბლეკპული | 17 | 7 | 4 | 6 | 26:29 | 25 |
| 9. ბლეკბერნი | 20 | 7 | 4 | 9 | 26:31 | 25 |
| 10. სტოკი | 19 | 7 | 3 | 9 | 23:24 | 24 |
| 11. ევერტონი | 19 | 4 | 10 | 5 | 21:22 | 22 |
| 12. ლივერპული | 18 | 6 | 4 | 8 | 21:23 | 22 |
| 13. ნიუკასლი | 19 | 6 | 4 | 9 | 28:31 | 22 |
| 14. ვესტ ბრომვიჩი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:34 | 22 |
| 15. ასტონ ვილა | 19 | 5 | 5 | 9 | 20:34 | 20 |
| 16. უიგანი | 19 | 4 | 8 | 7 | 17:31 | 20 |
| 17. ბირმინგემი | 18 | 3 | 10 | 5 | 18:21 | 19 |
| 18. ფულჰემი | 19 | 3 | 10 | 6 | 19:23 | 19 |
| 19. ვულვზი | 19 | 5 | 3 | 11 | 20:32 | 18 |
| 20. ვესტ ჰემი | 20 | 3 | 8 | 9 | 20:33 | 17 |

**ბომბარდირები:** 14 – ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 12 – ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ქეროლი (ნიუკასლი); 9 – კეჰილი (ევერტონი), ელმანდერი (ბოლტონი); 8 - მალუდა (ჩელსი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი), ნასრი (არსენალი), ნოლანი (ნიუკასლი); 7 – ბენტი (სანდერლენდი), შამახი (არსენალი), დროგბა (ჩელსი); 6 – დევისი (ბოლტონი), კალუ (ჩელსი), ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი).

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XVIII ტური

**ჰემილტონი-აბერდინი 0:1**

**გოლი:** 0:1 ვერნონი (90)

**ჰიბერნიანი-დანდი 2:2**

**გოლები:** 0:1 გუდვილი (2), 0:2 გუდვილი (35), 1:2 ბამბა (44), 2:2 ჰენლონი (89)

**სელტიკი-მაზერუელი 1:0**

**გოლი:** 1:0 მაკკოურტი (27)

**ინვერნესი-კილმარნოკი 1:3**

**გოლები:** 0:1 ბრაისონი (26), 0:2 კელი (68), 1:2 ფორენი (71), 1:3 ჰემილი (78)

**სენტ მირენი-ჰართსი 0:2**

**გოლები:** 0:1 ტემპლტონი (63), 0:2 კაილი (82)

**სენტ ჯონსტ.-რეინჯერსი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 18 | 13 | 3 | 2 | 39:13 | 42 |
| 2. რეინჯერსი | 16 | 13 | 2 | 1 | 39:17 | 41 |
| 3. ჰართსი | 18 | 11 | 3 | 4 | 32:15 | 36 |
| 4. კილმარნოკი | 18 | 8 | 3 | 7 | 30:21 | 27 |
| 5. ინვერნესი | 19 | 7 | 6 | 6 | 30:25 | 27 |
| 6. მაზერუელი | 17 | 7 | 2 | 8 | 24:23 | 23 |
| 7. დანდი | 15 | 5 | 5 | 5 | 17:22 | 20 |
| 8. სტ. ჯონსტონი | 17 | 5 | 3 | 9 | 12:25 | 18 |
| 9. ჰიბერნიანი | 18 | 4 | 4 | 10 | 21:31 | 16 |
| 10. სტ.მირენი | 18 | 4 | 4 | 10 | 17:31 | 16 |
| 11. აბერდინი | 18 | 5 | 1 | 12 | 18:37 | 16 |
| 12. ჰემილტონი | 16 | 2 | 4 | 10 | 11:30 | 10 |

**ბომბარდირები:** 21 – მილერი (რეინჯერსი); 12 - სემონი (კილმარნოკი); 11 – რუნი (ინვერნესი); 10 - ბლექმენი (მაზერუელი); 9 – გუდვილი (დანდი), ჰუპერი (სელტიკი); 8 - რიორდანი (ჰიბერნიანი); 7 – სკაცელი (ჰართსი), ტემპლტონი (ჰართსი); 6 – ჰიგდონი (სენტ მირენი), კაილი (ჰართსი), ვერნონი (აბერდინი); 5 - ნეისმითი (რეინჯერსი), სტოკსი (სელტიკი), ჰეისი (ინვერნესი), ჰემილი (კილმარნოკი), მაკკოურტი (სელტიკი).

უცხოური ფეხბურთი

სერია A

# კალჩოს სატრანსფერო ციებ-ცხელება

**საფეხბურთო** **იტალია სატრანსფერო ციებ-ცხელებაშია ჩართული და სპორტულ პრესაში მეტწილად შემდგარი თუ შესაძლო გარიგებების შესახებ ინერება. რამდენიმე საინტერესო ტრანსფერი უკვე გაიჩარხა და როგორც ჩანს, კიდევ არაერთი შეთანხმება მიიქცევს ჩვენს ყურადღებას. ქვემოთ, სერია A-ს ოცივე გუნდის სატრანსფერო გეგმების შესახებ მოგითხრობთ.**

### ბარი

სატურნირო ცხრილში "ბარი" უკანასკნელ ადგილზეა და ბუნებრივია, რომ კლუბის მესვეურები გაძლიერებაზე ფიქრობენ. "პალერმოს" მცველი **კამილა გლიკა** უკვე გადაიბირეს, თუმცა ერთი ღმერთმა იცის გააძლიერებს თუ არა გუნდს ყველასათვის უცნობი მოთამაშე. ამიტომ, მოლაპარაკებები მიმდინარეობს კიდევ ოთხ ფეხბურთელთან – აქვე ჩამოვთვალოთ მათი გვარები: **რუდოლფი** (ჯენოა), **კრისტიან ტერლიცი** (კატანია), **მაურო** (პარანაენსე, ბრაზილია), **სტეფანო ოკაკა ჩუკა** (რომა). ამ უკანასკნელის "ბარიში" განათხოვრება პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია.

### ბოლონია

კლუბს ახალი მეპატრონეები ჰყავს და ცვლილებები უფრო ადმინისტრაციაშია მოსალოდნელი. დიდია შანსი, მცველმა **ბრიტოსმა** დატოვოს გუნდი, რომლის მიმართაც "ჯენოა", "ნაპოლი" და "იუვენტუსი" იჩენენ ინტერესს. გუნდის მთავარი მწვრთნელი **ალბერტო მალეზანი ალესანდრო როზის** გადაბირებით გახლავთ დაინტერესებული, რომელიც სერია B-ში "სიენას" შემადგენლობაში ასპარეზობს. ამბობენ, რომ მოლაპარაკების წარმატებით დასრულების ალბათობა საკმაოდ დიდია.

### ბრეშა

"ბრეშა" მას შემდეგ არ უქნია ღმერთს, რაც **რობერტო ბაჯომ** დაასრულა კარიერა. კლუბის მესვეურები **ანდრეა კარაჩოლოს** სარფიანად გასხვისებით არიან დაინტერესებულნი, მაგრამ ჯერჯერობით მყიდველი არ ჩანს. "ბრეშას" მთავარი მწვრთნელი გაძლიერებაზეც ფიქრობს და სურს "პარმადან" **მასიმო პაჩი** გადაიბიროს. **ბერეტა** "ვესტ ჰემის" ორი ცნობილი ფეხბურთელით არის დაინტერესებული – საუბარია **რადოსლავ კოვაჩსა** და **ვალონა ბერამიზე**. საუბრობენ "ლაციოდან" **ლიბორა კოზაკის** იჯარის წესით აყვანის შესახებ, თუმცა ამის შანსი არცთუ ისე დიდია.

### კალიარი

არაერთი გუნდი იჩენს ინტერესს **რობერტ აკვაფრესკას** და **ანდრეა ლაძარის** მიმართ. თუ სარდინიელებმა ეს ორი ფეხბურთელი სარფიანად გაყიდეს, რამდენიმე მოთამაშეს აუცილებლად დაიმატებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კუნძულელები სატრანსფერო ბაზარზე პასიურები იქნებიან. გადაწყვეტილი ამბავია, რომ სეზონის მეორე ეტაპიდან "კალიარის" "რეჯინას" მცველი **ადეხო** დაემატება, თუმცა რამდენად გააძლიერებს გუნდს, რთული სათქმელია.

### კატანია

ტრადიციულად, "კატანია" არგენტინულ ბაზარზე აქტიურობს. თავდაპირველად წამსვლელთა შესახებ ვთქვათ და აღვნიშნოთ, რომ პრაქტიკულად გადაწყვეტილია **ტერლიცის** სხვაგან გადაბარგება. სავარაუდოდ, სამშობლოში დაბრუნდება **პაბლო ბარიენტოსი**. საუბრობენ იმაზეც, რომ დიდია შანსი უფრო მაღალი ამბიციების გუნდში გადავიდეს **მირკო ანტენუჩი**. სიცილიელები გაძლიერებაზეც ფიქრობენ და "ინდეპენდიენტეს" თავდამსხმელ **გალეონეზე** უჭირავთ თვალი – ლაპარაკია იმაზეც, რომ "კატანიაში" გააგრძელებს კარიერას ნიჭიერი შუახაზელი **პავონე** "რიველ პლეიტიდან".

### ჩეზენა

"ჩეზენამ" ძალიან კარგად დაიწყო სეზონი, თუმცა შემდეგ აურია და სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაეშვა. როგორც კლუბის მესვეურები აცხადებენ, გაძლიერება ყველა რგოლს ესაჭიროება და სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას აპირებენ. დაცვის ხაზში **ნიკოლა ლეგროტალიეს** და **სტენდარდოს** დამატება სურთ, პირველი "იუვენტუსის" სათადარიგოთა სკამზე ზის, მეორე კი "ლაციოს". ნახევარდაცვისთვის **მანუელე ბლაზის** გადაბირება სურთ "ნაპოლიდან" და **დავიდე ლანცაფამეს** იჯარის წესით აყვანა "იუვედან". გარდა ამისა, დაინტერესებულნი არიან "უდინეზეს" ნიგერიელი ლეგიონერით, რომლის სახელია **იგალო**. საუბრობენ იმაზეც, რომ "ჩეზენას" მესვეურები ერთ-ერთ წამყვან ნახევარმცველს, **პაროლოს** "კიევოში" გაუშვებენ.

### კიევო

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ "კიევოს" **სიმონე ბენტივოლიო** დატოვებს, მის ადგილზე კი გუნდში ზემოთ ხსენებული **პაროლო** მივა. გრძელდება **სერჯო პელისიერის** მეწყვილეს ძებნა, რადგან სხვა ფორვარდები შედეგიანობით ვერ დაიკვეხნიან. დიდია შანსი, "კიევოში" ამოჰყოს თავი "უდინეზეს" თავდამსხმელმა **ანტონიო ფლორო ფლორესმა**, რომელიც ფრიულურ გუნდში მეტწილად სათადარიგოთა სკამზე ზის.

### ფიორენტინა

გადაწყვეტილი ამბავია, რომ "ფიორენტინას" განის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი **ამიდუ სალიფუ** დაემატება. დადის ხმები იმის შესახებ, რომ არგენტინელი ნახევარმცველი **ბოლატი** დატოვებს გუნდს, რომელშიც "რიველ პლეიტი" სამ მილიონ ევროს იხდის. გარკვეულია, რომ **პაპა ვაიგო** სერია B-ში მოასპარეზე "გროსეტოს" შეუერთდება – შესაძლოა, გუნდი **ადრიან მუტუმაც** დატოვოს.

### ჯენოა

გენუელები უკვე აქტიურად არიან ჩართულნი სატრანსფერო ციებ-ცხელებაში. "ინტერში" გაუშვეს **ანდრეა რანოკია**, "პარმას" კი **რაფაელე პალადინო** და **ფრანჩესკო მოდესტო** დაუთმეს. თუმცა, დაუთმეს მთლად სწორი განმარტება არ არის, რადგან სანაცვლოდ ასევე ორი ფეხბურთელი: **ლუკა ანტონელი** და **ალბერტო პალოსკი** მიიღეს. დღე დღეზე გაფორმდება ხელშეკრულება მცველ **კუჩკასთან**, რომლის სანაცვლოდაც გენუელები პრაღის სპარტას 1.8 მილიონ ევროს გადაურიცხავენ. ლაპარაკობენ **მარკო ბიაჯანტის** "კატანიადან" გადაბირების შესახებაც, თუმცა ჯერჯერობით საქმე წინ არ მიიწევს.

### ინტერი

ის, რომ ანდრეა რანოკიას სეზონის ბოლომდე დაშავებული **ვალტერ სამუელი** უნდა შეეცვალა, ჯერ კიდევ **რაფაელ ბენიტესის** დროს გადაწყდა. ახალგაზრდა მცველის გარდა მილანელებს "უდინეზეს" შემტევის **ალექსის სანჩესის** გადაბირება სურთ. ფრიულელები მასში 20 მილიონ ევროს ითხოვენ, მილანელები კი მზად არიან 13 მილიონი და **ჯონათან ბიაბიანი** გაიღონ. საუბრობენ **კაკას** "ინტერში" გადასვლის შესახებაც, თუმცა ეს გაზეთების კარგად გაყიდვის მიზნით მოგონილ ჭორს უფრო გავს, ვიდრე რეალობას. რაც მთავარია, "ინტერი" ახალი მთავარი მწვრთნელით ეგებება სეზონის მეორე ეტაპს.

### იუვენტუსი

პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ **მოჰამედ სისოკო** დატოვებს გუნდს, რომლის გადაბირება "გალათასარაის", "ვოლფსბურგს და რამდენიმე ინგლისურს გუნდს სურს. გაძლიერებაზე ტურინელები ნაკლებად ფიქრობენ – როგორც ჩანს, **ლუიჯი დელ ნერი** კმაყოფილია შემადგენლობით. საუბრობენ იმაზე, რომ "ვეკია სენიორას" მესვეურები **ალბერტო ჯილარდინოში** "ფიორენტინას" 10 მილიონ ევროს და **კარვალიო ამაურის** შესთავაზებენ.

### ლაციო

უახლოეს დღეებში რომს **როკე სანტა კრუსი** ეწვევა და სავარაუდოდ, "ლაციოსთან" კონტრაქტს გააფორმებს. შეგახსენებთ, რომ აქამდე პარაგვაელი თავდამსხმელი "მანჩესტერ სიტის" ღირსებას იცავდა. **ედუარდო რეიას** "ინტერის" ორი ფეხბურთელის: **მკდონალდ მარიგას** და **სალი მუნტარის** დამატება სურს, საუბარია "მანჩესტერ იუნაიტედიდან" **ფედერიკო მაკედას** იჯარით აყვანის შესახებაც.

### ლეჩე

"ლეჩეს" მესვეურებს **ფაბიანო სანტაკროჩეს** გადაბირება სურთ და ნეაპოლელ კოლეგებთან მოლაპარაკების სტადიაში არიან. დიდია შანსი, მხარეები შეთანხმდნენ და ბრაზილიური წარმოშობის იტალიელი "ლეჩეში" გადაბარგდეს. ეს არის და ეს, ჯერჯერობით "ჯალოროსის" მესვეურები პასიურობენ.

### მილანი

**ანტონიო კასანო** რომ "მილანში" გააგრძელებს კარიერას, ყველასათვის ცნობილი ამბავია. ისიც გეცოდინებათ, რომ **რონალდინიოს** გადაბირება სურს ბრაზილიურ "გრემიოს". თავად ფეხბურთელი თითქოს არც არის წინააღმდეგი სამშობლოში დაბრუნდეს, მაგრამ "მილანის" მესვეურები მის გასხვისებას არ აპირებენ. **მასიმილიანო ალეგრის** ყოფილი შეგირდის, **ანდრეა ლაძარის** წაყვანა სურს თავისთან და ვნახოთ, მიაღწევს თუ არა მიზანს.

### ნაპოლი

**ვალტერ მაძარის** თქმით, მას მარცხენა მცველი და ცენტრალური ნახევარმცველი ესაჭიროება. აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ "ნაპოლი" **კრისტიან საპატათი** და **სტეფანო ოგბონათი** დაინტერესდა – პირველი "უდინეზეში" ასპარეზობს, ხოლო მეორე "ტორინოში". ნეაპოლელებს "ჯენოას" ნახევარმცველის **ჰუსეინ ხარჯას** გადაბირება სურთ, თუმცა გენუელებს მისი გასხვისების პერსპექტივა არ ხიბლავთ.

### პალერმო

სიცილიელებმა კამილა გლიკა გაუშვეს "ბარიში", **მასიმო მაკარონე** კი ტრანსფერზე დააყენეს. სავარაუდოდ, ახალგაზრდა თავდამსხმელს, **კასამის** შეელევიან და რომელიმე ნაკლებად ამბიციურ გუნდში გაანათხოვრებენ. ამ ზამთარს ხმაურიან ტრანსფერებს არ უნდა ველოდოთ, ერთი კი უკვე გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, "პალერმოს" კიდევ ორი სლოვენიელი ფეხბულთელი დაემატება: **სინიშა ანჯელკოვიჩი** "მარიბორიდან" და **იასმინ კურჩიჩი** "ნოვა გორიცადან".

### პარმა

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ "პარმა" ანტონელიმ და პალოსკიმ დატოვეს, რომლებიც "ჯენოაში" გააგრძელებენ კარიერას. სანაცვლოდ, ემილიელთა რიგები მოდესტომ და პალადინომ შეავსეს. გარდა ამისა, "პარმას" მესვეურებმა ბერძნული "არისიდან" **ტონი კალვო** გადაიბირეს, ვისი ბედიც შესაძლოა სულ მალე მანუელე ბლაზიმ გაიზიაროს.

### რომა

"რომას" მესვეურებმა უკვე გაასხვისეს **ჟულიო ბაპტიშტა**, ესპანურ "მალაგაში" გაუშვეს და მის ნაცვლად 2 მილიონი ევრო აიღეს. დიდია შანსი, სტეფანო ოკაკა ჩუკამ "ბარიში" გააგრძელოს კარიერა, ალესანდრო როზიმ კი "ბოლონიაში". გუნდის დატოვებას აპირებენ **ალეშანდრე დონი** და **სისინიო**, თუმცა სად გააგრძელებენ კარიერას, დღეს რთული სათქმელია. შესაძლო შენაძენებზე იტალიურ სპორტულ პრესაში არაფერი ინერება...

### სამპდორია

ანტონიო კასანო "მილანში" გადავიდა და "სამპდორიას" მესვეურები მისი შემცვლელის ძიებით არიან დაკავებულნი. მუსირებს აზრი "პალერმოდან" მასიმო მაკარონეს გადაბირების შესახებ და ალბათ უახლოეს დღეებში გამოიკვეთება რამდენად რეალურია გავრცელებული ხმები. არის შანსი, "სამპას" "პორტუს" თავდამსხმელი **ჰამესე როდრიგესი** შეუერთდეს.

### უდინეზე

"უდინეზეს" თავდამსხმელებზე დიდი მოთხოვნაა და მათი შენარჩუნება ფრიულელებს ძალიან გაუჭირდებათ. ალექსის სანჩესის გადაბირებას რომ "ინტერი" ლამობს, ზემოთაც აღვნიშნეთ – ანტონიო ფლორო ფლორესმა კი "პარმას" და "კიევოს" შესაძლო შენაძენთა შორის გაიჟღერა. გარდა ამისა, **დენისს** სურს სამშობლოში დაბრუნება და "ინდეპენდიენტესთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს. ასეთ ვითარებაში, გაძლიერებაზე ფიქრისთვის უდინელებს უბრალოდ არ სცალიათ.

**ლაშა წიკლაური**



კასანო ახალ გუნდში

ამბები

## სენას თვე გაუცდება

"ვალენსიასთან" ესპანეთის თასის მერვედფინალში მიღებული ტრავმა **მარკოს სენას** დაახლოებით ერთთვიან იძულებით უქმობად დაუჯდება. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ევროპის 2008 წლის ჩემპიონს მუხლის მყესი აქვს დაზიანებული. მისი გამოჯანმრთელების დაბრუნების ზუსტი ვადა კი 2 იანვარს დადგინდება, როცა ხანმოკლე საშობაო არდადეგებიდან დაბრუნებულ 34 წლის სენას განმეორებითი სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდება. ის კი დაზუსტებითაა ცნობილი, რომ თავდაპირველი შიში არ გამართლდა და მყესი არ გაწყვეტილა.

## სიტიდან ბევრი მიდის

"მანჩესტერ სიტის" სატრანსფერო გეგმებსა და სავარაუდო შენაძენებზე ხშირად ვწერთ, ახლა კი ის ფეხბურთელები ჩამოვთვალოთ, რომელთაც იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას წასვლა გადაუწყვეტიათ. ესენი არიან **ემანუელ ადებაიორი, როკე სანტა კრუზი, შონ რაიტ-ფილიპსი, შეი გივენი** და **უეინ ბრიჯი**. მათ უმეტესობას სათამაშო პრაქტიკის სიმცირე აწუხებს და მზად არიან, სხვა კლუბში თუნდაც უფრო დაბალი ანაზღაურების ფასად ითამაშონ. მათი წასვლით კი ისედაც უმდიდრესი "სიტი" ახალი მოთამაშეების შესაძენად სოლიდურ თანხას მიიღებს.

## იტალიელი ვეტერანები მოსკოვში

რუსეთის დედაქალაქი იანვრის ბოლოს ვეტერანთა ტურნირს, სახელწოდებით "ლეგენდათა თასს" უმასპინძლებს, რომელშიც მასპინძელთა გარდა ესპანეთის, ჰოლანდიის, გერმანიის, პორტუგალიისა და იტალიის ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელები იასპარეზებენ. თანხმობა ბოლოს იტალიელებმა თქვეს და მათ რიგებში ისეთი ფიგურები ითამაშებენ, როგორებიც **ანჯელო პერუცი, ლუიჯი დი ბიაჯო, მარკო დელვეკიო** და სხვები არიან. იტალიის ვეტერანთა ნაკრებს **რენცო ულივიერი** გაწვრთნის.

## არსენალი ველას ყიდის

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **კარლოს ველა** კლუბს უახლოეს პერიოდში გამოიცვლის. სათამაშო დროის სიმცირით უკმაყოფილო მექსიკელ ფორვარდს "არსენალიდან" წასვლა სურს და მისი გაყიდვის წინააღმდეგი არც "მეთოფეთა" ხელმძღვანელობაა. 21 წლის ველამ პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში მხოლოდ 4 მატჩი ჩაატარა, სადაც ერთი გოლი გაიტანა. მისი ყველაზე რეალური მსურველი "ვალენსიაა".

## ლივერპულში ისევ კოულზე ფიქრობენ

"ლივერპულმა" "ვესტ ჰემთან" **კარლტონ კოულის** თაობაზე მოლაპარაკებები განაახლა. მერსისაიდელთა წარმომადგენელი "ვესტ ჰემისა" და "ფულჰემის" პრემიერლიგურ მატჩს დაესწრნენ, სადაც "ჩაქუჩთა" თავდამსხმელმა დუბლი შეასრულა. კოული სატრანსფერო ღირებულება 7-დან 9 მილიონამდე გირვანქას შეადგენს. შეგახსენებთ, მისი შეძენის მცდელობა "ლივერპულის" თავკაც როი ჰოჯსონს ზაფხულშიც ჰქონდა, მაგრამ მაშინ მხარეები ფეხბურთელის ფასზე ვერ შეთანხმდნენ.

## ნებართვა ფერგიუსონისგან

გუშინ გაცნობეთ, რომ **ფედერიკო მაკედას** "მანჩესტერიდან" დროებით წასვლა და იჯარით სხვაგან თამაში სურს. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალგაზრდა იტალიელი ფორვარდის სურვილს **სერ ალექს ფერგიუსონი** გაგებით მოეკიდა და შეგირდის განათხოვრებაზე თანხმობა თქვა. პირველად ნახსენები "ლაციოს" გარდა, მაკედათი დაინტერესებულნი არიან "ინტერი", "იუვენტუსი", "ფიორენტინა", "ჯენოა" და "უდინეზე".

## კანტონამ რუსებს უარი უთხრა

**ერიკ კანტონას**, რომელიც აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ პლაჟის ფეხბურთის მწვრთნელად იქცა და მშობლიური ქვეყნის ნაკრებში წარმატებით იმუშავა, კარიერის გაგრძელება რუსეთის ეროვნულ გუნდში შეეძლო, მაგრამ ერთკვირიანი ფიქრის შემდეგ, ამ წინადადებაზე უარი თქვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რეალი

# ვალდანო: არც გავყიდით და არც ვიყიდით


გაახარა თუ არა ვალდანომ ჟოზე?

მადრიდის „რეალის" გენერალურმა დირექტორმა **ხორხე ვალდანომ** განაცხადა, რომ იანვარში კლუბი ერთ ფეხბურთელსაც არ გაყიდის. არგენტინელმა ფუნქციონერმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება **კაკას** შესაძლო გასხვისებაზე და ამის პერსპექტივა გამორიცხა. იანვარში „რეალიდან" წასვლის კანდიდატები არიან: კაკა, **სერხიო კანალესი, მაჰამადუ დიარა, ლასანა დიარა** და **ესეკიელ გარაი**. ვალდანომ აღნიშნა, რომ ეს ხუთეული „რეალში" რჩება.

ვალდანომ **ჟოზე მოურინიოს** ცუდი ამბავიც ამცნო - „რეალი" არ გაყიდის, მაგრამ არც შეიძენს. ყოველ შემთხვევაში, ტრავმირებული **გონსალო იგუაინის** ნაცვლად ფორვარდის დამატებას არ აპირებენ. არადა, პორტუგალიელი უპირველესად ამას ითხოვდა ხელმძღვანელობისგან. *„რეალში" ყველაფერი ძველებურად დარჩება ამ სატრანსფერო სეზონის შემდეგაც, მე ამის მჯერა. შეიძლება, რომელიმე ფეხბურთელი დაიმატოს „რეალმა", თუმცა საამისოდ სპეციალურად არ ვილწვით, არავის ვეძებთ და არც ვაკვირდებით. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ ვიცით, როდის დაბრუნდება იგუაინი, გვჯერა, რომ მალე. ჩვენ არ ვაპირებთ მისი სრულფასოვანი შემცვლელის ყიდვას"*, - განაცხადა ვალდანომ სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე. ამით არგენტინელს სურდა ბოლო მოეღო იმ ჭორებისთვის, რაც ბოლო დროს ვრცელდება ესპანურ თუ იტალიურ მედიაში, რამდენად გამოუვიდა, უახლოესი დღეები გვიჩვენებს.

სხვათა შორის, ვალდანომ „ოქროს ბურთის" ყველაზე ღირსეულ ნომინანტად ბარსელონელი **ჩავი** დაასახელა და სურვილი გამოთქვა, ტიტული სწორედ ჩავიმ მოიგოს: *„სამივე კანდიდატი ვირტუოზია, მაგრამ წლეულს ჩავიმ ყველაზე სტაბილურად ითამაშა და პრიზიც მას ეკუთვნის"*.

ბარსელონა

# ინიესტა ყველაზე პოპულარულია


ანდრეს ინიესტა

ინტერნეტში ესპანელ სპორტსმენთაგან ყველაზე პოპულარული 2010 წელს „ბარსელონას" ნახევარმცველი **ანდრეს ინიესტა** იყო. „ფეისბუქში", „თვიტერში", „იუთუბში" და სხვა საიტებზე სპორტსმენის პოპულარულობის შეჯერების შემდეგ ესპანურმა მედიამ ასეთი სურათი მიიღო: ინიესტა პირველია, მას „ფეისბუქზე" 3 მლნ. 480 ათასი ფანი ჰყავს, „ტვიტერზე" - 504 ათასი. „იუთუბზე" მისი მონაწილეობით ვიდეოები 10 მილიონ 255 ათასჯერ გახსნეს. პოპულარულობით მეორე ადგილზეა „რეალის" კაპიტანი **იკერ კასილიასი**, მესამეზე ისევ ბარსელონელია - **დავიდ ვილია**. როგორც ხედავთ, პირველი სამეული ფეხბურთელებმა დაიკავეს. ეს ბუნებრივიცაა - ესპანეთის ნაკრებმა ხომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

მე-4 ადგილზე ინტერნეტში პოპულარულობით **რაფაელ ნადალია**, ჩოგბურთელს ფორმულა 1-ის პილოტი **ფერნანდო ალონსო** მოყვება. შემდეგ კი მოდიან: **ფერნანდო ტორესი, ხორხე ლორენსო, კარლეს პუიოლი, პაუ გასოლი** და **რიკი რუბიო**.

მხოლოდ „ფეისბუქში" ყველაზე პოპულარული ესპანელი სპორტსმენი „ლივერპულის" ფორვარდი ფერნანდო ტორესია - 6 მლნ. 198 ათასი ფანი. ინიესტა მესამე ადგილზეა, მას რაფა ნადალიც უსწრებს.

# თეთრი ბარსელონა და ტიბეტელი გვარდიოლა

კატალონიურ მედიას თუ ვენდობით, „ბარსელონას" ახალი ფორმა (2011/2012 წლების სეზონი) თეთრი იქნება! გუნდის მეორე ფორმა (ანუ საგარეო ვარიანტი) ამ ფერში იქნება გაწყობილი და მხოლოდ წინ, შუაში იქნება „ბარსას" ფერები წარმოდგენილი. თავიდან ყოფილა იდეა, რომ ფორმა ყატარის დროშის ფერებში (სპონსორობის გამო) გაეწყოთ, მაგრამ **სანდრო როსელს** უთქვამს, რომ ეს ყოფილი პრეზიდენტის, **ჟოან ლაპორტას** საარჩევნო კამპანიის ფერებია და სანამ მე ვარ კლუბის პრეზიდენტი, არ დავუშვებო.

**ჟერარდ პიკემ** „ტვიტერზე" დაადასტურა ეს ინფორმაცია, ხოლო **ხოსეპ გვარდიოლამ** შორეული ტიბეტიდან მოიწერა, სადაც მცირე შვებულებას ატარებს... მაგრამ ეს ის შემთხვევაა, რომ მედიას არ უნდა ვენდოთ - 28 დეკემბერს ესპანეთში ტყუილის დღეა და ყველა ეს ცნობა (ჩვენებურად) საპირველაპრილო ხუმრობა იყო. ბუნებრივია, „ბარსელონა" არასოდეს ჩაიცვამს თეთრ ფერს, რადგან ის დაუძინებელ მტერ „რეალთან" ასოცირდება, პიკემაც შესანიშნავად აუბა მხარი ხუმრობას. გვარდიოლას კი აბა რა ეტიბეტება - 2-ში „ლევანტესთან" მატჩი ელის.



ბარსას ვითომ ახალი მაისურა

ამბები

## ბოიანი, კატალონიის ვარსკვლავი

კატალონიის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში 4:0 გაანადგურა ჰონდურასის ნაკრები. **იოჰან კრუიფის** გუნდში თავი განსაკუთრებით **ბოიან კრკიჩმა** გამოიჩინა, რომელმაც დუბლი შეასრულა, თითო გოლი **სერხიო გარსიამ** და **კორომინასმა** გაიტანეს. კატალონიელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ვალდესი, დამია, პუიოლი, რუისი, დე ლა ბელა, ვერდიუ, ბუსკეტსი, მარკესი, კორომინასი, კრკიჩი და სერხიო გარსია.* შეცვლაზე შევიდნენ: *კასილია, ბარტრა, სერანო, სერხიო, ფონტადი, დავიდ გარსია, ალვარო და რაფა ხორდა.*

## ტიაგოს ინგლისი უხმობს

„ბარსას" ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველი **ტიაგო ალკანტარა** იმედოვნებს, რომ კლუბი ახალ კონტრაქტს შესთავაზებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ინგლისური კლუბები ელიან. ბრაზილიური წარმოშობის 19 წლის ფეხბურთელი ძალზე იშვიათად ხვდება პირველ გუნდში, თუმცა როცა შანსი ეძლევა, ყოჩაღობს - როგორც ჩემპიონთა ლიგაზე „რუბინის" წინააღმდეგ. მსოფლიოს ჩემპიონ **მაზინიოს** ვაჟს კონკრეტულად რომელი ინგლისური კლუბები ეპატიჟებიან, არ ასახელებენ.

## ბარსამ მზადება დაიწყო

გუშინ ჩემპიონმა მცირე შვებულება დაასრულა და „სიუტატ ესპორტივაზე" პირველი ვარჯიშიც გაიმართა. **ხოსეპ გვარდიოლას** განკარგულებაში ყველა ფეხბურთელი იყო, რომელთაც 8 დღით ნაყოფიერად დაისვენეს, **ლეო მესის** გარდა. არგენტინელს შვებულება 1 ან 2 იანვრამდე გაუგრძელეს. „ლევანტესთან" მოსამზადებლად **პეპი** კიდევ 5 ვარჯიშს მოასწრებს. დღეს „ბარსელონა" ორჯერ ივარჯიშებს, ხოლო პარასკევს, შაბათს და კვირას (თამაშის დღეს) მხოლოდ დილის 11 საათზე.

ამბები

## გადადება გვაზარალებსო

ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის (LFP) პრეზიდენტმა **ხოსე ლუის ასტიასარმა** განაცხადა, რომ თუკი 2 იანვრის მატჩებს გადაიტანენ, ლიგა მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ფეხბურთელთა ასოციაცია (AFE) კვირის მატჩების გადადებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი საყოველთაო გაფიცვით იმუქრება. ასტიასარმა ზარალი დააკონკრეტა კიდეც - 18 მილიონი ევრო, რომლის ლომის წილიც ტელევიზიებთან საკონტრაქტო შეთანხმების დარღვევაზე მოდის.

## წითელი, ყვითელი?

„ვილიარეალი" და „სევილია" „ლივერპულის" ნახევარმცველ **ლუკას ლეივას** ხელში ჩაგდებას ცდილობენ. ბრაზილიელი „ლივერპულში" 2007 წელს „გრემიოდან" გადაბარგდა, მაგრამ, რომ ვთქვათ „ენფილდზე" გაამართლაო, მოგატყუებთ. „ლივერპული" 23 წლის ფეხბურთელის გაყიდვითაა დაინტერესებული. ლუკასის შეძენა კი ოთხ კლუბს სურს, აქედან ორი პრიმერა დივიზიონისაა. განსაკუთრებით „ელ სუბმარინო", აქტიურობს. ლუკასის სავარაუდო საბაზრო ფასი 10 მილიონი ევროა.

## რონალდო, ფანების რჩეული

GOAL.COM-მა, რომელიც დღეისათვის ყველაზე პოპულარული საფეხბურთო საიტია მსოფლიოში, **კრიშტიანო რონალდო** მიმდინარე სეზონის საშემოდგომო ნაწილის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა ლა ლიგაში. ხმის მიცემის პროცედურა საიტზე 3 დღეს გაგრძელდა, რონალდომ 5 501 ხმა მიიღო, ბარსელონელმა **ლეო მესიმ** კი - 5 427. მესამე ადგილზე გასულმა **ანდრეს ინიესტამ** კი სულ რაღაც 263 ხმა მიიღო.

## მალაგამ ასენხო და კამაჩო დაიმატა



ასენხო

სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე აქტიურად „მალაგა" ჩაერთო. ანდალუსიური კლუბი ფინანსურად წელგამართულია, თუმცა აუტსაიდერთა შორისაა. ამის გამოსასწორებლად კი **მანუელ პელეგრინიმ** შემადგენლობის გაძლიერება მოსთხოვა კლუბის არაბ მეპატრონეებს. გუშინ „მალაგამ" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მადრიდის „ატლეტიკოდან" ორი ფეხბურთელი დაიმატა: ნახევარმცველი **ნაჩო კამაჩო** და მეკარე **სერხიო ასენხო**.

20 წლის ნაჩო კამაჩო ანდალუსიელებს 2 მილიონი ევრო დაუჯდათ, ფეხბურთელმა „მალაგასთან" 4,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მადრიდში ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრს სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა, რადგან **კიკე ფლორესი** მას **პაულო ასუნსაოსა** და **ტიაგოს** არჩევდა ნახევარდაცვის ცენტრში.

21 წლის ასენხო კი „ლა როსალედაზე" 6-თვიანი იჯარით ითამაშებს. მეკარეს მძიმე ტრავმის შემდეგ სათამაშო პრაქტიკის მოპოვება სწადია, „ვისენტე კალდერონზე" კი **დავიდ დე ხეა** ხელშეუხებელია. **მარესკა, ჟულიო ბაპტიშტა**, ახლა ეს დუეტი, მოკლედ, „მალაგა" მნიშვნელოვნად გაძლიერდება.

## 5 მილიონი და ხუანფრანი ჩვენია

მადრიდის „ატლეტიკო" „ოსასუნას" **ხუანფრანის** სანაცვლოდ 5 მილიონ ევროს სთავაზობს. „რეალის" ყოფილი ვინგერი 2006 წლიდან პამპლონაშია და კლუბის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. „ატლეტიკომ" უკვე რამდენჯერმე მოუსინჯა კბილი ამ ტრანსფერს, ახლა კი მადრიდულ კლუბში აცხადებენ, რომ ეს ბოლო შეთავაზებაა და ნავარელები 5 მილიონს უნდა დასჯერდნენ ან ტრანსფერი არ შედგება. „ოსასუნას" პრეზიდენტი **პაჩი ისკო** 24 წლის ხუანფრანის სანაცვლოდ 7 მილიონ ევროს ითხოვს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ვილიარეალი 2010/2011 ციფრებში

| ფეხბურთელი | ას | პოზ | წთ | თ | გ | სტ | გც | შც | სთ | ყვ | წ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13. დიეგო ლოპესი | 29 | გ | 1440 | 16 | 0 | 16 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 |
| 25. ხუან კარლოსი | 23 | გ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 | 0 | 0 |
| 1. ხავი ოლივა | 34 | გ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| 6. ანხელ ლოპესი | 29 | მ | 1440 | 16 | 0 | 16 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 |
| 11. ხოან კაპდევილა | 32 | მ | 1240 | 15 | 1 | 14 | 1 | 1 | 1 | 2 | 0 |
| 5. კარლოს მარჩენა | 31 | მ | 1151 | 13 | 0 | 13 | 0 | 1 | 1 | 4 | 0 |
| 4. მატეო მუსაკიო | 20 | მ | 1083 | 13 | 0 | 12 | 1 | 1 | 4 | 6 | 1 |
| 2. გონსალო ხავიერი | 26 | მ | 650 | 10 | 0 | 7 | 3 | 0 | 8 | 1 | 1 |
| 15. ხოსე კატალა | 26 | მ | 132 | 5 | 0 | 1 | 4 | 0 | 13 | 0 | 0 |
| 3. ხოან ორიოლი | 24 | მ | 71 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 |
| 27. მარიო გასპარი | 20 | მ | 5 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 7 | 0 | 0 |
| 21. ბრუნო | 26 | ნ | 1440 | 16 | 0 | 16 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 |
| 8. სანტი კასორლა | 26 | ნ | 1306 | 16 | 5 | 16 | 0 | 7 | 0 | 4 | 0 |
| 20. ბორხა ვალერო | 25 | ნ | 1125 | 14 | 2 | 13 | 1 | 6 | 1 | 6 | 1 |
| 19. მარკოს სენა | 34 | ნ | 957 | 15 | 1 | 11 | 4 | 3 | 4 | 2 | 0 |
| 10. კანი | 29 | ნ | 852 | 14 | 1 | 10 | 4 | 7 | 5 | 0 | 0 |
| 17. ხავიერ მატილია | 22 | ნ | 66 | 4 | 0 | 0 | 4 | 0 | 7 | 0 | 0 |
| 18. კრისტობალ კრესპო | 26 | ნ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| 7. ნილმარი | 26 | თ | 1301 | 16 | 10 | 15 | 1 | 8 | 1 | 2 | 0 |
| 22. ჯუზეპე როსი | 23 | თ | 1285 | 15 | 9 | 15 | 0 | 10 | 0 | 5 | 0 |
| 9. მარკო რუბენი | 24 | თ | 149 | 11 | 0 | 0 | 11 | 0 | 14 | 0 | 0 |
| 23. ჯეფერსონ მონტერო | 21 | თ | 122 | 8 | 1 | 0 | 8 | 0 | 15 | 0 | 0 |
| 12. ჯოზი ალტიდორი | 21 | თ | 25 | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 15 | 0 | 0 |

**შენიშვნა:** ას - ასაკი; პოზ - პოზიცია; წთ - წუთი; თ - თამაში; გ - გოლი; სტ - სტარტი; გც - გამოცვალეს; შც - შეცვლაზე; სთ - სათადარიგო; ყვ - ყვითელი ბარათი; წ - წითელი ბარათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პორტრეტი

# როგორც მარკო ვან ბასტენი...

## 35 მილიონი გამზადებულია, მანჩინის შეიხი შეუხვევია!

ყველაფერი 2009 წლის ზაფხულში დაიწყო - იმ დროს 22 წლის **ედინ ჯეკომ** ბუნდესლიგაში ჩატარებულ 32 მატჩში 26 გოლი გაიტანა და მართალია, საუკეთესო ბომბარდირი მაინც ვერ გახდა (მისმა თანაგუნდელმა **გრაფიტემ** 25 მატჩში 28 გოლი შეაგდო), მაგრამ მთელი საფეხბურთო ევროპის ყურადღება მიიპყრო. ეს იყო ბოსნიელის პირველი სეზონი ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნის ჩემპიონატში და არცაა გასაკვირი, ედინს მადა რომ გაეზარდა. თანაც, „ვოლფსბურგთან“ ერთად გერმანიის ჩემპიონი ერქვა და პრინციპში, მოულოდნელი არავისთვის ყოფილა ის, რომ გულახდილად თქვა, რომელიმე ტოპკლუბში დიდი სიამოვნებით გადავალო.

იმ დღიდან მოყოლებული, ჯეკოს „ვოლფსბურგიდან“ წასვლა უნდა, მაგრამ არ უშვებენ და თანაც, ძალიან ძვირად აფასებენ. გერმანული კლუბის ხელმძღვანელებმა იმდენი მოახერხეს, რომ აჟიტირებულ ბოსნიელ თავდამსხმელს ახალ კონტრაქტზე მოაწერინეს ხელი, რომლის მიხედვითაც, ჯეკოს მსურველმა კლუბმა 40 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს. „მილანი“ 2009 წლის ზაფხულში მზად იყო, ედინში ამხელა თანხა გაესროლა, მაგრამ „ვოლფსბურგის“ შეფებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს – ბოსნიელი არ გაუშვეს და თანაც, ახალ კონტრაქტზე დაითანხმეს. ნიჭიერი თავდამსხმელის დაყოლიების ხერხი ერთი შეხედვით საკმაოდ მარტივი იყო - დარჩი კიდევ ერთი სეზონი, „მილანი“ არსად გაიქცევა და თუ მართლა უნდიხარ, 40 მილიონს გაისადაც გადაიხდისო. არადა, „მილანი“ „გაიქცა“. ყოველ შემთხვევაში, „როსონერის“ 2010 წლის ზაფხულში „ვოლფსბურგისთვის“ 40 მილიონი აღარ შეუთავაზებია. და ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ ედინმა მომდევნო (2009/2010 წლების) სეზონშიც ბრწყინვალედ იასპარეზა და 34 მატჩში გატანილი 22 გოლით ამჯერად უკვე გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. სხვათა შორის, ჯეკო მიმდინარე სეზონშიც ძალიან კარგად გამოიყურება (10 გოლი 17 თამაშში), მაგრამ პრობლემა ის არის, რომ დღემდე „ვოლფსბურგში“ თამაშობს.

...და დღემდე ოცნებობს ევროპის რომელიმე ტოპკლუბში გადასვლაზე. საქმე ისაა, რომ 40 მილიონის გადახდას ვერც ერთი გრანდი ველარ რისკავს, გერმანული კლუბის შეფები კი ბოსნიელ ბომბარდირს ერთ ცენტსაც არ აკლებენ. „მილანი“ დაინტერესებული აღარ არის, სამაგიეროდ, ჯეკოს გადაბირებისთვის ტურინის „იუვენტუსი“ და „მანჩესტერ სიტი“ იბრძვიან. თუმცა რაკი გოლები მაინც გააქვს და „სამსახურში პატიოსნად მუშაობაზე“ უარს არ ამბობს, „ვოლფსბურგი“ მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე.

თუმცა დღე არ გავა, რომ მის შესახებ ახალი ინფორმაცია არ გავრცელდეს. ორიოდ დღის წინ, ინგლისური პრესა იტყობინებოდა, რომ ჯეკოთი „ლივერპულიც“ დაინტერესდა და მზადაა, „ვოლფსბურგს“ გარკვეულ თანხასთან (სავარაუდოდ 20 მილიონი) **რაიან ბაბელი** და **დანიელ აგერი** დაუთმოს. უახლესი ინფორმაცია კი ისეთია, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგები უკვე საბოლოოდ გამორიცხავენ „ვოლფსბურგის“ მხრიდან გარიგებაზე უარის თქმას.

„ბილდი“ იტყობინება, რომ „მანჩესტერ სიტის“ მფლობელი შეიხი **მანსურ ბინ საიდ ალ ნაიანი** მზადაა, „ვოლფსბურგს“ ჯეკოში 35 მილიონი ევრო გადაუხადოს. „სიტის“ ტრანსფერის გაჩარხვა 5 იანვრამდე სურს. 30 მილიონს ვოლფსბურგელები ახლავე მიიღებენ, 5 მილიონს კი მოგვიანებით და თანაც იმ შემთხვევაში, თუ **რობერტო მანჩინის** გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს. ინგლისური კლუბის იტალიელი მწვრთნელი ბოსნიელ გოლეადორს საუკეთესო ეპითეტებით ამკობს და აცხადებს, ედინ ჯეკოს შეძენით ჩვენი გუნდის ყველა პრობლემა მოგვარდებაო.

### რით ჰგავს ჯეკო ვან ბასტენს?

როგორი უნდა იყოს კარგი თავდამსხმელი, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ის? ფეხბურთის ისტორიას ბევრი უმაღლესი კლასის გოლეადორი ახსოვს, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა რაღაცით იყო გამორჩეული. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, მარტო ლეგენდარულ გერმანელ თავდამსხმელებს გადავხედოთ: **ჰორსტ ჰრუბეში** თავით თამაშით გამოირჩეოდა და გოლის თავით გატანაში ბადალი არ ჰყავდა; **კარლ-ჰაინც რუმენიგე** უსწრაფესი და ვერცხლისწყალივით მოძრავი ფორვარდი იყო, რომელიც კონტრშეტევებზე მოთამაშე გუნდებისთვის გახლდათ ზედგამოჭრილი; **ულფ კირსტენი** საჯარიმოს იდეალური თავდამსხმელი იყო საუკეთესო საგოლე ალღოთი (აღარაფერს ვამბობთ **გერდ მიულერზე**); **მიროსლავ კლოზე** კი ანტი-ეგოისტი, გუნდური მოთამაშეა.



ედინ ჯეკო, თანამედროვეობის საუკეთესო გოლეადორი?

მოკლედ, რამდენიმე დიდი თავდამსხმელი ჩამოვთვალეთ და რაც უნდა გასაკვირი იყოს, თამამად შეგვიძლია, რომ ედინ ჯეკო ნებისმიერ მათგანს შევადაროთ – გნებავთ ჰრუბეშს, გნებავთ რუმენიგეს, გნებავთ კირსტენს და ა.შ. უკვე ორი აზრი არსებობს, გავა დრო და ჯეკო ყველა დროის საუკეთესო თავდამსხმელების სიაში ჩაეწერება, რადგან ბოსნიელი სრულყოფილი, ყოვლისშემძლე ცენტრფორვარდის სტატუსს დღესვე იმსახურებს. სწორედ მისი სრულყოფილების დამსახურებაა ის, რომ ჯეკოს ექსპერტები ყველაზე ხშირად ლეგენდარულ ჰოლანდიელ გოლეადორ **მარკო ვან ბასტენს** ამსგავსებენ.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ედინ ჯეკო ჯერ მხოლოდ 24 წლისაა და ასე ვთქვათ, ყველაფერი წინ აქვს, ვან ბასტენთან შედარება ოდნავადაც აღარ იქნება ალოგიკური. მიუხედავად იმისა, რომ წელიწად-ნახევარია, „ვოლფსბურგიდან“ წასვლა უნდა, ამას არ მალავს და არ უშვებენ, ის მაინც განაგრძობს უმაღლეს დონეზე თამაშს და გოლების გატანას, რაც ბოსნიელი თავდამსხმელის პროფესიონალიზმზე მეტყველებს. გაბრაზებული ჯეკო ჯერ არავის ახსოვს და არც უდისციპლინოდ მოქცეულა ოდესმე – „მგლების“ მეცხრე ნომერი მშვიდად აგრძელებს თავისი საქმის კეთებას.

### იმდენად ელეგანტურია, რომ ბევრს აროგანტი ჰგონია

ჯეკოს ყოფილი მწვრთნელი, ამჟამად „შალკეს“ დამრიგებელი **ფელიქს მაგათი** ამბობს, ედინის უმთავრესი პლუსები სწრაფი აზროვნება, ცივსისხლიანობა, მოედნის მშვენიერი ხედვა და მეტოქე გუნდის დაცვაში ხვრელების სწრაფი აღმოჩენააო. მაგათისვე აზრით, ედინი ბურთთან ურთიერთობისას იმდენად ელეგანტურია, რომ ბევრს აროგანტად, ეგოისტადაც კი მოეჩვენება.

მართალია, ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის პირველ წრეში 10 გოლის გატანა შეძლო, რაც ნამდვილად კარგი შედეგია, მაგრამ მაინც ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ შესაძლებლობების მაქსიმუმი ამ სეზონში ჯერ არ გამოუვლენია. აი, სტატისტიკაც: თუკი წინა სეზონში საშუალოდ ერთ თამაშში ბურთს 42-ჯერ ეხებოდა, მიმდინარე სეზონში ეს მაჩვენებელი 34-მდე დაეცა; პასის სიზუსტემ 71 პროცენტიდან 56 პროცენტამდე დაიწია; კარისკენ დარტყმების სიზუსტემ კი 54-დან 48 პროცენტამდე. მიუხედავად ამისა, ათი გოლი გაიტანა. საერთო ჯამში მას ბუნდესლიგაში 111 მატჩში 66 გოლი აქვს გატანილი, რაც ფენომენალური შედეგია (აღარაფერს ვამბობთ 28 საგოლე პასზე).

ეგ არაფერი, ედინ ჯეკოს სეზონის მეორე ნახევარი უფრო უყვარს. თვითონ განსაჯეთ: შარშან და შარშანწინ მან მეორე წრეში გაცილებით მეტი გოლის გატანა შეძლო, ვიდრე პირველში. წინა სეზონში 22 გოლიდან 15 მეორე წრეში შეაგდო, „ვოლფსბურგის“ საჩემპიონო სეზონში კი პირველ წრეში მხოლოდ 5 გოლი ჰქონდა გატანილი და სეზონის მეორე ნახევარში 21 (!) გოლი გაიტანა. ასე რომ, როგორც ხედავთ, „მანჩესტერ სიტის“ ხელმძღვანელებს ტყუილად არ უნდათ ბოსნიელის იანვარში ყიდვა.

ჯეკოზე საუბრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ედინის შედეგიანობა საკმაოდ დიდად არის დამოკიდებული თანაგუნდელების ქმედუნარიანობაზეც. მიმდინარე სეზონის პირველ წრეში მისი მეწყვილე გრაფიტე საშინელ ფორმაში იყო და იმედები ვერც „იუვენტუსიდან“ ნაყიდმა **დიეგომ** გაამართლა, რის გამოც ჯეკო „მგლების“ წინა ხაზში უმეტესად მარტო კაცი იყო და სწორედ ამიტომ გაიტანა „მხოლოდ“ ათი გოლი.

ერთი რამ ფაქტია: ედინ ჯეკო უკვე ძალიან მაგარი თავდამსხმელია და აქვს იმის პოტენციალი, რომ მსოფლიო დონის ვარსკვლავი გახდეს. ბოსნიელი ნებისმიერ გრანდს დაამშვენებდა. მით უმეტეს „მანჩესტერ სიტის“...

**გოტფრიდ ლენცი**



მოჰამედ სისოკო შალკეს უახლოვდება

შალკე

# მოსალოდნელი გაცვლა: სისოკო რაკიტიჩში?

## იუვენტუსი თითქმის თანახმაა

ამას წინათ გაცნობეთ, რომ „შალკეს“ მენეჯერსა და მთავარ მწვრთნელ **ფელიქს მაგათს** ტურინის „იუვენტუსის“ საყრდენი ნახევარმცველის, **მოჰამედ სისოკოს** გადაბირება უნდა, რაც თვითონ ფელიქსმა ოფიციალურად დაადასტურა. სამ დღეში საქმემ წინ წაიწია. იტალიური გამოცემა „კორიერე დელო სპორტის“ ინფორმაციით, „შალკე“ და „იუვენტუსი“ ორივე მხარისთვის სარფიან გარიგებას ამზადებენ: სისოკო შეიძლება **ივან რაკიტიჩში** გაიცვალოს. მაგათს ტურინში უკვე გაგზავნილი ჰყავდა მსტოვრები, ხოლო „იუვეს“ სპორტული დირექტორი **ფაბიო პერატიჩი** პირადად ესაუბრა რაკიტიჩის მრჩეველს.

რაკიტიჩის აგენტი არ მალავს, რომ ტურინელები მისი კლიენტით მართლაც არიან დაინტერესებულები, მაგრამ იქვე დასძენს, რომ სავარაუდოდ იანვრის მეორე ნახევრამდე არაფერი გადაწყდება. მისივე თქმით, რაკიტიჩისთვის პირველი ვარიანტი მაინც „შალკეა“, მაგრამ მისი კლიენტი „იუვენტუსის“ დარ გრანდში გადასვლაზე უარს ნამდვილად არ იტყვის – მიუხედავად იმისა, რომ ტურინელები მას ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერ მისცემენ.

ფაქტი ის არის, რომ მაგათს მაღალი კლასის საყრდენი ნახევარმცველი სჭირდება, ტურინელებს კი რაკიტიჩის ტიპის შუამარბი არ ჰყავთ. მართალია, „ბებერი ქალბატონის“ თავკაც **ლუიჯი დელ ნერის** ტიპური გამთამაშებელი არ სჭირდება, რადგან „იუვეს“ კლასიკური 4-4-2-ით ათამაშებს, მაგრამ რაკიტიჩს საყრდენის პოზიციაზეც შეუძლია თამაში და საჭიროების შემთხვევაში, ფლანგზეც დადგება. „იუვენტუსი“ სისოკოს 7 მილიონ ევროდ აფასებს და ზუსტად ამდენივეს ითხოვს „შალკე“ რაკიტიჩში.

ამასობაში, გელზენკირხენულმა კლუბმა **ჯერმეინ ჯონსიც** (ასევე საყრდენი ნახევარმცველი) ტრანსფერზე დააყენა. „შალკეში“ სხვა ტრანსფერიცაა მოსალოდნელი: 21 წლის **მარიო გავრანოვიჩს**, რომელიც ასევე ვერ ჩაჯდა მაგათის გემოვნებაში, „ზანკტ პაული“ ეპატიჟება.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „შალკედან“ თავდამსხმელ **ერიკ იენდრიშეკის** წასვლაც ფაქტობრივად გადაწყვეტილია. ახალგაზრდა სლოვაკი თავდამსხმელი, რომელიც „ხუმარებმა“ ზაფხულში „კაიზერსლაუტერნიდან“ გადაიბირეს, სეზონის მეორე ნახევარს განათხოვრების წესით „პანათინაიკოსში“ გაატარებს.

**გოტფრიდ ლენცი**

კვირის ფრაზები, მატჩი...

### სუსტი ჯონ ობი მიკელი

ინგლისში „ბოქსინგ დეი“ ჩატარდა. დეკემბრის მატჩებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამ ტურის მიმოხილვის დაწერა კი არ დაიზარა წარსულში ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ფეხბურთელმა, ახლა კი მიმომხილველმა **ჯეიმი რედნაპმა**, რომელმაც თავის მიმოხილვაში „ჩელსიზე“ ისაუბრა, სადაც გაჭანებული კრიზისია! მან თქვა:

*„კარლო ანჩელოტის ყოველთვის ცენტრალური ნახევარდაცვის აწყობის პრობლემა აწუხებს. ვერ ვხვდები, რატომ არ ცვლის ტაქტიკას, ის ხომ მთავარი მწვრთნელია და რა ტაქტიკით იასპარეზებს გუნდი, მისი გადასაწყვეტია. მე ჟოზე მოურინიოს წასვლის შემდეგ ვერ ვხედავ ტაქტიკურ ცვლილებებს და თუ კარლიტოს სურს, რომ წარმატებას მიაღწიოს, უნდა მოაშოროს ჯონ ობი მიკელი, რომელიც მოედანზე არაფერს აკეთებს და იყიდონ ისეთი მოთამაშე, როგორიც იყო კლოდ მაკელელე“.*

### როი ჰოჯსონი: არ დაიჯეროთ!

„ლივერპულის“ მთავარმა მწვრთნელმა **როი ჰოჯსონმა** საკუთარი გუნდის ფანებს განუცხადა, რომ კლუბი ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას არავის ყიდვას არ აპირებს. მწვრთნელმა ბრძანა: *იანვრის სატრანსფერო ფანჯარა ჟურნალისტებისა და აგენტების საქმეა. მე, ჩემი შვილი ყოველდღე მატყობინებს სხვადასხვა ჭორს ამა თუ იმ ტრანსფერზე, რასაკვირველია არ ვიჯერებ ამას. მივმართავ ფანებს: არ დაიჯეროთ პრესის მიერ მოგონილი ჭორები“.*

### მხოლოდ ჩვენ!

მიუნხენის „ბაიერნის“ მარჯვენა მცველმა **ფილიპ ლამმა** ხმაურიანი განცხადება გააკეთა - აქაოდა, „დორტმუნდი“ რომ ლიდერობს, მისი შემჩერებელი მხოლოდ ჩვენ ვართო. შეგახსენებთ, რომ „დორტმუნდი“ „ბაიერნს“ მთელი 14 ქულით უსწრებს: *„ჩვენი ამ სეზონური შედეგები არადამაკმაყოფილებელია,* - ამბობს ლამი „ბილდთან“ საუბარში. - *მაგრამ ის გუნდი, რომელსაც „დორტმუნდის“ შეჩერება ძალუძს, ეს რა თქმა უნდა ჩვენ ვართ. წინ კიდევ მეორე წრე და ბევრი შეხვედრაა. ჩვენ კი ყველას მოგება გვმართებს. ამის თქმის საფუძველს ჩვენი შეტევითი პოტენციალი მაძლევს.*

### ევრო 2012-იც და...

ბოლო პერიოდის უკრაინის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელი, კიევის „დინამოს“, „მილანის“, „ჩელსის“ და უკრაინის ნაკრების კაშკაშა ვარსკვლავმა **ანდრეი შევჩენკომ** სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“ დაწერა, რომ ევრო2012-ის შემდეგ ნაკრებიდან და საერთოდ ფეხბურთიდან წავა: *„მე ასეთი გადაწყვეტილება მივიღე - ევრო2012 როგორც კი დასრულდება, ბუცებს ლურსმანზე ჩამოვკიდებ. ეს არის საბოლოო და არ გადავთქვამ“.*

### კვირის მატჩი

კვირის მატჩად უდავოდ ლონდონური დერბი „არსენალი“-“ჩელსი“ უნდა მივიჩნიოთ. მატჩი საკმაოდ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა, რომელშიც გამარჯვება „მეთოფეებმა“ მოიპოვეს (3:1). ეს კი პირველად მოხდა 2008 წლის შემდეგ - ორი წელი „არსენალი“ „ჩელსის“ ვერა და ვერ უგებდა.

**გიორგი ფულარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ვინ როგორ შეასრულა დანაპირები?

**მიმდინარე სეზონის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, „ბილდმა“ მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელების დანაპირები გამოაქვეყნა – რეკორდმაისტერის მოთამაშეები გულშემატკივრების წინაშე სხვადასხვა პირობას დებდნენ. რაკი პირველი წრე დასრულდა და ზამთრის არდადეგები დაიწყო, დადგა დრო იმის გადამოწმებისა, თუ რამდენად ასრულებენ ბაიერნელები თავიანთ დანაპირებს.**

**ფრანკ რიბერის** დაპირება: *„მინდა, რომ ამ სეზონში სულ ჯანმრთელი ვიყო და ყველა მატჩი ჩავატარო. გულშემატკივრებს ვპირდები, რომ ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი იქნება.“*

მდგომარეობა: „ბაიერნმა“ აგვისტოდან მოყოლებული 26 ოფიციალური მატჩი (ბუნდესლიგა, ჩემპიონთა ლიგა, გერმანიის თასი) გამართა და რიბერიმ თავიდან ბოლომდე მხოლოდ ათ შეხვედრაში იასპარეზა. ამ ექვსი თვიდან, ფრანგი დრიბლიორი ორი თვის მანძილზე ტრავმირებული იყო, ბუნდესლიგაში კი ოდენ ორი გოლის გატანა მოახერხა. ასე რომ, „კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონზე“ ლაპარაკი უკვე ზედმეტია.

**მარიო გომესის** დაპირება: *„ბაიერნში“ ჯერ მხოლოდ ერთი სეზონი მაქვს გატარებული და რაკი ის ჩავაგდე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დავნებდები. ფანებს ვპირდები, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს დავიბრუნებ და გოლების გატანას დავიწყებ.“*

მდგომარეობა: მართალია, კონკურენტების ტრავმების ხარჯზე, მაგრამ გომესმა მართლაც დაიბრუნა რეკორდმაისტერის სასტარტოში ადგილი და გოლების გატანაც დაიწყო. პირველი წრის შემდეგ მარიოს ანგარიშზე 12 გოლია. გომესი საუკეთესო ბომბარდირ **თეოფანის გეკასს** ორით, ხოლო ფრაიბურგელ **პაპის დემბა სისეს** კი ერთი გოლით ჩამორჩა.



მარიო გომესმა (მარცხნივ) დაპირება შეასრულა, ფრანკ რიბერიმ კი ვერა...

**ივიცა ოლიჩის** დაპირება: *„ამ სეზონში 20-ზე მეტ გოლს გავიტან!“*

მდგომარეობა: წინა სეზონის გმირმა მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგაში მხოლოდ ექვსი, გერმანიის თასზე კი ორი თამაში ჩაატარა და მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი საგოლე პასია. ოლიჩს სასტიკად არ გაუმართლა: მან უმძიმესი ტრავმა მიიღო და უკვე ცნობილია, რომ ზაფხულამდე ვერ ითამაშებს. შესაბამისად, ვერც დაპირების შესრულებას მოახერხებს.

**ჰოლგერ ბადშტუბერის** დაპირება: *„მართალია, მცველი ვარ, მაგრამ მაინც ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ გოლები გავიტანო. ჩემი მიზანი ოთხი-ხუთი გოლის გატანაა. ვფიქრობ, კარგ მცველს გოლების გატანაც უნდა შეეძლოს...“*

მდგომარეობა: ბადშტუბერმა პირველ წრეში ერთი გოლის გატანაც კი ვერ შეძლო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ახალგაზრდა მცველი ოქტომბრის შუა რიცხვების შემდეგ ტრავმირებულია.

**ფილიპ ლამის** დაპირება: *„ბაიერნი“ პირველ წრეს საკმაოდ კომფორტული უპირატესობით მოიგებს!“*

მდგომარეობა: შემოდგომის ჩემპიონი არა „ბაიერნი“, არამედ დორტმუნდის „ბორუსია“ გახდა. ლამის რეკორდმაისტერი კი BVB-ს 14 ქულით ჩამორჩა.

**ტონი კროოსის** დაპირება: *„ამ სეზონში ჩემი მიზანი „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში თავის დამკვიდრებაა. მინდა, რომ გუნდის განუყოფელი ნაწილი გავხდე.“*

მდგომარეობა: სანამ ტრავმას მიიღებდა, კროოსი მართლაც მუდმივად თამაშობდა და 24 ოფიციალურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა (2 გოლი, 7 პასი). ასე რომ, კროოსმა დანაპირები შეასრულა.

**ბასტიან შვაინშტაიგერის** დაპირება: *„ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგა უნდა მოვიგოთ!“*

მდგომარეობა: „ბაიერნმა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი წარმატებით დასძლია და მერვედფინალშია, სადაც მოქმედ გამარჯვებულ მილანის „ინტერს“ დაუპირისპირდება. შესაბამისად, რეკორდმაისტერისთვის ჩემპიონთა ლიგაში ყველაფერი შესაძლებელია.

**მარკ ვან ბომელის** დაპირება: *„ფეხბურთელებს მოდუნების საშუალებას არ მივცემ და ყველას მაგრად გავაკონტროლებ.“*

მდგომარეობა: კაპიტანს „ბაიერნის“ დატოვება სურს, რადგან ორწლიან კონტრაქტს არ უფორმებენ, ერთწლიანზე კი უარს ამბობს. შესაბამისად, თუ წავიდა, დაპირებასაც ვერ შეასრულებს.

მოსაზრება



ფრანც ბეკენბაუერი

# ბეკენბაუერი: კლოპი ჯერ პატარაა!

## კაიზერის აზრით, იურგენისთვის გერმანიის ნაკრების მწვრთნელად მუშაობა ჯერ ძალიან ადრეა

რამდენიმე დღის წინ ვწერდით, რომ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **იოახიმ ლიოვის** აზრით, დორტმუნდის „ბორუსიას“ თავკაცი **იურგენ კლოპი** უკვე მზადაა იმისათვის, რომ ბუნდესმწვრთნელი გახდეს - იოგიმ „ბორუსიას“ თავკაცი „მაინცის“ მწვრთნელ **თომას ტუხელთან** ერთად თავის პოტენციურ და ლეგიტიმურ შემცვლელად დაასახელა. გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **ფრანც ბეკენბაუერი** ლიოვს არ ეთანხმება – კაიზერს მიაჩნია, რომ კლოპისთვის ბუნდესმწვრთნელობა ჯერ ძალიან ადრეა.

*„კლოპი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა იმისათვის, რომ მას მომავალი ბუნდესმწვრთნელი ვუწოდოთ. გერმანიის ნაკრების მწვრთნელს საერთაშორისო გამოცდილებაც სჭირდება, რაც იურგენს ჯერ არ აქვს. ჩემი აზრით, კლოპმა თავისი შესაძლებლობები ბუნდესლიგაში კიდევ მინიმუმ ათი წლის განმავლობაში უნდა ამტკიცოს, რომ გერმანიის ნაკრების გაწვრთნის რეალურ კანდიდატად განხილვა დაიმსახუროს,“* - განუცხადა ბეკენბაუერმა „ბილდს“.

აღსანიშნავია, რომ ლიოვს გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი 2012 წლის ივლისამდე აქვს გაფორმებული, კლოპმა კი „ბორუსიასთან“ ახლახან ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რომელსაც ვადა 2014 წლამდე აქვს. რაც შეეხება ტუხელს: მას „მაინცთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს.

ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რას ფიქრობს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **თეო ცვანციგერი**. მისი თქმით, საფეხბურთო კავშირი მზადაა, ლიოვს ახლავე გაუფორმოს ახალი კონტრაქტი, რომელსაც ვადა 2014 წლამდე ექნება, რის გამოც ცვანციგერი ლიოვის პოტენციურ და მით უმეტეს ლეგიტიმურ შემცვლელებზე საუბარს თავს არიდებს.

*„იოახიმ ლიოვი შესანიშნავი ბუნდესმწვრთნელია და ჩვენ გვინდა, რომ გერმანიის ნაკრებში რაც შეიძლება დიდხანს იმუშაოს. შესაბამისად, მის შემცვლელზე ერთი წამითაც არ მიფიქრია,“* - ამბობს ცვანციგერი „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ქართული სპორტი

● ჭადრაკი


ზურაბ აზმაიფარაშვილი

## ფრთხილობს, მაგრამ მაინც პირველია

სინგაპურში დასასრულს უახლოვდება აზიის ღია ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი დიდოსტატი **ზურაბ აზმაიფარაშვილიც** მონაწილეობს. გუშინ ერთბაშად ორი ტურის პარტიები გაიმართა. ფინიშის სწორზე ლიდერები ფრთხილობენ. დასტურად ისიც გამოდგება, რომ 14-დან 9 შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, მათ შორის ზურაბ აზმაიფარაშვილის ორივე ორთაბრძოლა - ჯერ ფილიპინელ **ოლივერ ბარბოსასთან,** შემდეგ კი ვიეტნამელ **ჰაი დიენ დაოსთან**. რვა ტურის შემდეგ ჩვენებური 6 ქულით კვლავაც ერთპიროვნულად ლიდერობს. მეწინავეთაგან მე-8 ტურში ასევე დაზავდნენ: **ბარბოსა-პაულ გომესი** (ფილიპინები), **კიმ სტივენ იარი** (ფილიპინები)-**ვან ნგუენი** (ვიეტნამი), **კერდას ბარუსი** (ინდონეზია)-**ედგარ რეჯი ოლეი** (ფილიპინები). სამი პარტია შედეგიანი გამოდგა: **სუსანტო მეგარანტო** (ინდონეზია)-**რიჩარდ ბიტუნი** (ფილიპინები) 1:0, **სენგ კაო** (ვიეტნამი)-**ენრიკე პაკინცია** (სინგაპური) 1:0, **აგუსტა ლაკსანა** (ინდონეზია)-**ტიმოთი ჩანი** (სინგაპური) 0:1.

შეჯიბრების დამთავრებამდე ტურით ადრე აზმაიფარაშვილს 0,5-0,5 ქულით მეგარანტო და ბარბოსა ჩამორჩებიან. 6 მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს. დღეს ქართველის მეტოქეა კაო.

მერვედფინალსა და მეოთხედფინალში ისინი ორ-ორ კლასიკურ პარტიას ითამაშებენ. შეხვედრის ფრედ დამთავრების შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე გამსვლელ მოჭადრაკეს ტაიბრეიკები (ჯერ 25-წუთიანი, შემდეგ - 5-წუთიანი და „არმაგედონი") გამოავლენს. ნახევარფინალში, ფინალსა და მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მეტოქეები ოთხ-ოთხჯერ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. წონასწორობის შემთხვევაში აქაც ტაიბრეიკების სისტემა იმუშავებს.

ტურნირის საპრიზო ფონდია 14 500 ლარი. ჩემპიონი 4000 ლარს მიიღებს, მეორე-მესამე პრიზიორები, შესაბამისად, 3500 და 3000 ლარით დაჯილდოვდებიან. მეოთხეადგილოსანს 2000 ლარი გადაეცემა, ხოლო მეხუთე-მერვე ადგილებზე გასულთ - 500-500 ლარი. ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი ეროვნულ ნაკრებში დაიბევებენ ადგილებს, ხოლო მედალოსნებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს.

მოჭადრაკე ქალთა 68-ე ეროვნული ჩემპიონატი ვაჟების პირველობამდე სამი დღით ადრე აილებს სტარტს დაბა ანაკლიაში. **სალომე მელია, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, ლელა ჯავახიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, ნაზი პაიკიძე, მარიამ დანელია, მერი არაბიძე, ნინო ბაციაშვილი, მაკა ფურცელაძე, მირანდა მიქაძე, სოფიკო ნიკოლაძე** 10 იანვრიდან წრიული სისტემით შეხვდებიან ერთმანეთს, 16 იანვარი დასვენების დღეა. პირველი-მეხუთეადგილოსნები, შესაბამისად, 4000, 3500, 3000, 2000 და 1000 ლარით დაჯილდოვდებიან. მედალოსნებს ფედერაცია ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე წასასვლელ ხარჯებს აუნაზღაურებს.

## ყაჭეიშვილმა კოსტენიუკი დაამარცხა

ლას ვეგასში ჩრდილოამერიკული ღია საერთაშორისო ტურნირზე **გიორგი ყაჭეიშვილმა** გუშინ ორ ტურში მონაგარი 1,5 ქულით გაიმდიდრა: მეოთხე ტურში ჩვენებურმა რუს მსოფლიოს ექსჩემპიონ **ალექსანდრა კოსტენიუკს** სძლია, ხოლო მეხუთეში **ჯირი შტოჩეკს** დაუზავდა და 4,5 ქულით **ილია სმირინთან** და შტოჩეკთან ერთად მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფს. 5 ქულით გათამაშების ცხრილს სათავეში **ჯოშუა ედ ფრიდელი** უდგას. გუშინ მან დიდოსტატები - **ვარუშან აკობიანი** და **იური შულმანი** დაამარცხა.

## ვაჟებს ნოკაუტსისტემა, ქალებს წრიული

თბილისის ჭადრაკის სასახლეში 12 იანვარს დაიწყება და 27-ში დამთავრდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 70-ე ეროვნული ჩემპიონატი. შეჯიბრებაში 16 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ჩაებმება ნოკაუტსისტემით - მედლებისთვის იბრძოლებენ **მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, თამაზ გელაშვილი, დავით არუთინიანი, ლევან ფანცულაია, კონსტანტინე შანავა, თორნიკე სანიკიძე, დავით ბენიძე, დავით ჯოჯუა, გიორგი მარგველაშვილი, მალხაზ სულაშვილი, ლუკა პაიჭაძე, შოთა აზალაძე, ბაჩანა მორჩიაშვილი, გიგა ყუფარაძე** და **დავით ზარქუა.**

## ხოტენაშვილი სოჩკოს გაუთანაბრდა

ფრანგულ ბეტიუნში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი. A კატეგორიის ტურნირში **მალხაზ სულაშვილმა** გუშინ ერთპიროვნულ ლიდერ **რაი ტიშბირეკთან** (გერმანია) წააგო, **ნილს ნის** (ბელგია) კი დაუზავდა და 4 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულა აქვს **თორნიკე სანიკიძეს კიმ ფლის** (ბელგია) ძლევისა და **ფაბიენ გულუქსთან** (საფრანგეთი) დაზავების შემდეგ. ტიშბირეკმა 5,5 ქულას მოუყარა თავი. სამი მოჭადრაკე მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება.

ამავე ფესტივალის ქალთა ტურნირში თამაშობს დიდოსტატი **ბელა ხოტენაშვილი,** რომელმაც მესამე ტურში ლიდერს - პოლონელ **მონიკა სოჩკოს** სძლია და ქულებითაც გაუთანაბრდა. ახლა ორივე მოჭადრაკეს პირველი წრის შემდეგ 2-2 ქულა აქვს. ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა გერმანელმა **ელიზაბეტ პეტცმა,** რომელმაც მეორე ტურში ხოტენაშვილს აჯობა, გუშინ კი ფრანგ **სოფი მიიეს** დაუზავდა.

დღეს მე-4 ტურში ითამაშებენ: პეტცი-სოჩკო, ხოტენაშვილი-მიიე.

**ვაჟა დანელია**


ბელა ხოტენაშვილი

● ტანვარჯიში

## მხოლოდ ბიჭებმა იასპარეზეს

თბილისის მერიის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალის დარბაზში 1997 წელს და უფრო გვიან დაბადებულმა ტანმოვარჯიშე ბიჭებმა დედაქალაქის პირველობაზე იასპარეზეს. სხვადასხვა ასაკში გამარჯვებული გამოვიდნენ: **საბა სამხარაძე, დავით მეზურნიშვილი, ლევან სხილაძე, ბიძინა სიჭინავა, საბა აბესაძე** და **გიგი სიჭინავა.** ტანმოვარჯიშეებმა ამ ტურნირით წლევანდელი სეზონი დაასრულეს.

**ვაჟა დანელია**

● სუპერლიგა. XI ტური

# მე-20 ჩემპიონატის მე-11 ტური

## ცხელი ზამთრის მოლოდინში

**საქართველოს მე-20 ჩემპიონატის მე-11 ტურით პირველი წრე გუშინ დასრულდა. სამშაბათს ორი საინტერესო მატჩი რეგიონებში გაიმართა: „არმიამ" რუსთავში გაიმარჯვა, ხოლო „სამედიცინომ" - ბათუმში. ოთხშაბათს ტურის დარჩენილი სამი შეხვედრა თბილისში შედგა და სამივეში დაძაბულ ბრძოლას ველოდით, თუმცა შსს-მ, სტუ-მ და „ქუთაისმა" დამაჯერებლად ითამაშეს, მეტოქეებს შანსი არ დაუტოვეს და ქომაგიც ამაოდ ელოდა დაძაბულ ბოლო წუთებს.**

**ტურის საუკეთესო კალათბურთელის დასახელება გაგვიჭირდა, ერთ მომენტში ისიც ვიფიქრეთ, საუკეთესოდ არა რომელიმე კალათბურთელი, არამედ მთლიანად ქუთაისის გუნდი დაგვესახელებინა. თუმცა სტატისტიკამ ერთი კალათბურთელი მაინც გამოარჩია: ბუბა კვიმსაძეს ერთით მეტი პასი რომ შეესრულებინა, სამმაგი დუბლის ავტორი გახდებოდა - 15 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი. მისმა „ქუთაისმა" კი თსუ დაამარცხა.**

### სამქულიანმა მოხსნას აჯობა

29.12.10. თბილისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| შსს | 87 |
| სოხუმი | 80 |

23:20, 25:16, 20:19, 19:25

შსს: ლაფანაშვილი (2ქ, 3პ), ბ. ლეჟავა (5ქ), ნიკოლაძე (5ქ, 3პ), ი. ბერიშვილი (8ქ, 7პ), კოტონი (11ქ), მარკოიშვილი (23ქ, 5მ, 4პ), დ. ბარბაქაძე (13ქ, 9მ), იმნაძე (15ქ, 5მ, 3პ), ტომარაძე (5ქ, 3პ).

სოხუმი: ფარლალავა (31ქ, 5მ, 5პ, 3ჩ), ჰარისი (15ქ, 3ჩ), კვეტენაძე, შანიძე (4ქ), სორდია, კანკია (3პ, 5ფ), კოპალიანი (2ქ), კ. დამუსი (14ქ, 10მ), რ. დამუსი (14ქ, 15მ, 2დ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე.

თსუ-სა და „არმიასთან" წაგებების შემდეგ, შსს-ს საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაციის კარგი შანსი მიეცა - მეტოქედ ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი, „სოხუმი" ჰყავდა.

შსს-ელებმა უპირატესობა პერიმეტრიდან ტყორცნებში მოიპოვეს: სოხუმელებს რეალიზებულ სამქულიანებში 13:4 აჯობეს. ამ კომპონენტში გამოირჩა შსს-ს ფორვარდი **გიორგი მარკოიშვილი,** რომელმაც 8-დან 5 სამქულიანი გამოიყენა. მისმა თანაგუნდელმა **დათო ბარბაქაძემ** კი 3-დან 3 სამქულიანი ჩააგდო.

შუა მატჩში ტრავმა მიიღო ძალოვანთა მეფარე **დავით იმნაძემ,** რომლის მოედნიდან გასვლის შემდეგ შსს-მ მატჩი ნომინალური ცენტრის გარეშე განაგრძო. მიუხედავად იმისა, რომ „სოხუმს" მეფარე **პეტრას ბალოჩკა** გამოაკლდა (საფრანგეთში წავიდა), ძმები დამუსების ხარჯზე სოხუმელებმა მოხსნებში 51:39 იმარჯვეს, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

მეორე წრის წინ გაძლიერებას აპირებს შსს, რომლის სამომავლო ტრანსფერებზე მალე მოგითხრობთ. თავის მხრივ, ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე არც „სოხუმი" იუქმებს, თუმცა ამ გუნდს უმთავრესად შეთამაშება სჭირდება (კალათბურთელებით სეზონის მსვლელობისას ივსებოდა). სწორედ ამიტომ, სოხუმელები იანვრის დასაწყისში ანტალიაში შეკრებაზე წასვლას აპირებენ, სადაც, სავარაუდოდ, სამ მატჩს გამართავენ.

### სტუ-ს ვეღარ აჩერებენ

29.12.10. თბილისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| აგრარული | 63 |
| სტუ | 82 |

21:18, 9:19, 18:23, 15:22

აგრარული: ტეტელაშვილი (5ქ, 3პ, 8მ), ბააკაშვილი, ნანიტაშვილი (6ქ), სიგუა (2ქ), ჩაჩანიძე (20ქ), ხანიაშვილი (10ქ, 3პ), გემაზაშვილი, ჯავახიშვილი (14ქ, 14მ), მუმლაძე (6ქ, 10მ).

სტუ: ანთაძე (9ქ, 8მ, 5პ), ჭოხონელიძე, ბერუაშვილი (16ქ, 12მ), ჩიკვილაძე (25ქ, 7მ, 5პ, 3ჩ), ლომოური (13ქ), გასიტაშვილი, თევზაძე, კობიძე (4ქ, 2დ), ჯანგველაძე (5ქ, 5მ), ჩალიგავა (2ქ), ძიძიგური, ახალკაცი (8ქ, 11მ, 4პ).

მსაჯები: დ. ზერეკაშვილი, გ. მიქელაძე

მეცხრე ტურამდე სუპერლიგაში გამარჯვების გარეშე ერთადერთი გუნდი იყო – სტუ. თუმცა, მას მერე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და მხოლოდ ბოლო სამი ტურის შედეგებს თუ შევაჯამებთ, „არმიასთან" ერთად საუკეთესო სწორედ ტექნიკოსები არიან. მათ წრის ბოლო სამივე მატჩი მოიგეს.

გუშინ სტუ-ს მეტოქე "აგრარული" იყო, რომელსაც ტექნიკოსების დარად მე-11 ტურამდე 2 მოგება ჰქონდა. როგორც თანაბარი ძალის გუნდებს შეეფერებათ, პირველ ტაიმში უპირატესობა გარდამავალი იყო. მეორე მეოთხედის შუაში "აგრარულმა" ხუთქულიან უპირატესობას მიაღწია – 30:25. სწორედ ამის შემდეგ დადგა გადამწყვეტი მომენტი: **ვასილ ბერუაშვილისა და ბექა ჩიკვილაძის** სიზუსტის წყალობით სტუ-მ 20:0 გაქცევა მოაწყო და 45:30 დაწინაურდა. ამის შემდეგ ტექნიკოსები არ მოდუნებულან და ყველაზე დიდ სხვაობას, 19 ქულას რომ მიაღწიეს, მატჩიც მაშინ დასრულდა (82:63).

ასე და ამგვარად, პირველი წრის ბოლოს სტუ-მ ცხრილში ბოლოდან მე-8 ადგილზე აინაცვლა. "აგრარული" მეათეა, ცხრილის ფსკერზე კი უხელფასო „დინამოა". იმედი დავიტოვოთ, რომ მეორე წრეს დინამოელები კარგი მეპატრონით შეხვდებიან...

### უშეცდომო ქუთაისი

29.12.10. თბილისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| თსუ | 63 |
| ქუთაისი | 86 |

13:26, 15:23, 14:19, 21:18

თსუ: ხიზანიშვილი (4ქ), ფანჩულიძე (14ქ, 5მ), გაფრინდაშვილი (7ქ), მარხვაშვილი (8ქ, 11პ, 3ჩ), კოხრეიძე (2ქ), ლონდარიძე (6ქ, 8მ, 3დ), კორკოტაძე (17ქ), ჩიტაშვილი (4ქ, 3პ), ყველაშვილი (1ქ, 5მ), დეკანოიძე.

ქუთაისი: დიდია, ბ. ბერიშვილი (13ქ, 6მ, 5პ, 4ჩ), კვიმსაძე (15ქ, 10მ, 9პ), ბოლქვაძე (18ქ, 7მ), გ. ბარბაქაძე (13ქ, 5მ, 3პ, 4ჩ), კოლუაშვილი (20ქ), ქორიძე, მესხი, ლომინაშვილი (6ქ), ტუკვაძე, ბაბუნაშვილი (1ქ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ზერეკაშვილი.

მე-10 ტურში შინ, „ბათუმთან" წაგების შემდეგ „ქუთაისი" თსუ-სთან მატჩს მაქსიმალურად კონცენტრირებული შეხვდა და მოიგო კიდეც - 86:63.

*- თამაშზე სათანადოდ მობილიზებულები გამოვედით. საშინაო მარცხის შემდეგ კარგად მოვემზადეთ და დღეს კალათბურთელებმა ყველა დავალება ზუსტად შეასრულეს. დაცვაში დამაჯერებლად ვითამაშეთ, რამაც შეხვედრის ბედი ჩვენ სასარგებლოდ გადაწყვიტა,* - აღნიშნა ნამატჩევს „ქუთაისის" თავკაცმა **მალხაზ კოხრეიძემ.**

თსუ-ს წინა ხაზში სერიოზული დანაკლისი ჰქონდა:

*- ტრავმის გამო ვერ ითამაშა რიჩარდ მათიაშვილმა. წელი სტკიოდა მეორე მეფარე ილია ლონდარიძეს, რომელმაც გამაყუჩებლით ითამაშა. ასევე ტრავმირებულია შალვა კოხრეიძე. მან დიდი ხნის შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა,* - გვითხრა თსუ-ს თავკაცმა **ნუგზარ ჭეიშვილმა.**

თსუ-ს „ქუთაისის" ზონური დაცვის გარღვევა გაუჭირდა, ფარქვეშ **დავით ბოლქვაძე** იდგა მყარად, ხოლო პერიმეტრზე აქტიურად იცავდნენ თავს **ბუბა ბერიშვილი** და **ბუბა კვიმსაძე.** მოედნის მეორე მხარეს ფარქვეშიდან ქულას-ქულაზე აგროვებდნენ ქუთათურები, ხოლო მათ სამქულიანებით ეხმარებოდნენ კვიმსაძე, ბერიშვილი და **გიგი ბარბაქაძე.**

ასეთი თამაშით „ქუთაისმა" მალე მოიპოვა 10-ქულიანი უპირატესობა და მე-40 წუთამდე ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია. ეს „ქუთაისის" მე-7 მოგება იყო. სწორედ ასეთი შედეგით (7-7 გამარჯვება) დაასრულეს პირველი წრე შსს-მ, თსუ-მ და „ენერჯიმ".

იმედს დავიტოვებთ, რომ შსს-სა და „არმიის" მსგავსად 2011 წლის იანვარში ქუთათურები, რუსთაველები და თსუ-ელებიც გაძლიერდებიან და მეორე წრეც ისევე საინტერესოდ ჩაივლის, როგორც პირველი.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 10 | 9 | 1 | 916/712 | 19 |
| 2. ენერჯი | 10 | 7 | 3 | 748/705 | 17 |
| 3. ქუთაისი | 10 | 7 | 3 | 855/746 | 17 |
| 4. შსს | 10 | 7 | 3 | 901/775 | 17 |
| 5. თსუ | 10 | 7 | 3 | 877/806 | 17 |
| 6. სოხუმი | 10 | 6 | 4 | 805/790 | 16 |
| 7. სამედიცინო | 10 | 3 | 7 | 741/759 | 13 |
| 8. სტუ | 10 | 3 | 7 | 828/887 | 13 |
| 9. ბათუმი | 10 | 3 | 7 | 760/833 | 13 |
| 10. აგრარული | 10 | 2 | 8 | 693/843 | 12 |
| 11. დინამო | 10 | 1 | 9 | 677/945 | 11 |

**ვაჟა სიმონიშვილი**


შსს-სოხუმი. სოხუმელთა ფარს იმნაძე უტევს

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

● ძიუდო. ახმეტის ტურნირი

# საშობაო ტურნირი ახმეტაში

25-26 დეკემბერს ახმეტაში, ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურის** სახელობის ძიუდოს სკოლაში ჩატარდა საშობაო-საახალწლო ტურნირი. ის საქართველოს მასშტაბით გაიმართა და თითქმის ყველა რეგიონის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. შეჯიბრება, რომლის ორგანიზატორიც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ზვიადაურის აღმზრდელი **გუგული აბრამიშვილი** იყო, ჭაბუკთა ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა - 1995-97 წლებში დაბადებულებსა და 1993-94 წლიანებს შორის.

უმცროსებში ყველაზე მეტად საგარეჯოელებმა იყოჩაღეს, რომლებმაც ოქროს ოთხი მედალი მოიპოვეს - **ირაკლი კუპატაძემ** (42), **კობა მჭედლიშვილმა** 950), **სოლომონ თედიაშვილმა** (54) და **თამაზ კირაკოზაშვილმა** (60). მასპინძლებს მხოლოდ ერთი ოქრო ერგოთ, რომელიც **დავით ქასაევის** (46) მონაგარია. ასევე თითო-თითო ჩემპიონი გაუხდათ მესტიელებს **ბექა ფალიანი** (66) და დედოფლისწყაროელებს, **გურამ ჩიბუხაშვილი** (+66).

უფროსებში ოქროს მედლები შედარებით თანაბრად გადანაწილდა - ორ-ორი ჩემპიონი გაუხდათ ახმეტას, მესტიას და საგარეჯოს, ერთი ოქრო კი თბილისმა ირგუნა. ახმეტელთაგან ჩემპიონობა **გრიშა გუმაშვილმა** (66) და **სოსო უძილაურმა** (73) მოიპოვეს, მესტიელთაგან - **ოთარ თამლიანმა** (50) და **ბექა ჩართოლანმა** (60), საგარეჯოელთაგან - **ამირან გიგაურმა** (55) და **ზაურ მამარდაშვილმა** (81). თბილისელებმა ყველაზე პრესტიჟულ - მძიმე წონაში იმარჯვეს, რაც **გიორგი ქავთარაძემ** (+81) შეძლო.

**ირაკლი თავაძე**

● თავისუფალი ჭიდაობა. განჯის ტურნირი

# სამი ოქრო განჯიდან

ამ დღეებში ქართველ მოჭიდავეთა ერთი ჯგუფი განჯაში საერთაშორისო ტურნირში გამოვიდა. ესაა ტრადიციული შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში იქაური სახელოვანი მწვრთნელის - ისახა ჯაფაროვის ხსოვნის პატივსაცემად და ამავე სტილის ჭიდაობაში ტარდება. ადრე იქ ბევრად ძლიერი შეჯიბრება იმართებოდა, წლეულს კი უცხოელთაგან მხოლოდ ჩვენები იყვნენ. აზერბაიჯანში **ელგუჯა ქობესაშვილის** ხელმძღვანელობით 5-კაციანი გუნდი გაემგზავრა, რომელიც სამშობლოში ოქროს სამი მედლით დაბრუნდა. სამივე ჯილდო ეროვნული ნაკრების კანდიდატებმა - **კობა მაქარაშვილმა** (74), **თორნიკე სვანიძემ** (84) და **გიორგი ნიკურაძემ** (120) მოიპოვეს.

**ირაკლი თავაძე**

## ბაგრატ მექვაბიშვილი



**58 წლისა გამაოგნებლად მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან ვეტერანი მძლეოსანი, სპორტის ოსტატი, 1989 წლიდან საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის მთავარი სპეციალისტი ბაგრატ მექვაბიშვილი.**

**1970-იან წლებში იგი ორჯერ იყო ახალგაზრდებს შორის 60 მ. რბენაში საბჭოთა კავშირის პრიზიორი, იუნიორებში კი საკავშირო ნაკრებში 4X100 ამანათრბენში საერთაშორისო შეჯიბრების „დრუჟბას“ გამარჯვებული. სამჯერ იყო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს, აგრეთვე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, სისტემატურად იმარჯვებდა მესაზღვრეთა საკავშირო სპარტაკიადებსა და ჩემპიონატებში. 1972 წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონობასთან ერთად რეკორდსმენიც გახდა.**

**დიდი სარბიელიდან წასვლის შემდეგ, როგორც ფუნქციონერი ჩადგა ქართული სპორტის სამსახურში. აქაც წარუშლელი კვალი დატოვა მძლეოსნობის განვითარებაში ჩვენს ქვეყანაში.**

**სიკეთით სავსე, მუდამ ხალისიანი, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, გამორჩეულად მომფერებელი - ასეთი დაამახსოვრდება ბაგრატ მექვაბიშვილი ყველას, ვინც მას იცნობდა, მას კი ქართული სპორტის სამყაროს თაობები იცნობდა და პატივს მიაგებდა, როგორც ღირსეულ პიროვნებას.**

**ბაგრატ მექვაბიშვილის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.**

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია

*პანაშვიდი: 30, 31. XII; გამოსვენება 1.01. 14 სთ-ზე. მისამართი: ბესიკის II შესახვევი №4.*

● შეხვედრა

# სასწავლებელი ამაყობს ჩემპიონებით



ჩემპიონები რექტორთან

თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა **გურამ გუგენიშვილმა** და **თეიმურაზ ლუტიძემ** წლეულს მაღალი მიღწევებით ასახელეს სასწავლებელი - მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. გურამმა „ბრძოლა წესების გარეშე“ ასპარეზობაში, ხოლო თეიმურაზმა (კომპიუტერული სწავლების IVკურსი) სიმძიმეების აწევაში. გუგენიშვილს კიევში გამართულ ხსენებულ ასპარეზობაში ემერთის მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი ჩელენჯის ვერსიით გადაეცა.

ამ დღეებში ჩემპიონებს შეხვედრა მოუწყვეს უნივერსიტეტში. შეკრებილებმა წარმატება უსურვეს აგრეთვე გოგონათა შორის ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონს, ინგლისური ენის სწავლების მეორე კურსის სტუდენტ **სოფიო გურამიშვილს**, რომელიც ამ დღეებში ესპანეთის ტურნირში ასპარეზობს.

შეხვედრაზე ჩემპიონებს მიესალმა, ახალი წარმატებები უსურვა და საჩუქრები გადასცა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ამირან მექვაბიშვილმა**. თავიანთ გამოჩენილ სპორტსმენებს მიესალმნენ აგრეთვე პედაგოგები და სტუდენტები, ბოლოს სასწავლებლის ძალებით კონცერტი გაიმართა.

**შოთა თოიძე** R

● რეიტინგები

# სპორტი წინასაახალწლო ნომერში

საქართველოში ყველაზე მაღალტირაჟიანი ყოველკვირეული გაზეთი „კვირის პალიტრა“ საინტერესო ამბების პალიტრაში სპორტსაც ღირსეულად მიაგებს პატივს. გაზეთის წლევანდელ ბოლო ნომერში ფართოდაა წარმოდგენილი „წლის რეიტინგები“. მკითხველის აზრით, „ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელები არიან: პელე, მარადონა, ზიდანი; ქართველთა შორის კი პირველი სამეული ასეთია: ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი“.

და იქვე: „მკითხველთა ყველაზე მეტ კეთილგანწყობას ელენე გედევანიშვილი, ზაზა ფაჩულია და კახა კალაძე იმსახურებენ“.

**საუკეთესო ვარსკვლავური წყვილები:** 1. ანუკა არეშიძე და

კვირის პალიტრა

კახა კალაძე; 2. სალომე ლვინიაშვილი და ზურა ხიზანიშვილი; 3. სანდრა რულოვსი და მიხეილ სააკაშვილი.

**2010 წლის ადამიანი საქართველოში:** 1. უწმინდესი და უნეტარესი ილია II-47,3%; 2. პაატა ბურჭულაძე-18,3%; 3. თემურ ქეცბაია-9,7%.

რეიტინგს მოჰყვება ცნობილთა აზრი, თუ ვინ უნდა იყოს ქვეყნის რჩეული.

**გიორგი მოსიძე:** — თემურ ქეცბაია. მის განვრთნილ საქართველოს ნაკრებს წლეულს არ წაუგია. 15 წელია, ასეთი პროგრესი არ განუცდია ქართულ ფეხბურთს. შესაბამისად ქეცბაია ჩემთვის წლის ადამიანია. მან მოახერხა ის, რასაც დიდი ხანია, ნატრობდა ქართველი გულშემატკივარი.

● ჭიდაობა. მეტოქე.

# აზერბაიჯანული გაკვეთილები ქართველებისთვის

აზერბაიჯანელები რომ წლევანდელი სეზონით ბოლომდე კმაყოფილები არ იყვნენ და ნაკრებ გუნდებში საკადრო ცვლილებებს გეგმავდნენ, ადრეც ვწერდით. მაშინ ისიც გაცნობეთ, რომ იქაურთა პრეტენზიები უფრო მეტად „თავისუფალთა“ ნაკრებს ეხებოდა და საკადრო რევოლუციასაც ძირითადად იქ აპირებდნენ, ამის გაკეთებას კი უცხოელთა გადაბირების ხარჯზე გეგმავდნენ. არადა, კაცმა რომ თქვას, უკმაყოფილების რა საბაბი უნდა ჰქონოდათ, რადგან „თავისუფლებმაც“, ბერძენ-რომაელებმაც და ქალებმაც წლეულს ყველაფერი მოიგეს - ამ შეჯიბრებებზე სამივე ნაკრებმა, ჯამში 9 ოქრო და 4-4 ვერცხლი-ბრინჯაო მოიპოვა. ერთადერთი, ქალებში არ ჰყავდათ მსოფლიოს ჩემპიონი, თუმცა ფინალისტი კი ჰყავდათ - ბელარუსი ლეგიონერი, მსოფლიოს ჩემპიონი **იულია რადკევიჩი** (55). სამაგიეროდ, ვაჟებში ორივე სახეობაში მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავედ იქაურები დაასახელეს - ბერძენ-რომაელებში ეს პატივი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ **ჰასან ალიევს** (60) ერგო, „თავისუფლებში“ - ასევე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს, ოლიმპიურ პრიზიორ **ხეტაგ გოზიუმოვს** (96). ისინი თუ ამით უკმაყოფილონი არიან, მაშინ ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ, ზედიზედ ორი წელიწადი ამ რანგის შეჯიბრებებზე ოქროს ბრჭყვიალს მხოლოდ შორიდან რომ ვადევნებთ თვალს, მაგრამ აზერბაიჯანელებს უფრო შორსმიმავალი გეგმები აქვთ - ოლიმპიადაზე გუნდური პირველობის მოგებას ლამობენ. ალბათ, ამიტომ მოხვდათ გულზე მწარედ „თავისუფალთა“ ჩავარდნა ზოგიერთ წონაში და თითი ყველაზე მკაცრად მათ დაუქნიეს, თუმცა მთლად სახარბიელო მდგომარეობა არც ბერძენ-რომაელთა ზედა წონებში აქვთ. ამ ნაკლის გამოსწორებასაც ლეგიონერთა ხარჯზე აპირებენ.

აზერბაიჯანელები რომ აქტიურად იბირებენ უცხო ქვეყნების მოჭიდავეებს და ამ გზაზე მათთვის დაბრკოლება არ არსებობს, ესეც არაერთხელ დაგვიწერია. ამჯერადაც იმავე თემაზე მოგვიწევს საუბარი, რადგან ამ დღეებში ოლიმპიურ კომპლექს „სერხედჯში“ ჩატარებულ აზერბაიჯანის თასზე კიდევ ვიხილეთ ახალი ლეგიონერები ორივე ნაკრებში. იმათგან ერთის - თავისუფალ ჭიდაობაში კუბელი მძიმეწონოსანის, მსოფლიოს ჩემპიონ **ალექსის ვალერა როდრიგესის** მოსალოდნელ ტრანსფერზე ადრეც ვწერდით და მისი გამოჩენა დიდად არც გაგვკვირვებია, მაგრამ მის გარდა იქაურ ტურნირზე პირველად გამოჩნდნენ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სერბი მძიმეწონოსანი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი **რადომირ პეტკოვიჩი** და ირანელები, „თავისუფლად“ მოჭიდავე **საიდ მოხამედრეზა** (120) და ბერძენ-რომაელი **გასიმ რეზაი** (96). აღსანიშნავია, რომ სამივემ გაამართლა მასპინძელთა იმედები და შეჯიბრება მოიგეს. რზაიმ ფინალში იქაურთა ქართველი ფალავანი, ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **შალვა გადაბაძე** დაამარცხა, რომელიც ამჯერად ახალ წონაში გამოვიდა. ვერ გეტყვით, ის საბოლოოდ აქ აპირებს თუ არა დარჩენას, მაგრამ ირანელები ბედისწერასავით თან დასდევენ - შარშან 84-ში ადგილი კიდევ ერთმა ნატურალიზებულმა ირანელმა, ქურთული წარმოშობის მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორმა **ჰასან სამან ტახმასებიმ** წაართვა, ახლა კი ამასთანაც წააგო. პეტკოვიჩმა ფინალში ადგილობრივ **ბაშირ ბაბაჯანზადეს** მოუგო. ჩემპიონი გახდა მოხამედრეზაც, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში სწორედ კუბელი როდრიგესი დაამარცხა. ცოტა უცნაურია, აზერბაიჯანელებს რაში სჭირდებოდათ ამ კუბელის გადაბირება, თუ ეს ირანელიც მიჰყავდათ! გასაგებია, რომ ისინი უკმაყოფილოები იყვნენ წარმოშობით დარგინ (დაღესტანი) ევროპის ჩემპიონ **ალი ისაევის** ჭიდაობით, მაგრამ უკვე როდრიგესიც 32 წლისაა და მისი საუკეთესო წლებიც ჩავლილია. უცნობია, რამდენი გადაიხადეს აზერბაიჯანელებმა მისი ან პეტკოვიჩის საფასურად, მაგრამ ამ შემოდგომაზე ბულგარელებს არც მეტი, არც - ნაკლები, 2 მილიონი დოლარი შეაძლიეს ქალთა შორის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის, ევროპის ხუთგზისა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ **სტანკა ზლატევას** (72) სანაცვლოდ. აქედან 1 მილიონს პირადად სპორტსმენი მიიღებდა, დანარჩენს - ბულგარული ფედერაცია, მაგრამ შეთავაზება სპორტსმენმაც იუარა და - ფედერაციამაც (თუმცა ეს საკითხი კვლავაც დგას დღის წესრიგში). სადღეისოდ მსოფლიოს საჭიდაო სამყაროში ისეთი ვითარება შეიქმნა, ვინმე ასე პირადად თუ ეტყვის უარს აზერბაიჯანელებს, თორემ მათთვის სხვა შეფერხება არ არსებობს - შარშან ზედ ევროპის ჩემპიონატის წინ დაავლეს ხელი ავარელ **მაჰმუდ მაგომედოვს** (55) დაღესტანიდან და ტრავმირებული ლიდერის შესაცვლელად ისე წაიყვანეს, რუსთა პროტესტს ყურადღებაც არ მიაქციეს (მერე კი დაისაჯნენ ურჩობისთვის, მაგრამ ამითაც უფრო სპორტსმენი დაზარალდა და არა ფედერაცია), მსოფლიოს ჩემპიონატის წინ კი ასევე ექსპრომტად გადაიბირეს ზემოხსენებული ტახმასები. მათთვის არ არსებობს გადაყვანის, მოქალაქეობის შეცვლის არანაირი სავალდებულო პროცედურა - უნდათ და მიჰყავთ. თანაც ისე სწრაფად, კვირეები და თვეები კი არა, საათები სჭირდებათ ამ პროცედურის მოსაგვარებლად. ამ დროს საქართველოსთვის არათუ სხვების, თავისივე სპორტსმენის დაბრუნება გახდა პრობლემატური! ლაპარაკია **ცოტნე ბარამიძეზე** (66), რომელიც ცოტა ხნით ყაზახეთში იყო წასული, მაგრამ იქ ფეხი ვერ მოიკიდა, მათი სახელით არც უჭიდავია არსად და უკან დაბრუნდა. ის ნოემბერში საქართველოს ჩემპიონიც გახდა, მაგრამ საერთაშორისო ტურნირებში ჩვენს ნაკრებში გამოსვლის უფლებას ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (FILA) არ აძლევს. მიზეზად მოქალაქეობის შეცვლის შესახებ არსებულ რეგლამენტს იშველიებს და ამბობს, ბარამიძე ორი წელიწადი თქვენი სახელით ვერ იჭიდავებსო. ახლა FILA-ში თხოვნის წერილი ყაზახეთის ფედერაციამაც გააგზავნა, რომელშიც ადასტურებს, რომ ბარამიძეს მათი სახელით არსად უჭიდავია და თხოვს FILA-ს, დართონ მას საქართველოს ნაკრებში გამოსვლის ნება. აქ სხვა პრობლემაც იკვეთება - სამწუხაროდ, მოჭიდავეთა გადინება საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ ჯერაც ვერ აღკვეთა, თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა, ამჯერად კი ისევ აზერბაიჯანის თასს დავუბრუნდეთ, რომელიც იქაურებისთვის ერთ-ერთი უმთავრესია, როგორც ევროპის პირველობისთვის შესარჩევი. ამიტომ მასში თითქმის ყველა უძლიერესი ფალავანი გამოვიდა რამდენიმე გამონაკლისის გარდა - ტრავმის გამო არ გამოდიოდა ზემოხსენებული ალიევი, ევროპის ჩემპიონს, ოლიმპიადის ვერცხლისა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორ **ვიტალი რახიმოვს** (66) კი თაფლობის თვე აქვს. იჭიდავა გოზიუმოვმაც და საკმაოდ იოლად მორიგი დამაჯერებელი გამარჯვებაც მიითვალა. იასპარეზა ზემოხსენებულმა მაჰმუდ მაგომედოვმაც და მოიგო კიდეც, მაგრამ ეს უფრო საშეჯიბრო პრაქტიკისთვის თუ წაადგება, თორემ ზემოხსენებული ურჩობისთვის მიღებული ორწლიანი დისკვალიფიკაცია (მაშინაც მოქალაქეობის შეცვლის შესახებ არსებული რეგლამენტი დაირღვა) გაისად გაზაფხულზე გაუდის და უცხოეთში მსოფლიოს ჩემპიონატამდე აზერბაიჯანის ნაკრებში ვერ იჭიდავებს. ის ისედაც მსოფლიოს პირველობას უმიზნებს, რომელსაც 12-18 სექტემბერს სტამბოლი უმასპინძლებს. იქ ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიების ძირითადი ნაწილიც გაიცემა - ყოველ წონაში 6-6 საგზური. „თავისუფალთა“ ტურნირში აზერბაიჯანის თასის წლევანდელი მფლობელები ასევე გახდნენ ჩეჩენი ლეგიონერი, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლ-ბრინჯაოს პრიზიორი **ზელიმხან ჰუსეინოვი** (60), ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **ჯაბრაილ ჰასანოვი** (66), **აგილ გულიევი** (74) და კიდევ ერთი დაღესტნელ-ავარელი ლეგიონერი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს მესამე პრიზიორი **შარიფ შარიფოვი** (84). საინტერესოა, რომ ამ წონაში მესამეზე გავიდა კიდევ ერთი დაღესტნელი, ოღონდ დარგინი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ჩამსულვარა ჩამსულვარაევი** (ის ადრე ქვედა წონაში ჭიდაობდა). ბერძენ-რომაელებში თასის მფლობელები **ელდენიზ აზიზლი** (55), **ორხან ფაშაევი** (60), **რუსტამ ალიევი** (66), **რაფიკ ჰუსეინოვი** (74) და ზემოხსენებული ირანელი ტახმასები გახდნენ. სხვათა შორის, ამ წონაში - 84-ში ბრინჯაოს მედალი ვინმე **რომან ქამადაძემ** მოიპოვა, თუმცა ამ მოჭიდავეს ჩვენთან საერთოდ არ იცნობენ.

ჰასან ალიევი ამ დღეებში ჭიდაობით არა, მაგრამ ჟურნალისტებთან ენაწყლიანობით კი გამოირჩა. მას არც დაუმალავს, რომ გაისადაც აპირებს მსოფლიოს პირველობის მოგებას და ლიცენზიის მოპოვებას, მერე კი - ოლიმპიადაზე გამარჯვებას. *„შარშან მსოფლიოს საუკეთესო ბერძენ-რომაელად ჩვენი ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი ფარიდ მანსუროვი დაასახელეს, წლეულს - მე, ეს კი ნიშნავს, რომ აზერბაიჯანში ჭიდაობა სპორტის ნომერ პირველი სახეობაა“* - განაცხადა ალიევმა. ის წლეულს გამოჩნდა ეროვნულ ნაკრებში და პირველივე სეზონში დუბლი გააკეთა, შარშან კი ორმაგ წარმატებას ახალგაზრდებში მიაღწია. მაშინ ევროპის პირველობა თბილისში მოიგო, იმ წარმატებიდან რამდენიმე თვეში კი იმხანად აზერბაიჯანის ნაკრების თავკაცად დანიშნულმა **ოთარ ტატიშვილმა** ვარჯიშზე დაგვიანებისთვის დარბაზი დაატოვებინა. ვფიქრობთ, ქართველი ვარსკვლავებისთვის საინტერესო უნდა იყოს მისი მოსაზრება ჟურნალისტის კითხვაზე, გრძნობთ თუ არა, რომ ვარსკვლავი ხართო, რაზეც ასე უპასუხა: *„ვარსკვლავური ავადმყოფობა არ შემყრია. ჩემმა კონკურენტებმა ყველაფერი იციან ჩემზე, ამიტომ მეტი უნდა ვივარჯიშო. როცა დავიჯერებ ჩემს ვარსკვლავობას, დამეწყება მოდუნების პერიოდი, რაც აუცილებლად აისახება ვარჯიშებზე. თუ რაიმე სახის გამარჯვებამ შეიძლება შეცვალოს ადამიანი, ესე იგი, მას სუსტი ხასიათი აქვს. ვიცი, რომ ტიტულის მოპოვება ბევრად ადვილია, ვიდრე - მისი შენარჩუნება, მაგრამ საბრძოლველად მზად ვარ. მინდა, ოლიმპიადას მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის რანგში შევხვდე. მე ახლა დავიწყე კარიერა და ჩემთვის მოდუნება ჯერ ადრეა“* - გავითვალისწინოთ, რომ ამას ამბობს 21 წლის ბიჭი, ჩვენთან კი უახლესი წარსულიდან რამდენი მაგალითი გვაქვს, როცა ასაკით ბევრად უფროსმა აქაურმა სპორტსმენებმა ერთი, თუნდაც უმაღლესი რანგის შეჯიბრება როცა მოიგეს, მერე არა მარტო მწვრთნელებს, ხშირად ფედერაციებისა და სპორტის უფრო მაღალი რანგის ხელმძღვანელებსაც ვერ შეჰყავდათ დარბაზში სავარჯიშოდ.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართული სპორტის ქრონიკები

## სპორტსმენები საკუთარ თავზე

# სპორტის დიდი მადლობელი ვარ




ვინ მოთვლის, სპრინტერულ რბენასა და ხტომებში რამდენმა რეკორდმა ვერ მიიღო ოფიციალური აღიარება იმის გამო, რომ ქარის სისწრაფე ნორმას აღემატებოდა. პარადოქსული შემთხვევები მომხდარა სიგრძეზე ხტომაში ქალთა შორის, როცა ერთ მონაწილეს მსოფლიოს რეკორდით გაუმარჯვია, მაგრამ ქარის გამო არ ჩაუთვლიათ ეს შედეგი. სამაგიეროდ, მეორე ადგილზე გასული სპორტსმენი ქალი გამხდარა მსოფლიოს რეკორდსმენი, რადგან მისი ნახტომის დროს ქარის სისწრაფე ნორმის ფარგლებში ყოფილა.

ჩემს ხანგრძლივ სპორტულ გზას რომ ვიხსენებ, ალბათ, ერთადერთ შემთხვევას თუ დავასახელებ, ეს მიუნხენში იყო, როცა სპორტული იღბალი ჩემსკენ გადმოიხარა... მაგრამ არ გეგონოთ, თითქოს არ გამიმართლა სპორტში. პირიქით, სირთულეების მიუხედავად, სპორტის დიდი მადლობელი ვარ, მე მასში ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება გავატარე. საქმე მარტო რეკორდებში, გამარჯვებებსა და მედლებში კი არ არის, არც ისაა მთავარი, რომ სპორტი დამეხმარა მე, სოხუმელ ყმაწვილს, ოჯახის მეექვსე შვილს, რომელსაც მამა დამბლადაცემული ჰყავდა, დედა კი მეეზოვე, — ცნობილი კაცი გავმხდარიყავი და ნახევარი სამყარო მომევლო. ჩემს ყველაზე დიდ წარმატებად იმას ვთვლი, რომ მუდამ მხვდებოდნენ გულისხმიერი, კეთილი ადამიანები, ხალხი, რომელიც დამეხმარა ავსულიყავი სპორტულ მწვერვალზე და კაცი გავმხდარიყავი.

*(ვ. სანეევის წიგნიდან „მეოთხე სიმაღლე")*

## იყო ასეთი შემთხვევა

# ეს მხოლოდ თედიაშვილს შეეძლო

სამბოში მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე, რომელიც ირანის დედაქალაქ თეირანში გაიმართა, პირველი ოქროს მედლები მოიპოვეს ქართველმა სამბისტებმა **გენადი გიორგაძემ** და **ლევან თედიაშვილმა**. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღით ადრე თეირანშივე ლევან თედიაშვილმა მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული თავისუფალ ჭიდაობაში. სამბოს ასპარეზზე გამოსვლა კი შემთხვევით მოუხდა. მას სთხოვეს დახმარებოდა სსრკ-ს ნაკრებს სამბოში, რომელიც იქვე თეირანში დაწყებულ მსოფლიოს პირველობაში იღებდა მონაწილეობას და რომელმაც მოულოდნელად ავადმყოფობის გამო საშუალო წონაში მოჭიდავე მოისაკლისა. ლევან თედიაშვილმა სუფთა გდებებით ყველა მეტოქე დაამარცხა და სამბოშიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.



ლევან თედიაშვილი

# კროსვორდი



*პასუხები ხვალინდელ ნომერში*

*შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ*

**თარაზულად:** 1. ქართველი ძიუდოისტი, პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონი; 8. პატარა ვიწრო ალამი, სპორტულ ატრიბუტიკაში; 9. მსოფლიოს პირველი ქართველი ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში; 10. 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი; 12. კრივში: გვერდიდან დარტყმა მოღუნული ხელით; 13. ვასილ გიგიაძის სიმფეროპოლის საფეხბურთო კლუბი; 16. აკრობატიკის სახელწოდება ძველ ქართულში; 18. მძლეოსნობის იარაღი; 20. ფეხბურთელ კაკილაშვილის სახელი; 21. საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი 1999 წელს; 23. ფეხბურთელ ალექსანდრე იაშვილის მეტსახელი; 24. "სულორის" ქალაქი; 25. სატანვარჯიშო იარაღი; 26. საჭიდაო ხალიჩა; 27. კრივის მოედანი; 28. შეჯიბრებაში დანინაურებული.

**შვეულად:** 1. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ბურჯი; 2. შეჯიბრება ავტომობილებით; 3. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი — მეკარე; 4. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი; 5. ვეტერანი თბილისელი მძლეოსანი ათჭიდელი; 6. მოტოციკლეტებით რბოლა მოყინულ მოედანზე; 7. თურქეთის საკალათბურთო კლუბი, სადაც თამაშობდა ზაზა ფაჩულია; 11. საფეხბურთო კლუბ "სპარტაკი ცხინვალის" მეკარე; 14. საჭადრაკო რეიტინგების ავტორი; 15. ყველაზე მეტი გოლის გამტანი; 16. ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის არაოფიციალური სახელწოდება; 17. ყველაზე რთული ნახტომი ფიგურულ ციგურაობაში; 19. სპორტში აკრძალული სტიმულატორი ; 22. ცხენის სამართავი.

## თარიღი 30 დეკემბერი–6 იანვარი

**30.XII.1925 წ.** დაიბადა **მიხეილ ჯოჯუა** — თბილისის „დინამოს" ძველი თაობის ფეხბურთელი. საიუბილეო თარიღი.

**31.XII.1912 წ.** დაიბადა **გრიგოლ გაგუა** — ფეხბურთი. გარდაიცვალა 2002 წელს.

**31.XII.1931 წ.** დაიბადა **ავთანდილ ჭკუასელი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1994 წელს.

**01.01.1947 წ.** დაიბადა **კახი ასათიანი** — ფეხბურთი.

**01.01.1957 წ.** დაიბადა **რამაზ შენგელია** — ფეხბურთი.

**01.01.1974 წ.** დაიბადა **ხათუნა ქვრივიშვილი** — მშვილდოსნობა

**01.01.1939 წ.** დაიბადა **შოთა ქველიაშვილი** — სასტენდო სროლა. გარდაიცვალა 2004 წელს.

**01.01.1938 წ.** დაიბადა **ნოდარ ახალკაცი** — ფეხბურთელი, მწვრთნელი. გარდაიცვალა 1998 წელს.

**02.01.1937 წ.** დაიბადა **ვაჟა კაჭარავა** — ფრენბურთი.

**02.01.1948 წ.** დაიბადა **გივი ნოდია** — ფეხბურთი. გარდაიცვალა 2005 წელს.

**03.01.1963 წ.** დაიბადა **დავით გობეჯიშვილი** — თავისუფალი ჭიდაობა.

**04.01.1949 წ.** დაიბადა **ფირუზ კანთელაძე** — ფეხბურთი.

**05.01.1949 წ.** დაიბადა **ლევან ნოდია** — ფეხბურთი.

**05.01.1968 წ.** დაიბადა **ლეილა მესხი** — ჩოგბურთი

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** საფეხბურთო გუნდი, რომელმაც 1927 წელს საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, იყო ბათუმის ნაკრები. ზღვისპირელებმა ყველა მატჩი მოიგეს. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: 2. თბილისი, 3. ფოთი, 4. სოხუმი.

**პირველმა** ბათუმელ ფეხბურთელთაგან საკავშირო პირველობაში თავისი კლუბის ბომბარდირის სახელი დაისაკუთრა გენადი მენაბდემ. 1960 წელს მეტოქეთა კარში მან ყველაზე მეტი — 15 გოლი გაიტანა.

**პირველად** ეროვნული თასის გათამაშებაში ბათუმის დინამოს ფეხბურთელთა გუნდი 1991 წელს ჩაერთო და ნახევარფინალამდე მიაღწია. იმავე შედეგს კიდევ სამჯერ უწია — 1993-1994, 1999-2000 და 2006-2007 წლების სეზონში.

მოამზადა გიორგი **ფულარიანმა**

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

**1. ცნობილია, რომ შავი ზღვისპირა ბერძნულ ქალაქ გორგიპიაში უასპარეზია (ჩვ. წელთაღრიცხვამდე III ს.) ქუთაისელ კრაცინოს კუტაციონს. რომელ სახეობაში?**

ა – პანკრატიონში
ბ – კრივში
გ – რბენაში

**2. ვისი ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი ტანვარჯიშული წრე საქართველოში — თბილისში?**

ა – გიორგი ეგნატაშვილის
ბ – ანტონ ლუკეშის
გ – ალექსანდრე ჯორჯაძის

**3. რამდენჯერ გამოვიდა ოლიმპიურ სარბიელზე ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძე?**

ა – ორჯერ
ბ – სამჯერ
გ – ოთხჯერ

**4. სპორტის რომელ სახეობაში აქვთ მოპოვებული ყველაზე მეტი ოქროს მედალი საქართველოს სპორტსმენებს?**

ა – თავისუფალ ჭიდაობაში
ბ – ძიუდოში
გ – ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

**5. წყალბურთელი გივი ჩიქვანაია ორჯერ გახდა ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, ვისი სახელით?**

ა – საქართველოს სახელით
ბ – რუსეთის სახელით
გ – ერთხელ საქართველოს, ერთხელ რუსეთის სახელით

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-გ, 4-ა, 5-ბ

## ფოტო კომენტარით

გასული საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირში კალათბურთში ორი ძირითადი ასპარეზობის (სსრკ ჩემპიონატი და თასის გათამაშება) გარდა იყო კიდევ ერთი პოპულარული ტრადიციული შეჯიბრება — ქვეყნის ქალაქების უძლიერეს ნაკრებთა ტურნირი. თბილისელმა ვაჟებმა შეჯიბრება ორჯერ მოიგეს, ოთხჯერ მეორე, სამჯერ კი მესამე პრიზიორები გახდნენ. მოგვიანებით ტურნირში რიხიანად ჩაებნენ ქუთაისლებიც. ტურნირები იმართებოდა აგრეთვე ქალების და ახალგაზრდების მონაწილეობით.

ფოტოზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ, აღბეჭდილია თბილისის ახალგაზრდული ნაკრები, რომელმაც 1948 წელს (15-22 აგვისტო, ქ. ოდესა) ფინალში რიგელებს სძლია 36:34, ლენინგრადელებს 48:47 კაუნასელებთან ფრე 43:43 ითამაშა და წაუგებლად მოიპოვა პირველობა.



სურათზე (მარცხნიდან): დგანან — ვაჟა გვანცელაძე, გივი რუხაძე, ვახტანგ ანანიაშვილი, ტურნირის მსაჯი გარუნ აკოპოვი, ოთარ აფაქიძე, თენგიზ მეძმარიაშვილი, დავით გოძიაშვილი; I რიგში ზის ნოდარ გიორგობიანი. II რიგში შუაში ქალთა გუნდის წევრი ალისა ასიტაშვილია.

*ფოტო და კომენტარი მოგვაწოდა გარუნ აკოპოვმა*

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

● სიმბოლური ნაკრები

# მსოფლიო რაგბის ამომავალი ვარსკვლავები



სემ ვაითლოჯი

*მათი თამაშის ხილვისას შეიძლება წარმოიდგინო, როგორი იქნება რაგბი უახლოეს მომავალში. ახალი თაობა ნელ-ნელა იკავებს ადგილს ძლიერთა ამა ქვეყნისა შორის. ახალგაზრდა მორაგბეები უხვად ვნახეთ. როგორც სამი ერის, ისე ექვსი ერისა თუ სხვადასხვა საკლუბო ტურნირის მატჩებში. მაყურებლები და რაგბის სპეციალისტები გაკვირვებით კითხულობდნენ - ვინ არის ის?*

*გთავაზობთ, მსოფლიოს ახალგაზრდული სიმბოლური ნაკრების Planetrugby-სეულ ვერსიას.*

## 15. ტიმ ნანაი-ვილიამსი
**(ახალი ზელანდია)**

ამ ფულბეკმა უდიდესი შემტევი პოტენციალით დაგვამახსოვრა თავი ზე 14-ის გათამაშებაში. ის ძლიერ ფეხებზე დგას და საკმაოდ სწრაფია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ოლ ბლექსის" ფულბეკ **მალილი მულიანიას** შესანიშნავი მემკვიდრე ეზრდება.

## 14. როდ დევისი
**(ავსტრალია)**

ის მეტოქეებისთვის ერთი დიდი თავსატეხია. ზე 14-ის გათამაშებაში, ბრისბენის „რედსთან" თამაშისას მთავარი პრობლემა ყველასთვის მოუხელთებელი დევისის შეჩერება იყო. ყოფილმა სპრინტერმა სათამაშო ტექნიკა დახვეწა, რისთვისაც დასაჩუქრდა კიდეც. **რობი დინსმა** ის „ვოლაბების" შემადგენლობაში იხმო და ევროპულ ტურნეში იახლა.

## 13. სონი ბილ ვილიამსი
**(ახალი ზელანდია)**

მასზე ბოლო ჟამს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. რა შეიძლება კიდევ დავამატოთ? ფრანგული „ტულონიდან" ახალ ზელანდიაში დაბრუნების შემდეგ, მან „კრუსეიდერზის" შემადგენლობაში შესანიშნავად ითამაშა ITM-ის თასის გათამაშებაში. მერე ნოემბრის ტესტებზე ეროვნულ ნაკრებში დებიუტიც ჰქონდა. ბრწყინვალედ გამოამჟღავნა თავისი შესაძლებლობები შოტლანდიასთან მატჩში. ერთი სიტყვით „ოლ ბლექსის" თავკაცი **გრემ ჰენრი** შუამარბის პოზიციაზე ალარ დარდობს.

## 12. ბილი ტველვეტრიზი
**(ინგლისი)**

**რიჩარდ კოკერლის** გუნდი და ტრავმები განუყოფელნი არიან. თუმცა „ლესტერ ტაიგერზის" წარმატების საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეები თითქმის სრულფასოვნად ცვლიან ძირითად მორაგბეებს. მათ შანსი ეძლევათ განვითარდნენ და ამას კარგად იყენებენ. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა შუამარბი ბილი ტველვეტრიზი.

## 11. ლუაზი მვოვო
**(სამხრეთ აფრიკა)**

„ქარის თასის" წლევანდელ გათამაშებაში ის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო. მვოვომ 12 ლელო გაიტანა და რა გასაკვირია, გასაჭირში მყოფმა „ბოკეს" თავკაცმა **პიტერ დე ფილიერსმა** ნოემბრის ტესტებისას ევროპულ ტურნეში რომ იახლა. მვოვომ თავი იქაც გამოიჩინა. მას ინგლისის ნაკრებთან გატანილი ლელო არასდროს დაავიწყდება.

## 10. პატრიკ ლამბიე
**(სამხრეთ აფრიკა)**

ის მვოვოს თანაკლუბელია. „ქარის თასის" ფინალში „ნატალ შარქსის" გამარჯვებაში ლამბიემ ლომის წილი შეიტანა. მან მატჩში 25 ქულას მოუყარა თავი და ფინალის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

## 9. ბენ იანგზი
**(ინგლისი)**

კარგად გვახსოვს, რომ ერთი წლის წინათ, ის „ლესტერ ტაიგერზის" მხოლოდ იმედისმომცემი „ბოკვერი" იყო. ერთ წელიწადში იანგზი ნამდვილ ვეფხვად გადაიქცა და ეროვნული ნაკრების ძირითადი მოთამაშე გახდა. ამაში, ცხადია, მას ხელი შეუწყო **ჰარი ელისისა** და **ჟულიენ დიუპიუის** ტრავმებმა. იანგზმა შანსი გამოიყენა და შესანიშნავი სეზონი ჩაატარა. არ გჯერათ? ჰკითხეთ ავსტრალიელებს.

## 8. ვილემ ალბერტსი
**(სამხრეთ აფრიკა)**

ის „ნატალ შარქსის" მესამე მოთამაშეა, ვინც ამ სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. იოჰანესბურგის „ლაიონზიდან" დურბანში გადაბარგება მის მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯი გამოდგა. დე ფილიერსმა ის ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვია და ნოემბრის ტესტებისას სათადარიგოთა სკამიდან შესანიშნავად ერთვებოდა თამაშში.

## 7. ენდი სოლა
**(ინგლისი)**

დიახ, ის „სარასენზის" შემადგენლობაში მთელი სეზონის განმავლობაში გამორჩეული იყო. თუ ტრავმებმა არ შეაწუხა და განვითარება განაგრძო, სოლასთვის ინგლისის ნაკრების კარიც მალე გაიღება.

## 6. შონ ობრაიენი
**(ირლანდია)**

ის წლეულს ირლანდიაში გამორჩეული მოთამაშე გახლდათ. „ლენსტერში" შეუჩერებელმა ობრაიენმა ეროვნულ ნაკრებში სრულად ვერ შეძლო თავისი პოტენციალის გამოვლენა. მის თამაშს რალაც მარილი აკლდა, თუმცა ეს ისაა, რისი გამოსწორებაც რეალურად შეიძლება.

## 5. სემ ვაითლოქი
**(ახალი ზელანდია)**

ის ფაქტი, რომ 22 წლის ასაკში მან „ოლ ბლექსის" ხუთნომრიანი კვართი მოირგო, თავისთავად ბევრის მეტყველია. ვაითლოქმა „კრუსეიდერზის" შემადგენლობაში ღია თამაშის ბრწყინვალე ცოდნა გამოავლინა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას შეუძლია **ბრედ თორნთან** ერთად უძლიერესი დუეტი შექმნას.

## 4. ბრედლი დევისი
**(უელსი)**

ის უელსის ნაკრებში კლდესავით იდგა. დევისს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებენ. 2010 წელი მისთვის ტრაგიკულად დაიწყო, მაგრამ შეძლო დედის გარდაცვალების შემდეგ ემოციების დაძლევა და ეროვნულ გუნდში მუხლჩაუხრელი შრომით მოიპოვა ადგილი.

## 3. ჯეიმზ სლიპერი
**(ავსტრალია)**

ის უეცრად საიდანლაც გაჩნდა. 21 წლის სლიპერს „ვოლაბების" თავკაცი რობი დინსი თამამად ენდო და ნაკრებში მიიწვია. ჯეიმზს თანაბრად ძლიერად შეუძლია შერკინებაში როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ბურჯის ფუნქციის შესრულება. სლიპერი ცდილობს იერარქიაში **ბენ რობინსონს** დაეწიოს.

## 2. ჰიკე ელიოტი
**(ახალი ზელანდია)**

მას „ჩიფსის" შემადგენლობაში შესანიშნავი სეზონი ჰქონდა. თავისი თამაშით უმალ მიიპყრო „ოლ ბლექსის" ხელმძღვანელთა ყურადღება და გამორიცხული არაა, 2011 წლის მსოფლიო თასზე **ენდრიუ ჰორისა** და **კევინ მეალამუს** დუბლიორად მოგვევლინოს.

## 1. კონი ოსტჰოიზენი
**(სამხრეთ აფრიკა)**

ის ჯერ 21 წლისაა, თუმცა კოლეჯის მოსწავლემ უკვე მოასწრო „ბოკესთან" ერთად ევროპულ ტურნეში ყოფნა. მართალია, ნოემბრის ტესტებისას მას თამაშმა არ მოუწია, მაგრამ ეგ არაფერია. ოსტჰოიზენს ჯერ კიდევ ყველაფერი წინ აქვს.



პატრიკ ლამბიე

● 30 დეკემბერი მსოფლიო რაგბის ისტორიაში



ნორმან ბიგზი



ჯი პი არ ვილიამსი

### 1888 წელი

უელსის ნაკრებმა კარდიფში ბრიტანული ტურნეს პირველ მატჩში მაორებს მოუგო. თამაშის მეორე წუთზე ლელო **ნორმან ბიგზმა** გაიტანა.

### 1969 წელი

ამ დღეს დაიბადა სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოფილი შუამარბი **ბრენდონ ვენტერი.** ის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი უკანახაზელი იყო და „ბოკეს" შემადგენლობაში 17 კეპი მოიხვეჭა. 1995 წლის მსოფლიო თასის ფინალურ მატჩში, ახალი ზელანდიის ნაკრებთან, ვენტერი შეცვლაზე შევიდა. მან ეროვნულ გუნდში ბოლოს 1999 წლის მსოფლიო თასზე შოტლანდიის ნაკრებთან ითამაშა.

ვენტერმა სარაგბო კარიერა ინგლისში განაგრძო, სადაც „ლონდონ აირიშის" მწვრთნელი გახდა და 2002 წელს გუნდს „ჩელენჯ კაპი" მოაგებინა. ამის შემდეგ ბრენდონ ვენტერმა ბედი მედიცინაში სცადა. 2009 წელს კი ინგლისური „სარასენზის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

### 1909 წელი

„ლესტერ ტაიგერზის" პირველი შეხვედრა „ბარბაროსებთან" ფრედ 9:9 დასრულდა. თამაში ძალიან საინტერესო გამოდგა. გუნდებმა სამ-სამი ლელო მიითვალეს. ალსანიშნავია, რომ მატჩს ყოფილი ლესტერელი **არტურ ჯოუნზი** სჯიდა, რომელმაც მასპინძლებს საჯარიმო ლელო ჩაუთვალა, რითაც „ლესტერი" მარცხისგან იხსნა.

### 1945 წელი

ახალი ზელანდიის ჯარის ნაკრებმა, უელსურ ტურნეში ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემდეგ, „ნიუპორტთან" ფრედ ითამაშა - 3:3. მასპინძელთა შორის გამორჩეულები **ალფ პენტინგი** და **ჯიმი ჰოკინსი** იყვნენ.

ამავე დღეს შოტლანდიის ნაკრების მომავალმა შერკინების ბურჯმა და რაგბიზე მწერალმა ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა კორესპონდენტმა **ნორმან მეირმა** (მერჩინსტონი), ინგლისის სკოლების ნაკრებთან მატჩში შოტლანდიის სკოლების ნაკრებში ითამაშა. შეხვედრა ინგლისელებმა 18:10 მოიგეს.

### 1951 წელი

სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ბრიტანულ ტურნეში ყველაზე ძნელი ბრძოლა გადახდა მიდლენდის ნაკრებთან. „ბოკემ" მატჩი მეორე ტაიმში გატანილი ერთადერთი საჯარიმოს წყალობით მოიგო - 3:0.

### 1968 წელი

უელსის ნაკრების მწვრთნელებმა მუშაობის ახალი მეთოდი შემოიღეს. მათ გამოაცხადეს იმ 25 მოთამაშის ვინაობა, რომლებიც ყოველ უქმეებზე იკრიბებოდნენ და ვარჯიშობდნენ. ამ მოთამაშეებიდან კი საბოლოოდ აირჩიეს ისინი, ვინც ხუთ ერზე ითამაშა. მაშინ იმ მორაგბეთა შორის იყო „ლონდონ ველშის" ახალგაზრდა ფულბეკი **ჯი პი არ ვილიამსი.**

### 2008 წელი

ბასკური „ბაიონის" ფულბეკი **ქსავიე გარბაჟოზა** ქრონიკული ტრავმების გამო იძულებული გახდა, სარაგბო კარიერა დაესრულებინა. 32 წლის უნივერსალმა უკანახაზელმა საფრანგეთის ნაკრებში 31 კეპი მოიხვეჭა. ფრანგული რაგბის გრანდ „ტულუზს" კი 2003 წელს „ჰეინეკენის თასის" მოგებაში დაეხმარა. გარბაჟოზას კარიერა 12 წელიწადს გაგრძელდა.

## ალი ვილიამსი ბუცებს პოხავს

ახალი ზელანდიის ნაკრების მეორეხაზელი **ალი ვილიამსი** რაგბიში დაბრუნებას აპირებს. მან წლის დასაწყისში აქილევსის მყესი გაიწყვიტა, რის გამოც მთელი სეზონი გაუცდა.

29 წლის ვილიამსი ამჟამად ინგლისში, ნოტინგემში იმყოფება და ინგლისის ჩემპიონატში საასპარეზოდ ემზადება:

„ძალიან გამიხარდა გუშინ სალამოს გუნდთან ერთად რომ ვივარჯიშე. ვგრძნობ, მოედანს მალე დავუბრუნდები. მოუთმენლად ველი იმ დღეს, როცა ბუცებს მოვირგებ და ნოტინგემელებს იანვარში გასამართ შეხვედრებში დავეხმარები," - თქვა ალი ვილიამსმა.

„ნოტინგემს" იანვრის პირველ ნახევარში საკმაოდ სერიოზული გამოცდები ელის. 9 იანვარს მეტოქე „ბრისტოლი" იქნება, 14 იანვარს კი მრისხანე „მანსტერს" დაუპირისპირდება.



ალი ვილიამსი

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

კრივი



სერხიო მარტინესი

# ღარიბი სეზონი

## 2010 წლის მთავარი საკრივო მოვლენების გახსენებისას ექსპერტები გასულ სეზონს მოსაწყენს უწოდებენ

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს პროფესიული კრივისთვის 2010 წელი მაინცდამაინც დატვირთული არ ყოფილა მნიშვნელოვანი მოვლენებით. ნამდვილი საეტაპო ბრძოლები, რომელიც მოკრივეთა დონითა და ბრძოლის დრამატიზმით იქნებოდა გამორჩეული, არც ისე ბევრი იყო. არ გაამართლა იმედები **ფლოიდ მეივეზერი-შეინ მოზლისა** და **მენი პაკიაო-ანტონიო მარგარიტოს** ბრძოლებმა, რადგან მაყურებელმა ცალმხრივი ბრძოლა იხილა ერთ-ერთი მოკრივის დომინირებით. ხოლო კრივის მოყვარულები მაინც ვერ ეღირსნენ პაკიაოსა და მეივეზერს შორის შეხვედრას, ასევე **დევიდ ჰეის** დაპირისპირებას ძმები **კლიჩკოებიდან** ერთ-ერთთან.

იმის აღნიშვნაც შეიძლება, რომ საინტერესო და რეზონანსული ბრძოლების უმრავლესობა 2010 წლის ბოლო თვეებში გაიმართა. წლის საუკეთესო შეხვედრებს შორის უნდა მოვიხსენიოთ შემდეგი ჩხუბები: მიკელ კესლერი-კარლ ფროჩი, ხუან მანუელ მარკესი-მაიკლ კასტიდისი, ამირ ჰანი-მარკოს მაიდანა, ხუან მანუელ ლოპესი-რაფაელ მარკესი, ჯოვანი სეგურა-ივან კალდერონი, უმბერტო სოტო-ურბანო ანტილიონი, სერხიო გაბრიელ მარტინესი-კელი პავლიკი, სერხიო გაბრიელ მარტინესი-პოლ უილიამსი, ტომაშ ადამეკი-კრის არეოლა, ჟან პასკალი-ბერნარდ ჰოპკინსი, აბნერ მარესი-ვიკ დარჩინიანი, ჯოზეფ აგბეკო-იონი პერესი...

რაც შეეხება ნომინაცია „წლის საუკეთესო მოკრივეს", ავტორიტეტული ამერიკული ჟურნალი The Ring Magazine (ეს გამოცემა დაახლოებით იმ დონისაა კრივში, როგორც „ფრანს ფუტბოლი" ფეხბურთში, რომელიც „ოქროს ბურთით" აჯილდოებს წლის საუკეთესო ფეხბურთელს) სავარაუდოდ ორ მოკრივეს შორის გააკეთებს არჩევანს. ესენი არიან: არგენტინელი **სერხიო გაბრიელ მარტინესი** და ამ ნომინაციის „მუდმივი" წევრი, ფილიპინელი მენი პაკიაო. მარტინესი არ მიიჩნეოდა ფავორიტად მასზე უფრო ახოვანი მოკრივეების, ამერიკელების **კელი პავლიკისა** და **პოლ უილიამსის** წინააღმდეგ, მაგრამ არგენტინელმა ორი ულამაზესი გამარჯვება მოიპოვა (თანაც, ნოკაუტი, რომლითაც მარტინესმა უილიამსი დაამარცხა, The Ring Magazine-მა 2010 წლის საუკეთესო ნოკაუტად დაასახელა). რაც შეეხება პაკიაოს, მან ჩვეულ სტილში, დამაჯერებლად დაამარცხა მსოფლიოს ექსჩემპიონები - **ჯოშუა კლოტი** და ანტონიო მარგარიტო. მცირე შანსი არსებობს იმისა, რომ საუკეთესო მოკრივის ტიტულისთვის მექსიკელმა **ხუან მანუელ მარკესმაც** იბრძოლოს, რომელმაც 2010 წელს ასევე ორი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ამერიკელ **ხუან დიასსა** და ავსტრალიელ **მაიკლ კასტიდისზე**.

„წლის დაბრუნების" ნომინაციაში სავარაუდოდ სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, მექსიკელი **ერიკ მორალესი** გაიმარჯვებს, რომელმაც სამწლიანი პაუზის შემდეგ წარმატებით განაახლა პროფესიული კარიერა. თუმცა აქ მას კონკურენცია შეიძლება გაუწიოს იმავე ხუან მანუელ მარკესმა და იაპონელმა **ჰოზუმი ჰასეგავამ**, რომელმაც მექსიკელ **ფერნანდო მონტიელთან** გამანადგურებელი მარცხის შემდეგ არათუ გამონახა რინგზე დაბრუნების ძალა, არამედ ისევ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, თანაც ორი წონითი კატეგორიით ზემოთ.

რაც შეეხება 2010 წლის დანაკარგს, აქ პირველ რიგში აღსანიშნავია აპრილში ვენესუელელი მსოფლიოს ჩემპიონის **ედვინ ვალეროს** ტრაგიკული დაღუპვა. პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელმა მოკრივემ ჯერ საკუთარი მეუღლე გამოასალმა სიცოცხლეს, შემდეგ კი წინასწარი დაკავების საკანში თავი ჩამოიხრჩო.

სამთო-სათხილამურო სპორტი

### მსოფლიოს თასი

**ბორმიო (იტალია)**

**კაცები**

**სწრაფდაშვება**

1. **მიხაელ ვალჰოფერი** (ავსტრია) - 1:59.66; 2. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - 1:59.74; 3. **კრისტოფ ინერჰოფერი** (იტა) - 2:00.02; 4. **პატრიკ კუენგი** (შვეიც) - 2:00.26; 5. **გეორგ სტრაიტბერგერი** (ავსტრია) - 2:00.62; 6. **ანდრეი სპორნი** (სლოვენ) - 2:00.69...

**საერთო ჩათვლა**

1. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - 395; 2. **მიხაელ ვალჰოფერი** (ავსტრია) - 394; 3. **ტედ ლიჯეტი** (აშშ) - 321; 4. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 305; 5. **დიდიე კუში** (შვეიცარია) - 304; 6. **რომედ ბაუმანი** (ავსტრია) - 285...

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჩემპიონი ფავორიტი აღარ არის?

„მილუოკისთან" და „მაიამისთან" ორი წაგების შემდეგ, კალენდარმა მოქმედ ჩემპიონ „ლოს ანჯელეს ლეიკერსს" მორიგი გამოცდა მოუმზადა - კალიფორნიელები ტეხასში გაემგზავრნენ და დღეისთვის ლიგის საუკეთესო გუნდს „სან ანტონიო სპურსს" შეხვდნენ. **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდების დამარცხება კრიზისიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალება იქნებოდა, მაგრამ ამ მომენტისთვის „ლეიკერსი" და მისი ლიდერები ისეთ ფორმაში არიან, რომ დღის ცენტრალურ შეხვედრაში უდავო ფავორიტად სწორედ „სპურსი" მიიჩნეოდა და კალიფორნიელების წარმატების ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა.

ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ **ფილ ჯექსონის** გუნდში ბევრი რამ არ არის წესრიგში. სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს „სპურსის" დაცვას და გასაკვირი არ არის, რომ „სან ანტონიომ" ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაამარცხა ჩემპიონი, არადა, მისმა ორმა ლიდერმა - **ტიმ დანკანმა** და **მანუ ჯინობილიმ** შეტევაში საშინლად ითამაშა. ამ დუეტმა თამაშიდან ჯამში 19 სროლა შეასრულა და მხოლოდ ოთხჯერ ჩააგდო. მაგრამ კიდევ უფრო უარესად გამოიყურებოდა „ლეიკერსის" ვარსკვლავური წყვილი - **კობი ბრაიანტი** და **პაუ გასოლი**. „შავ მამბას" ტყორცნების რეალიზაციის საშინელი პროცენტი ჰქონდა - 27-დან 8, ესპანელმა ცენტრმა კი სეზონში მეორედ ვერ შეძლო ათქულიანი ზღვარის გადალახვა.





კობის ნერვები ღალატობს

„ლეიკერსმა" მეტ-ნაკლებად ნორმალური თამაში მხოლოდ მეორე მეოთხედში აჩვენა, რომელიც 11-ქულიანი სხვაობით მოიგო. მაგრამ მეორე ტაიმში ყველაფერი თავის ადგილას დადგა: „სან ანტონიოს" ბრწყინვალე დაცვამ ჩიხში მოაქცია სტუმარი კალათბურთელები. მატჩის ბოლო ნაწილს მასპინძლები დანკანისა და ჯინობილის გარეშე ატარებდნენ, თუმცა ეს არ ყოფილა პოპოვიჩის მხრიდან ცუდი თამაშისთვის სამაგიეროს გადახდა, უბრალოდ, „სპურსს" არ დასჭირდა მათი დახმარება და ისედაც იოლად გაუსწორდა დასავლეთში თავის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს. კობიმ კი ბოლო მატჩებში ჩამოყალიბებულ ტრადიციას არ უღალატა და დიდი დრო მსაჯებთან კამათში გაატარა. ბრაიანტის ნერვიულობა გასაგებია - ერთ მონაკვეთში კობიმ ზედიზედ 13 (!) ტყორცნა ააცილა.

დღის სენსაცია შემოგვთავაზა „ტორონტომ". კანადელებმა სტუმრად თვით „დალას მავერიქსი" დაამარცხეს. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: „კოვბოებს" წინადღეს „ოკლაჰომასთან" დაშავებული **დირკ ნოვიცკი** აკლდათ, გარდა ამისა, გუნდს აუტსაიდერთან სათამაშოდ საკმარისი მოტივაცია არ აღმოაჩნდა.

ნოვიცკის როლი „დალასში" ამ მატჩმაც დაადასტურა. გერმანელის გარეშე მასპინძლები დაბნეულები ჩანდნენ და სამქულიანების მხოლოდ 22.7 პროცენტი (22-დან 5) გამოიყენეს. ასეა თუ ისა, რვაკაციანმა „ტორონტომ" (ამ გუნდს ტრავმების გამო აკლდნენ **კალდერონი, ბარნიანი, სტოიაკოვიჩი** და **უიმსი**) ჩემპიონატის ფავორიტს მხოლოდ 76 ქულა დააგროვებინა, თავად კი 84 ქულა ჩააგდო. სხვათა შორის, მატჩის მსვლელობისას სტუმრებმა კიდევ ერთი კალათბურთელი დაკარგეს - **ჯარედ ბეილესი**, ხოლო ფორვარდი **ამირ ჯონსონი** ზურგის ტრავმით თამაშობდა.

**ლებრონ ჯეიმსის** ჩრდილში ყოფნა მოჰბეზრდა **დუეინ უეიდს**, რომელმაც „მაიამისა" და „ნიუ იორკის" შეხვედრაში თითქმის მთლიანად თავის თავზე აიღო თამაში და ძალიან ბევრი ესროლა, თანაც არც ისე მაღალი პროცენტით (თამაშიდან - 13/18, სამქულიანი - 1/7), თუმცა უეიდმა მატჩის ბოლოსთვის შესანიშნავი სტატისტიკა შეაგროვა: 38 წუთში 40 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა. ეს დუეინისთვის სეზონში ყველაზე შედეგიანი მატჩი იყო.

**კლივლენდი-ორლანდო 95:110**

**33:30, 24:30, 17:15, 21:35**

**კ:** ჯეიმისონი (21), გიბსონი (15+6 მოხსნა), ვარეჟაო (15+9 მოხსნა+5 ჩაჭრა), უილიამსი (14+8 პასი), სეშენსი (12+6 პასი).

**ო:** არენასი (22+11 პასი+6 მოხსნა), რიჩარდსონი (20+5 მოხსნა), რედიკი (14), ნელსონი (13+6 პასი+5 მოხსნა), ჰოვარდი (12+6 მოხსნა), კლარკი (12).

**ინდიანა-ბოსტონი 83:95**

**26:19, 21:26, 20:21, 16:29**

**ი:** რაში (17+7 მოხსნა), გრეინჯერი (15), კოლისონი (10).

**ბ:** პირსი (21+7 პასი+5 მოხსნა), ალენი (17), დევისი (14), დენიელსი (12+5 მოხსნა), გარნეტი (11+13 მოხსნა).

**მაიამი-ნიუ იორკი 106:98**

**34:18, 19:22, 27:25, 26:33**

**მ:** უეიდი (40+9 მოხსნა), ჯეიმსი (18+10 მოხსნა+8 პასი), ბოში (18+10 მოხსნა), ილგაუსკასი (14+10 მოხსნა).

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (30+7 მოხსნა), ჩენდლერი (21+6 მოხსნა), ფელტონი (15+5 პასი), გალინარი (13), დუგლასი (11).

**ჩიკაგო-მილუოკი 90:77**

**27:15, 17:30, 23:17, 23:15**

**ჩ:** ბუზერი (24+9 მოხსნა), დენგი (24+5 მოხსნა), როუზი (18+12 პასი+6 მოხსნა).

**მ:** სალმონსი (18), მაგეტი (15), მბა ა მუტე (12+10 მოხსნა), დულინგი (11+6 პასი), ილიასოვა (10+7 მოხსნა), ბოგუტი (4+16 მოხსნა).

**დალასი-ტორონტო 76:84**

**13:23, 27:23, 19:18, 17:20**

**დ:** ტერი (18+6 პასი), ბატლერი (15), მერიონი (12+5 მოხსნა).

**ტ:** დევისი (17+12 მოხსნა), დეროზანი (16), კლეიზა (16), ჯონსონი (10+6 მოხსნა), ბარბოზა (12).

**სან ანტონიო-ლეიკერსი 97:82**

**27:18, 15:26, 29:18, 26:20**

**ს-ა:** პარკერი (23), ბლეირი (17+15 მოხსნა), ჯეფერსონი (15+7 მოხსნა), ჰილი (10+9 მოხსნა).

**ლ:** ბრაიანტი (21+5 მოხსნა), ბინუმი (10+7 მოხსნა), არტესტი (10), ბრაუნი (5+11 მოხსნა).

**დენვერი-პორტლენდი 95:77**

**25:21, 23:20, 30:17, 17:19**

**დ:** ბილაპსი (18+9 პასი), ნენე (17+7 მოხსნა), სმიტი (17), აფლალო (17), მარტინი (10).

**პ:** ოლდრიჯი (18+13 მოხსნა+7 დაფარება), ბატუმი (14+5 მოხსნა), ფერნანდესი (11).



მარკუს კემბი

# ისევ ჭორები

რაც უფრო ახლოვდება ტრეიდებისთვის განკუთვნილი პერიოდის ბოლო დღე, გაზეთები მით აქტიურად ჭორაობენ მოსალოდნელი გარიგებების შესახებ. ყველაზე აქტიურად განიხილავენ „პორტლენდსა" და „შარლოტს" შორის სავარაუდო გაცვლას. „ბლეიზერსმა" შესაძლოა, თავიდან მოიშოროს ცენტრი **მარკუს კემბი**, რომელთანაც წელს ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდა. 36 წლის ვეტერანს (6.3 ქულა, 10.9 მოხსნა, 1.8 დაფარება) **ანდრე მილერთან** ერთად უწინასწარმეტყველებენ „შარლოტში" გადასვლას, საპირისპირო მიმართულებით კი **ჯერალდ უოლასი** და **დი ჯეი ოგუსტინი** გაემგზავრებიან. მაგრამ თავად კემბის არ სურს „ბობკეტსში" გადასვლა და უკვე კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. „შარლოტის" გარდა, ასაკოვან ცენტრზე პრეტენზიას „ორლანდო მეჯიქიც" აცხადებს.

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ „ჰიუსტონი" თავისი ტრავმირებული ცენტრის **იაო მინის** გაცვლას აპირებს. ისიც აღვნიშნეთ, რომ ჩინელის ხელში ჩაგდება ფინანსური თვალსაზრისით მომგებიანია, რადგან მისი ხელფასის ნახევარზე მეტს სადაზღვევო კომპანია ფარავს. გუშინ მოსალოდნელი გარიგების შესახებ უფრო დაწვრილებითი დეტალები გახდა ცნობილი. „როკეტსმა" „საკრამენტო კინგზს" შესთავაზა ტრეიდი: იაო მინი **სამუელ დალემბერსა** და **დემარკუს კაზინსის** ნაცვლად, მაგრამ კალიფორნიელები უარს აცხადებენ ასეთ გარიგებაზე. მათ არ სურთ პერსპექტიულ კაზინსთან განშორება, მიუხედავად იმისა, რომ ამ კალათბურთელმა უკვე მოასწრო რამდენჯერმე მწვრთნელ **პოლ უესტფოლთან** წაჩხუბება.

„ჩიკაგო ბულზი" კი შემტევ მცველს ეძებს. კანდიდატთა შორის არიან: **სტივენ ჯექსონი, ო ჯეი მაიო, ჯეი არ სმიტი, რიჩარდ ჰემილტონი** და **ჯეი ჯეი რედიკი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# გმირების წელი

ლეგენდარულმა ამერიკელმა მწვრთნელმა **ნიკ ბოლეტიერიმ** 2010 წლის სეზონი შეაჯამა: „გასულ წელს საჩოგბურთო სამყაროში არ ყოფილა ხმაურიანი დოპინგ-სკანდალები ან მთავარ ტურნირებზე ახალბედების სენსაციური გამარჯვებები, არ გაგვიგია სპორტსმენთა ბიოგრაფიებიდან სკანდალური ფაქტები. ასევე 2010 წელს არ ყოფილა ბევრი ცრემლი, ეპოქალური დაპირისპირებები და დრამატიზმი.

ჩოგბურთის მოყვარულებისთვის 2010 წელი გმირების წელი იყო. ყველაზე შთამბეჭდავი, რა თქმა უნდა, ესპანელი რაფაელ ნადალის გამოსვლა გახდა, რომელიც სეზონის ორი მესამედი ნაწილი უკონკურენციოდ იყო. მიუხედავად ამისა, წელს კიდევ იყო რამდენიმე მოვლენა, რომელმაც საყოველთაო ინტერესი გამოიწვია და 2011 წლისთვის არაერთი ინტრიგა შექმნა.

## 10. სათამაშო სეზონის შემოკლება

ATP-მ, როგორც იქნა, მიიღო სეზონის შემცირებისა და ზამთრის არდადეგების გაზრდის გადაწყვეტილება, რამაც ჩოგბურთელებს წლის ბოლოს დაგროვილ დაღლილობასთან ბრძოლის საშუალება უნდა მისცეს.

2012 წლიდან მოყოლებული, სპორტსმენებს შვიდკვირიანი დასვენება ექნებათ, როგორც ამას პრო-ტურის მონაწილეთა უმრავლესობა ითხოვდა. იმედია, ამის შემდეგ ნაკლები იქნება მოთამაშეთა ფიზიკური გამოფიტვით გამოწვეული ტრავმიანობა.

## 9. სერბეთის გამარჯვება დევისის თასზე

შესაძლოა, ამ გამარჯვების მნიშვნელობა ოდნავ გაუფასურებულია, რადგან ბევრი ტოპ-მოთამაშე ამბობს უარს ნაკრებში თამაშსა და პირად კარიერაზე კონცენტრაციას ამჯობინებს. მაგრამ სერბი გულშემატკივრები და ჩოგბურთელები ამ მოსაზრებას არ დაეთანხმებიან. **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და სერბების გუნდის სხვა წევრებმა ამ ტრიუმფს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება უწოდეს.

## 8. ვოზნიაცკის საკამათო პირველობა

ჯერ კიდევ შარშან, როცა რუსი **დინარა საფინა** „დიდი სლემის" ტურნირის მოუგებლად ჩაუგდა სათავეში მსოფლიოს რეიტინგს, აქტიურად დაიწყო ლაპარაკი ქულათა დარიცხვის სისტემის უცნაურობაზე. ახლა დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკის** ლიდერობა გახდა განსჯის საბაბი. წლის განმავლობაში სტაბილურმა გამოსვლამ (WTA-ის 6 ტიტული) ოქტომბერში რეიტინგის პირველი ადგილი მოუტანა, თუმცა „დიდი სლემის" ჩემპიონატი ვერც მან მოიგო.



მარათონული მატჩის მონაწილეები

საერთო ჯამში, „კარომ" სტაბილურობა და უმაღლესი პროფესიონალიზმი გამოავლინა და ქულათა დათვლის პრინციპის გადახედვამ ჩრდილი არ უნდა მიაყენოს მის ლიდერობას.

## 7. ძველი ახალი დედოფლის აღიარება

ამერიკის ღია პირველობაზე **კიმ კლაისტერსის** ტრიუმფი უმაღლეს შეფასებას იმსახურებს, მიუხედავად იმისა, რომ ის არ ყოფილა ისეთი დრამატული, როგორც შარშან ამავე ტურნირზე იყო. დოჰაში წლის შემაჯამებელ ჩემპიონატში გამარჯვებამ კი დააგვირგვინა 27 წლის ჩოგბურთელისთვის 2010 წლის სეზონის ბრწყინვალე მეორე ნახევარი.

**ვენუს უილიამსზე, ვერა ზვონარევასა** და კაროლინ ვოზნიაცკიზე გამარჯვებებმა აჩვენეს, რომ ბელგიელი ბრწყინვალე ფორმაში იმყოფება და მზად არის ქალთა ჩოგბურთში ლიდერობის დასაბრუნებლად. ამის შემდეგ WTA-მ მას „წლის საუკეთესო გამოსვლის" ნომინაციაში პირველობა მიანიჭა.

## 6. აგასისა და სამპრასის კონფლიქტი

აქტიური კარიერის დროსაც ეს ჩოგბურთელები ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებულ სიმპათიას არ გამოხატავდნენ, კარიერის დასრულების შემდეგ კი დაძაბულობა კიდევ უფრო გაიზარდა.

ამა წლის მარტში ინდიან უელსში გამართულ საჩვენებელ შეხვედრაში ჩოგბურთელები „მწარედ კბენდნენ" ერთმანეთს. **სამპრასმა აგასის** სიარულის მანერას გაუკეთა პაროდია, რაზეც ანდრემ განაცხადა, რომ პიტი უნიჭო მსახიობია - ეს ყველაფერი ძალიან ულამაზოდ ჩანდა.

## 5. ფსონების სკანდალი

2010 წლის სეზონის ბოლოს საზოგადოებამ შეიტყო კომპანია IMG-ის პრეზიდენტისა და **როჯერ ფედერერის** ინტერესების დამცველის - **ტედ ფორსტმანის** საბუკმეიკერო კანტორაში თამაშის უცნაური ისტორია. ეჭვქვეშ დადგა ფედერერსა და **რაფაელ ნადალს** შორის როლან გაროსის ორ ფინალზე გაკეთებული ფსონების „პატიოსნება". იტყობინებოდნენ, რომ ფორსტმანს უშუალოდ ფინალის წინ კონტაქტი ჰქონდა როჯერთან, რის შემდეგაც გააკეთა ფსონი. შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა ყველა ბრალდება უარყო და განაცხადა, რომ არანაირ მაქინაციებთან შეხება არ ჰქონია.

## 4. სერენა უილიამსის უცნაური ტრავმა

**სერენამ** დამაჯერებლად გაიმარჯვა 2010 წლის უიმბლდონზე - არც ერთი სეტი არ დაუთმო მეტოქეებს. ამის შემდეგ ფეხზე მიღებულმა ჭრილობამ (რესტორანში ჭიქის ნატეხზე გაიჭრა ტერფი) მას სეზონის ბოლომდე თამაშის საშუალება არ მისცა და ამერიკელი 2011 წლის იანვარსაც ვერ გავა კორტზე. სერენასა და მის გუნდს წესიერად არ აუხსნიათ ტრავმის ხასიათი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ უმცროსი უილიამსი ძალიან აკლია ქალთა ტურს.

## 3. ფედერერის კრახი უიმბლდონზე

უიმბლდონამდე უფრო ადრე - როლან გაროსზე როჯერმა შეწყვიტა „დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალებში გასვლის სარეკორდო სერია, მაგრამ არავის ეგონა, რომ ის მეოთხედფინალური ეტაპიდან ჩამოშორდებოდა უიმბლდონს. **ტომაშ ბერდიხმა** კარიერაში საუკეთესო ჩოგბურთი აჩვენა, შვეიცარიელი ოთხ სეტში დაამარცხა და ის ATP-ის რეიტინგში მესამე ადგილამდე ჩამოაქვეითა. ამით ყველაზე მეტად გულშემატკივრები დაზარალდნენ, რადგან ისევ ვერ იხილეს „საჩოგბურთო კლასიკა" ფედერერსა და ნადალს შორის. ეს ჩოგბურთელები წელს „დიდ სლემზე" ერთხელაც ვერ შეხვდნენ ერთმანეთს.

## 2. ორი მარათონელის მატჩი

არავინ არ აპირებდა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას უიმბლდონის პირველი წრის მატჩისთვის, რომელიც მე-18 კორტზე იმართებოდა. მაგრამ ამერიკელი **ჯონ ისნერისა** და ფრანგი **ნიკოლა მაუს** შეხვედრამ მთელი საჩოგბურთო სამყარო გაიტაცა. ის სამ დღეს გაიწელა და ყველანაირი რეკორდი მოხსნა.

საბოლოოდ, 11 საათი და 5 წუთი სათამაშო დროის განმავლობაში ამერიკელმა ასეთი ანგარიშით მოიგო - 6:4, 3:6, 6:7, 7:6, 70:68.

## 1. ნადალის კარიერული სლემი

რაფაელ ნადალი ბევრჯერ იყო ამერიკის ღია პირველობის სტუმარი და ვერ ამართლებდა საკუთარი გულშემატკივრის იმედებს. მაგრამ წელს ესპანელი ბრწყინვალედ გამოვიდა ნიუ იორკში და საბოლოოდ, შეუერთდა ფედერერსა და სხვა დიად ჩოგბურთელებს, რომლებსაც კარიერაში „დიდი სლემის" ყველა ტურნირი აქვთ მოგებული. მთელი დისტანციის განმავლობაში რაფამ მხოლოდ ერთი სეტი დათმო - ფინალში **ნოვაკ ჯოკოვიჩის** წინააღმდეგ. მანამდე სერბმა დრამატულ ნახევარფინალში ფედერერი გამოთიშა ბრძოლას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

## ანენს იდაყვი ისევ აწუხებს

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ჟუსტინ ანენმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჯერ ბოლომდე ვერ მოირჩინა იდაყვის ტრავმა, რის გამოც წელს უიმბლდონის გამოტოვებამ მოუწია.

*„ტკივილს ჯერ ისევ ვგრძნობ, მაგრამ სწორი მიმართულებით მივდივარ. ბევრს ვმუშაობ და ყოველდღე რეაბილიტაციას ორ საათს ვუთმობ. ჩემი მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, მაგრამ, შესაძლოა, კიდევ რამდენიმე კვირა ან თვე დასჭირდეს სრულად გამოჯანმრთელებას"*, - ამბობს ბელგიელი.

გარდა ამისა, ანენმა განაცხადა, რომ საკუთარ თავს ავსტრალიის ღია პირველობის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევს: *„დღეს ქალთა ჩოგბურთში ერთპიროვნული ლიდერი არ არსებობს, ყველას აქვს ჩავარდნა. მელბურნში სერენა არ ითამაშებს, ასე რომ, ტიტულისკენ გზა ხსნილია"*.

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ნოტინგემი-დერბი | 5:2 |
| **I ლიგა** | |
| ბრაიტონი-ჩარლტონი | 1:1 |
| **ბელგია** | |
| კორტრიიკი-ანდერლეხტი | 0:2 |
| ლიერსი-ვესტერლო | 2:1 |
| ბრიუგე-შარლერუა | 5:0 |
| ბეერსხოტი-ეუპენი | 0:0 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფეირენსე-პენაფიელი | 2:1 |
| კოვილია-ოლივეირენსე | 1:3 |
| მორიორენსე-ბელენენსეში | 2:1 |
| ჟილ ვისენტე-ვარზიმი | 2:2 |
| **შოტლანდია** | |
| ჰემილტონი-აბერდინი | 0:1 |
| ჰიბერნიანი-დანდი იუნ | 2:2 |
| ინვერნესი-კილმარნოკი | 1:3 |
| სტ. მირენი-ჰართსი | 0:2 |
| სელტიკი-მოზერველი | 1:0 |
| **I დივიზიონი** | |
| ფალკირკი-რეითი | 0:0 |
| დანფერმლაინი-კოუდენბითი | 5:0 |
| **უელსი** | |
| ჰავერფორდვესტი-კარმარტენი | 3:2 |
| ბანგორი-პრესტატინი | 2:1 |
| ტნს-ლანელი | გადაიდო |
| **ავსტრალია** | |
| ადელაიდა-სიდნეი | 2:0 |
| **იაპონიის თასი** | |
| შიმიცუ-გამბა | 3:0 |
| კაშიმა-ტოკიო | 1:1 დ.დ. 2:1 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ბრემერჰავენი-ტიუბინგენი | 72:60 |
| მიტლდოიჩე-გისენი | 81:65 |
| არტლანდი-ჰაგენი | 111:92 |
| ბაიროიტი-ჯაიანტსი | 88:68 |
| ტრირი-ბრაუნშვაიგი | 74:65 |
| ალბა-გოტინგენი | 91:61 |
| ტელეკომ ბონი-სკაილაინერსი | 92:89 |
| ოლდენბურგი-ულმი | 84:79 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| პანათინაიკოსი-არისი | 87:58 |
| პაოკ-ოლიმპიაკოსი | 60:79 |
| **იტალია** | |
| მილანი-ვარეზე | 84:80 (ო) |
| **ესპანეთი** | |
| ფუენლაბრადა-ესტუდიანტესი | 72:65 |
| კახასოლი-მენორკა | 75:67 |
| კახა ლაბორალი-მანრესა | 86:65 |
| გრანადა-ვალიადოლიდი | 79:86 |
| სარაგოსა-ბილბაო | 68:74 |
| ალიკანტე-ვალენსია | 65:73 |
| უნიკახა-ხირონა | 69:56 |
| გრან კანარია-ხუვენტუდი | 89:81 |
| **თურქეთი** | |
| თოფასი-ბეშიქთაში | 94:72 |
| ერდემი-ანტალია | 77:62 |
| მერსინი-ბორნოვა | 83:68 |
| ტ. ტელეკომი-ალიაგა | 97:94 |
| ტრაბზონი-ბანვითი | 62:73 |
| გალათასარაი-ფენერბაჩე | 67:56 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ამური-ს. იულიაევი | 6:5 |
| ვიტიაზი-ტორპედო | 2:1 |
| ლოკომოტივი-დინამო (მ) | 7:2 |
| დინამო (მნ)-ატლანტი | 4:3 |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 20** | |
| ფინეთი-გერმანია | 5:1 |
| **ბელარუსი** | |
| იუნოსტი-სოკოლი | 4:1 |
| შინიკი-ხიმვოლოკნო | 3:6 |
| ლიეპაიასი-მეტალურგი | 2:5 |
| ვიტებსკი-ნემანი | 2:5 |
| ხიმიკი-ბრესტი | 2:3 (ბ) |
| გომელი-შახტარი | 3:1 |
| **ჩეხეთი** | |
| კლადნო-პლზენი | 2:3 |

TV პროგრამა

**30 დეკემბერი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**23:55** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-ჩეხეთი. აშშ (LIVE).
**03:55** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ნორვეგია. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**15:00** ჩოგბურთი. საჩვენებელი ტურნირი. 1/4 ფინალი. მარკოს ბაღდატისი-ტომაშ ბერდიხი, რობინ სიოდერლინგი-ჟო ვილფრიდ ცონგა. აბუ დაბი. საემიროები (LIVE).

**SPORT+**

**03:55** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. ჯგუფური ეტაპი. ნორვეგია-რუსეთი. აშშ (LIVE).

**EUROSPORT**

**18:00** ჰოკეი. შპენგლერის თასი. 1/2 ფინალი. შვეიცარია (LIVE).
**23:00** ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. ობერტსდორფი. გერმანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**23:15** ჰოკეი. შპენგლერის თასი. 1/2 ფინალი. შვეიცარია (LIVE).

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**პიტსბურგი-ატლანტა 6:3**

2:2, 1:0, 3:1

**გოლები:** 0:1 ე. კეინი-12 (ლიტლი-11, ბურმისტროვი-9), 1:1 კროსბი-31 (ლეტანგი-26), 1:2 ბიფულინი-14 (ენსტრიომი-24, ლიტლი-12), 2:2 კროსბი-32 (გოლიგოსკი-12), 3:2 კ. ადამსი-2 (კუკი-10), 4:2 კუნიტცი-10 (კროსბი-32, დუპუი-9), 5:2 ლეტესტუ-8, 6:2 კუკი-8 (კროსბი-33, ზ. მიხალეკი-6), 6:3 ბულტონი-5 (სლეიტერი-7, ტორნბურნი-8).

**ტორონტო-კაროლინა 3:4**

2:3, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 სკინერი-9 (ი. იოკინენი-20, ტ. რუუტუ-15), 1:1 კესელი-13 (ტ. კაბერლე-20, ფანოფი-6), 1:2 ე. სტაალი-17, 2:2 კესელი-14 (კრები-2, ბოჟაკი-8), 2:3 ე. სტაალი-18 (სამსონოვი-9, დუიაერი-4), 3:3 გრაბოვსკი-13 (ვერსტეეგი-14, ტ. კაბერლე-21), 3:4 დუაიერი-6 (გლისონი-6, ბოიჩუკი-1).

**ვაშინგტონი-მონრეალი 3:0**

2:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ბიგლი-2 (ფერი-8, ჰენდრიქსი-7), 2:0 მაიკ გრინი-7 (ბექსტრიომი-25), 3:0 ოვეჩკინი-14 (ელზნერი-4).

**ტამპა ბეი-ბოსტონი 3:4**

1:1, 1:1, 1:2

**გოლები:** 0:1 რაიდერი-11 (რეკი-14, საიდენბერგი-11), 1:1 სტემკოსი-29 (ბ. კლარკი-10, მელოუნი-19), 1:2 კამპფერი-1 (სავარი-3, ჰორტონი-13), 2:2 ლეკავალიე-7 (ბერგენჰაიმი-9, კუბინა-10), 2:3 მარჩანდი-5 (მ. ტორნტონი-2, გ. კემპბელი-6), 3:3 სენტ ულუისი-15 (სტემკოსი-12, კუბინა-11), 3:4 რეკი-7 (პ. ბერჟერონი-15, საიდენბერგი-12).

**ნეშვილი-დალასი 2:4**

0:0, 1:1, 1:3

**გოლები:** 0:1 ოტი-8 (ლ. ერიქსონი-23, ბ. რიჩარდსი-25), 1:1 კოლინ უილსონი-8 (დუმონი-6, ს. კოსტიცინი-9), 2:1 კოლინ უილსონი-9 (ჯ. უორდი-6, სმიტსონი-4), 2:2 ლ. ერიქსონი-16 (ბენი-13, სკრასტინსი-3), 2:3 ფისტრიჩი-1, 2:4 ბერჩი-1 (სატერბი-2, ნისკანენი-5).

**სენტ ლუისი-ჩიკაგო 3:1**

0:1, 1:0, 2:0

**გოლები:** 0:1 დოუელი-5 (სტალბერგი-8), 1:1 სობოტკა-5, 2:1 ბოიესი-8 (ე. ჯონსონი-10, დ'აგოსტინი-7), 3:1 ვინჩესტერი-5 (ჯეკმანი-6, მაკლემანი-3).

**ედმონტონი-ბაფალო 2:4**

1:1, 0:1, 1:2

**გოლები:** 1:0 პენერი-11 (ჰემსკი-12), 1:1 ადამი-2 (კალეტა-4, მონტადორი-9), 1:2 მ. უებერი-1 (ჰეხტი-9, პომინვილი-9), 1:3 ჰეხტი-4 (გერბე-6, მ. უებერი-2), 2:3 რ. ჯონსი-8 (გილბერტი-7, პეტრი-1), 2:4 მ. უებერი-2.

**ფინიქსი-ანაჰაიმი 1:3**

0:3, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 სბისა-1 (ს. კოივუ-9), 0:2 ლუპული-4 (მაკმილანი-3, ლილია-3), 0:3 პერი-20, 1:3 დოუნი-5 (რეი უიტნი-18, იენდლი-18).

**ვანკუვერი-ფილადელფია 6:2**

1:0, 3:1, 2:1

**გოლები:** 1:0 მალორტა-6 (ერჰოფი-12, ტორესი-6), 2:0 კესლერი-18 (ბიეკსა-6), 3:0 დ. სედინი-19 (ბაროუზი-10, ჰ. სედინი-37), 3:1 ბრიერი-17 (ლეინო-17), 4:1 კესლერი-19 (ჰ. სედინი-38, ერჰოფი-13), 5:1 ჰანსენი-4 (დ. სედინი-26, ჰ. სედინი-39), 6:1 ტამბელინი-9 (კესლერი-15), 6:2 ჯ. კარტერი-14 (ბრიერი-10, ჟირუ-16).

ჩოგბურთი

## ფერერო ავსტრალიაში არ ითამაშებს

ავსტრალიის ღია პირველობას კიდევ ერთი ცნობილი ჩოგბურთელი გამოაკლდა. „დიდი სლემის" პირველ ჩემპიონატზე ვერ გამოვა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ესპანელი **ხუან კარლოს ფერერო**. ჩოგბურთელის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, როლან გაროსის 2003 წლის ჩემპიონს მარცხენა მუხლი აწუხებს და ამ მიზეზით არ ჩავა მელბურნში.

ასე რომ, რეიტინგის 29-ე ნომრის ნაცვლად ძირითად ბადეში ადგილს სლოვაკი **კაროლ ბეკი** დაიკავებს, რომელიც კლასიფიკაციაში 103-ე პოზიციაზეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2010 წლის საუკეთესო ფოტოები


ინგლისის პრემიერლიგა. არსენალი-სანდერლენდი. სესკ ფაბრეგასის სალტო


დაკარი 2010. ფრანგი სტეფან პეტერანსელი და მისი თანამემამულე ჟან-პოლ კოტრე მეშვიდე ეტაპზე


ტაიგერ ვუდსი 110-ე ამერიკის ღია პირველობაზე (პებლ ბიჩი, კალიფორნია)


ზელანდელი ექსტრემალი კვენტინ რობინსი Mount Aspiring National Park-ში (ვანაკა, ახალი ზელანდია)


ავსტრალიის ღია პირველობა. ნოვაკ ჯოკოვიჩი ლუკაშ კუბოტის წინააღმდეგ


დიეგო მარადონას რეაქცია არგენტინისა და სამხრეთ კორეას მატჩში